

ღებთი პირთა უფლებრივი ედგოგარეობა საქართველოში

კვლევის ანგარიში „ღვბტი პირთა უფლებრივი მდგომრეობა საქართველოში“ მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) მიერ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ღვბტი სოლიდარობის ქსელი სომხეთსა და საქართველოში“, რომელსაც ახორციელებს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

კვლევის ასისტენტი: თამარი ქებურია

თარგმანი: სანდრო ქევიშვილი, თამთა გელაშვილი, თამარ ბასილაია

კორექტორი: ნინო კალატოზიშვილი

ფოტო გარეკანზე: ლევან გიორგაძე

დაკაბადონება: ალექსი კახნიაშვილი

ბეჭდვა:

ტირაჟი: 150

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016

www.emc.org.ge

<http://fb.com/RIGHTSEMC>

ISBN

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროპის კავშირის დახმარებით. ამ პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი” (EMC) და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.



წინამდებარე პუბლიკაცია დაბეჭდილია სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) ფინანსური მხარდაჭერით.

EMC-ი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს თანამშრომლებს - ანა ნემსინვერიძე-დენიელს კვლევის თარგმანში შეტანილი წვლილისა და ინგლისური ვერსიის რედაქტირებისთვის, ეკა წერეთელს - კვლევის ტექნიკური მხარის დამუშავების პროცესში განეული დახმარებისთვის, WISG-ის დირექტორს - ნათია გვიანიშვილს და ორგანიზაცია „თანადგომას“ თანამშრომელს ბექა გაბადაძეს, ხარისხობრივი კვლევის მომზადების პროცესში განეული დახმარებისათვის..

ღგბტი ჰირთა უფლუბრივი მდგომარეობა საქართველოში

ავტორი: ლიკა ჯალალანია
რედაქტორი: თამთა მიქელაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

2016

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) წარმოადგენს ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მარგინალიზებული და დისკრიმინირებული ჯგუფების, მათ შორის, სოციალურად მოწყვლადი ადამიანების, მშრომელების, უსახლკაროების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და ლგბტქი პირების უფლებების დაცვა კლევითი საქმიანობით, ადვოკატირებითა და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით. ორგანიზაცია ასევე მონიტორინგს უწევს საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციურ რეფორმებს და ხელს უწყობს უფლებათა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებასა და საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას. EMC არ არის ტრადიციული ტიპის ორგანიზაცია, იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა აქტივისტების ღია პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ალტერნატიული სააზროვნო სივრცეების შექმნას, აქტივისტთა შესაძლებლობების გაძლიერებასა და სამოქალაქო ინიციატივებში მათი ჩართვის უზრუნველყოფას. ორგანიზაცია 2015 წლიდან სისტემურად მუშაობს ლგბტქი თემატიკაზე, მათი უფლებათა დარღვევის დოკუმენტირებითა და შიდა და საერთაშორისო დონეზე ადვოკატირების, სახელმწიფოს პოლიტიკის კრიტიკისა და საკანონმდებლო ინიციატივებში ჩართულობის საშუალებით ორგანიზაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის აღმოფხვრას ქვეყანაში.

წინასიტყვაობა

საქართველოსა და სომხეთის ისტორიულად ტრადიციულმა საზოგადოებებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით გრძელი გზა გაიარეს. თუმცა, ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში ისევ მრავალი გამოწვევა რჩება, რაც ჯერ კიდევ ხანგრძლივ და დაბრკოლებებით აღსავსე გზას გულისხმობს ყველა საზოგადოებრივი ჯგუფისთვის თანაბარი უფლებების მისაღწევად. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანს და ინტერსექსი (ლგბტი) ადამიანები ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ, ნაკლებად ხილვად და დისკრიმინირებულ ჯგუფს წარმოადგენენ სომხეთსა და საქართველოში.

ბოლო წლებში მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია საქართველოში 2014 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება, ჯგუფის წევრები კვლავაც ხდებიან ძალადობის, დისკრიმინაციისა და ზეწოლის მსხვერპლნი როგორც საზოგადოების, ისევე კონკრეტული ინსტიტუტების, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებისა და დამსაქმებლების მხრიდან. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და სიძულვილის ენა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) ნიადაგზე ხშირად აღრიცხვის, და შესაბამისად, სათანადო რეაგირებისა და სასჯელის გარეშე რჩება. ჰომო/ბი/ტრანსფობია, რომლის ფესვებიც საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენაში არის ღრმად გადგმული, გამყარებულია ტრადიციული ღირებულებების, ბინარული და ჰეტერონორმატიული გენდერული როლებით, რომლებიც, თავის მხრივ კვებავს ამ ქვეყნებში დამკვიდრებულ დისკრიმინაციულ კულტურას და ხელს უშლის ლგბტი ადამიანებს, სრულფასოვნად ისარგებლონ საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, რომლებსთვისაც დამახასიათებელია დემოკრატიული ღირებულებების და უმცირესობათა უფლებების აღქმის სუსტად გამოხატული ფორმები, რაც დიდწილად საბჭოთა კავშირის გადმონაშთია, ლგბტი პირები ადგილობრივი ტრადიციებისა და რელიგიის მტრებად აღიქმებიან.¹

ორ ქვეყანაში ლგბტი ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციასთან კომპლექსურად გასამკლავებლად ამ ორ ქვეყანაში, ჰაინრიხ ბოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მიერ ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ლგბტი სოლიდარობის ქსელი სომხეთსა და საქართველოში“, შემდეგ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) საქართველოში და საზოგადოება ძალადობის გარეშე (SWV) და საჯარო ინფორმირება და ცოდნის აუცილებლობა (PINK) სომხეთში.

პროექტის საერთო მიზანს ლგბტი ადამიანთა უფლებების დაცვისა და მათ მიმართ პატივისცემის გაძლიერება, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა და ლგბტი ადამიანთა ადგილობრივ საზოგადოებებში სრულფასოვანი ჩართვა წარმოადგენს. პროექტის კონკრეტული მიზნები კი ითვალისწინებს ლგბტი ადამიანთა მხარდაჭერას მათი უფლებების სრულმასშტაბიან რეალიზაციაში ლგბტი-სადმი მეგობრული გარემოს გაუმჯობესებისა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საკითხების ირგვლივ სომხეთსა და საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აქტორების შეთანხმებულობის სტიმულირების გზით.

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს პროექტის პარტნიორების მიერ განეული ერთწლიანი კოორდინირებული ძალისხმევის შედეგს, რომელიც ითვალისწინებდა ორივე ქვეყანაში პარალელურად ორი კომპლექსური კვლევის შემუშავებასა და განხორციელებას: ლგბტი ადამიანთა მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა სრულყოფილი კვლევა და არსებული უფლებრივი და ფიზიკური პირობების სიტუაციური ანალიზი.

ლგბტი ადამიანთა მიმართ სოციალური დამოკიდებულებების შესახებ ფართომასშტაბიანი და ამომწურავი კვლევა შეისწავლის არსებულ სოციალურ ცრურწმენებსა და სტერეოტიპებს, და ამ დამოკიდებულებათა თვისებებსა და არსს, რათა გამოიძიოს სომხეთსა და საქართველოში არსებული ჰომოფობიის მასშტაბი და სპეციფიკა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი კვლევები უკვე არსებობს (მაგ., CRRC-საქართველოს კავკასიის ბარომეტრის 2011

1 სილვია შტაბერი, ლგბტი უფლებები სამხრეთ კავკასიაში, ჰაინრიხ ბოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, ლგბტ ვებ-დოკი: <https://ge.boell.org/en/2013/05/30/igbt-rights-south-caucasus>

წლის კითხვარი²), მოცემული კვლევის მასშტაბები უპრეცედენტოა. ის მყარ საფუძველს ქმნის ლგბტი ადამიანების მიმართ გავრცელებული დამოკიდებულებების ჭრილში ინტეგრირებული პერსპექტივისა და ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. სომხეთსა და საქართველოში პარალელურად ჩატარებულ კვლევებში გამოყენებული ფაქტობრივად იდენტური მეთოდოლოგია ასევე მოგვცემს მომავალში მოპოვებულ მონაცემთა შედარების საშუალებას.

სომხეთსა და საქართველოში ლგბტი ადამიანთა უფლებრივი და ფიზიკური მდგომარეობის ამსახველი სიტუაციური ანალიზი უზრუნველყოფს არსებული სამართლებრივი სტანდარტებისა და პოლიტიკური დოკუმენტების სიღრმისეულ ანალიზს, არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზს, ლგბტი ადამიანთა მიმართ სხვადასხვა სფეროში დისკრიმინაციის შემთხვევებისა და მათ მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დონეების შეფასებას; ლგბტი ადამიანთა მხრიდან შესაბამის მომსახურებაზე (როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, ა.შ.) ხელმისაწვდომობის ანალიზს.

როგორც კვლევა, ასევე სიტუაციური ანალიზი ჩაუყრის საფუძველს თითოეულ ქვეყანაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება ლგბტი უფლებების დაცვისკენ. სტრატეგიის დოკუმენტი ასევე მოიცავს რეკომენდაციების პაკეტს კონკრეტული უწყებებისთვის. ადვოკატირების დოკუმენტი და აღნიშნული კვლევების დასკვნები ასევე გამოიყენება ცნობიერების ამაღლების კამპანიისა და სამოქალაქო საზოგადოების და ლგბტი ორგანიზაციების, ასევე აქტივისტებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების დასაგეგმად.

ჰაინრიხ ბიოლის ფონდი განსაკუთრებულ მადლობას უხდის პროექტის პარტნიორებს მათი ძალისხმევითი მეთოდოლოგიისა და კვლევითი ინსტრუმენტების შემუშავებაში, სიღრმისეული ანალიტიკური ანგარიშების წარმოებასა და კვლევების განხორციელებისთვის; სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს საქართველოში და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს სომხეთში ყოვლისმომცველი სავსე სამუშაოების ჩატარებისთვის, მონაცემების შეგროვებასა და ანალიზისთვის; ექსპერტებს: ეკატერინე აღდგომელაშვილს, რომელმაც უზრუნველყო თითოეული კორელაციის საფუძვლიანობა და უამრავი ფასდაუდებელი საათი და დიდი ძალისხმევა ჩადო მაღალი ხარისხის, სრულყოფილი და ამომწურავი ანგარიშის ჩამოსაყალიბებლად; ასევე, ელმირა ბახშინიანს, ჯეკ ვაპან ბურნაზიანს და მარიამ ოსიპიანს კვლევებში შეტანილი წვლილისთვის. აღსანიშნავია ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თანამშრომლების წვლილიც: ეკა წერეთლისა - კვლევისთვის გრაფიკული დიზაინის შემუშავებაში, ასევე ანა ნემსინვერიძე-დანიელისა - კვლევისა და სიტუაციური ანალიზის თარგმანსა და რედაქტირებაში, და ჰასმიკ ჰაირაპეტიანის დახმარება რაოდენობრივი ინსტრუმენტების თარგმანში.

იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე კვლევები ხელს შეუწყობს ლგბტი ადამიანთა უფლებების უკეთ გააზრებას სომხეთსა და საქართველოში და საფუძველს ჩაუყრის გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს მათ დაცვას და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილებიან და სრულფასოვან ჩართვას, რაც, შესაბამისად, დემოკრატიული განვითარებისა და ინკლუზიური, ტოლერანტული და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი საზოგადოებისთვისაა.

ნინო ლეჟავა

დირექტორი

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის

სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

თბილისი, 23 მარტი 2016

2 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), დამოკიდებულება ჰომოსექსუალობის მიმართ სამხრეთ კავკასიაში <http://crrc-caucasus.blogspot.com/2013/07/attitudes-towards-homosexuality-in.html>

ტერმინთა განმარტება¹

გეი – ჰომოსექსუალის სინონიმი. ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში და აღნიშნავს მამაკაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

გენდერული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვითიდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. ზოგ შემთხვევაში კი მისი თვითაღქმა მამაკაცობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისაა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

გენდერული (თვით)გამოხატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულიზურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებასა და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ინდიკატორი.

გენდერული არაკონფორმულობა და გენდერული ვარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებსა“ და „შესაბამისობებთან“. გენდერული არაკონფორმულობა შეიძლება გამოვლინდეს იმისგან დამოუკიდებლად, ახდენს თუ არა ადამიანი საკუთარი დაბადების სქესისა და გენდერული იდენტობის შეთავსებას.

გენდერული დისფორია – დიაგნოზი, რომელსაც იყენებენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იმ სტრესის აღსაწერად, რასაც ზოგიერთი ინდივიდი განიცდის დაბადებისა და მინიჭებულ სქესსა და გენდერულ თვითაღქმას შორის განსხვავების გამო.

ინტერსექსი – ადამიანი, რომლის ანატომია არ შეესაბამება ისეთ ბიოლოგიურ სტანდარტებს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ორ სქესს – მამრი და მდედრი. ინტერსექსი არ თავსდება მხოლოდ მდედრის ან მხოლოდ მამრის ბიოლოგიურ მახასიათებლებში, რაც შეიძლება, გამოიხატოს როგორც ქრომოსომულ ან ჰორმონულ, ასევე გენეტიკურ დონეზე. ინტერსექსუალობა შეიძლება, დაბადებისთანავე შესამჩნევ იყოს ან მოგვიანებით განვივითარდეს.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტი – აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად.

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) – აღნიშნული ტერმინი შეესაბამება უფრო სექსუალურ ქცევას, ვიდრე – იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ მამაკაცის ქცევის აღსაწერად, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

სისგენდერი – ტერმინი სისგენდერი მისადადება იმ ადამიანს, რომლის გენდერული იდენტობა და გენდერული თვითგამოხატვა შეესაბამება დაბადებისა და მისთვის მინიჭებულ ბიოლოგიურ სქესსა და იმ სოციალურ მოლოდინს, რომელიც მის გენდერს მიეძღვრება.

სქესი – მახასიათებლების ერთობლიობა (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური), რომელიც განსხვავებს მდედრის და მამრის ორგანიზმს.

ტრანსგენდერი – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი გულისხმობს ასევე ტრანსსექსუალებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრესერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტერო, ჰომო ან ბისექსუალური ორიენტაცია.

ტრანსგენდერი მამაკაცი – ადამიანი, ვინც დაბადებისას მიაკუთვნეს მდედრობით სქესს, მაგრამ ახდენს საკუთარი თავის, როგორც მამაკაცის, იდენტიფიკაციას. ტრანსგენდერ მამაკაცებს ასევე უწოდებენ FtM-ს (Female-to-Male).

ტრანსგენდერი ქალი – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მიაკუთვნეს მამრობით სქესს, მაგრამ თვითიდენტიფიკაციას ახდენს, როგორც ქალი. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF-ს (Male-to-Female).

ტრანსსექსუალი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისა და მინიჭებული სქესობრივი მიკუთვნებულობისგან. ხშირად ტრანსსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა მიუსადაგონ ის მათსავე გენდერულ იდენტობას.

ქალი, რომელსაც სექსი აქვს ქალთან (WSW) – ეპიდემიოლოგიური კატეგორია, რომელიც უფრო სექსუალურ ქცევას შეესაბამება, ვიდრე იდენტობას; გამოიყენება ყველა იმ ქალის ქცევის აღსაწერად, რომელთაც სექსი აქვთ ქალთან, განურჩევლად

1 წყაროდ გამოყენებულია ILGA Europe-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, იხ: <http://old.ilga-europe.org/home/publications/glossary>

ლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

ქროსდრესერი - დროგამოშვებით ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც, ტრადიციულად, სხვა სქესის ადამიანებთან ასოცირდება. ქროსდრესერები ხშირად თავიანთ ბიოლოგიურ სქესთან კომფორტულად არიან და შესაძლოა არ სურდეთ მისი შეცვლა. ქროსდრესინგი გენდერული თვითგამოხატვის ფორმაა და არ არის აუცილებელი, კავშირში იყოს ორიენტაციასა თუ სექსუალურ ქცევასთან.

ჰომოფობია/ტრანსფობია - ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტობისა და სექსიზმისა.

ჰეტეროსექსიზმი - რწმენა, რომ ჰეტეროსექსუალობა არის უმაღლესი (რელიგიურად, მორალურად, სოციალურად, ემოციურად და სხვ.) სხვა სექსუალობებთან მიმართებით; პრეზუმფცია, რომ ყველა ადამიანი ჰეტეროსექსუალია; რწმენა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს ჰეტეროსექსუალი. როგორც ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებული სისტემა, ჰეტეროსექსიზმი უარყოფითად აისახება ლგბტი ადამიანებსა და, ასევე, ზოგიერთ ჰეტეროსექსუალ ინდივიდებზეც, რომლებიც არ შეესაბამებიან მასკულინობისა და ფემინურობის ტრადიციულ გაგებას.

ჰეტეროსექსუალი - ემოციური, რომანტიკული და სექსუალური კავშირის/გრძნობის ქონა საწინააღმდეგო სქესისა და გენდერის მქონე ადამიანის მიმართ.

სარჩევი

სოციოკულტურული გარემო და ინსტიტუციური კომოფობია

საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო

საკანონმდებლო ცვლილებების ზოგადი მიმოხილვა 16

რელევანტური პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი 16

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

1. ლგბტი მიმართ არსებული უთანასწორო გარემო და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა 17

- 1.1. სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის განვითარება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში 17
- 1.2. ეროვნულ კანონმდებლობაში სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტებისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მიმოხილვა 18
- 1.3. დასკვნა 20

2. სიცოცხლის უფლება, უსაფრთხოება და ძალადობისგან დაცვა 20

- 2.1. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები 20
- 2.2. ოჯახში ძალადობა ლგბტი პირთა მიმართ 25

3. პომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის რეგულირება 28

- 3.1. პრობლემის აღწერა 28
- 3.2. საერთაშორისო სტანდარტი 29
- 3.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო 30
- 3.4. დასკვნა 32

4. ლგბტი პირთა უფლება საჯარო სივრცეზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება 32

- 4.1. პრობლემის აღწერა 32
- 4.2. საერთაშორისო სტანდარტი 33
- 4.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო 34
- 4.4. დასკვნა 35

5. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვის პრაქტიკები ლგბტი პირთა მიმართ 36

- 5.1. პრობლემის აღწერა 36
- 5.2. საერთაშორისო სტანდარტი 36
- 5.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო 37
- 5.4. დასკვნა 38

6. ლგბტი პირთა დისკრიმინაცია შრომით და და დასაქმებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში 38

- 6.1. პრობლემის აღწერა 38
- 6.2. საერთაშორისო სტანდარტი 39
- 6.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო 39
- 6.4. დასკვნა 41

7. განათლების ხელმისაწვდომობა და პომო/ტრანსფობიური ბულინგის პრაქტიკა 41

- 7.1. პრობლემის აღწერა 41
- 7.2. საერთაშორისო სტანდარტი 41
- 7.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო 42
- 7.4. დასკვნა 44

8. ლგბტი პირთა ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების მიმოხილვა 44

- 8.1. პრობლემის აღწერა 44
- 8.2. საერთაშორისო სტანდარტი 44
- 8.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო 45
- 8.4. ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში 46
- 8.5. ინტერსექსი ადამიანების საჭიროებების შეფასება ჯანდაცვის სფეროში 47
- 8.6. დასკვნა 48

9. სოციალური დაცვის უფლება: უსახლკარობა და სოციალური მონყვლადობა ლგბტი თემში 49

- 9.1. პრობლემის აღწერა 49
- 9.2. საერთაშორისო სტანდარტი 49
- 9.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო 50
- 9.4. დასკვნა 51

10. ლტოლვილები და თავშესაფრის ძიების უფლება

- | | |
|-------------------------------------|----|
| 10.1. პრობლემის აღწერა | 51 |
| 10.2. საერთაშორისო სტანდარტი | 51 |
| 10.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო | 53 |
| 10.4. დასკვნა | 54 |

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები

1. გენდერის სამართლებრივი აღიარება

- | | |
|---|----|
| 1.1. გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი ტრანსგენდერი ადამიანებისთვის | 55 |
| 1.2. ბავშვის სქესის რეგისტრაცია და გენდერის სამართლებრივი აღიარება ინტერსექსი ადამიანებისთვის | 57 |
| 1.3. დასკვნა | 58 |

2. გეი/მსმ და ტრანსგენდერ სექსუალობის უფლებრივი მდგომარეობა

- | | |
|------------------------------------|----|
| 2.1. პრობლემის აღწერა | 58 |
| 2.2. საერთაშორისო სტანდარტი | 59 |
| 2.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო | 60 |
| 2.4. დასკვნა | 61 |

3. ღებტი პირთა მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

- | | |
|------------------------------------|----|
| 3.1. პრობლემის აღწერა | 61 |
| 3.2. საერთაშორისო სტანდარტი | 62 |
| 3.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო | 63 |
| 3.4. დასკვნა | 64 |

რეკომენდაციები

დამატებითი საკითხები

1. საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციათა ანგარიშები და რეკომენდაციები

- | | |
|---|----|
| 1.1. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოს შესახებ | 68 |
| 1.2. ECRI-ის ანგარიში საქართველოს შესახებ | 68 |
| 1.3. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) | 69 |

2. ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების ანალიზი

- | | |
|--|----|
| 2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება | 70 |
| 2.2. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება | 72 |

შესავალი

საქართველოს კანონმდებლობამ საქსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (შემდგომში – სოგი) საფუძვლებზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებითი ცვლილებები განიცადა, რაც გამოიხატა, როგორც ახალი ნორმატიული აქტების მიღებაში, ასევე უკვე არსებულ საკანონმდებლო ბაზაში დამატებითი ნორმებისა და შესწორებების ინკორპორირებაში. საქართველოს მთავრობამ მიიღო ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, რომელმაც საკანონმდებლო გარანტიების იმპლემენტაციის კონკრეტული მექანიზმები გაითვალისწინა.

დადგენილი საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად, რომელთა მიღება, ძირითადად, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას უკავშირდებოდა, ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა მძიმეა და ისინი სისტემური ხასიათის ძალადობას, დისკრიმინაციასა და შევიწროებას განიცდიან. ლგბტი საკითხების პოლიტიკების ტენდენცია და პომოფობიური დისკურსის გაძლიერება საზოგადოებაში თემის ჩაგვრასა და მარგინალიზაციას აძლიერებს და გავლენას ახდენს ლგბტი უფლებების დაცვის მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკის ეფექტიანობაზე. სხვადასხვა სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფის მიერ წარმოებული პომოფობიური დღის წესრიგის საპირისპიროდ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სეკულარული, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას და ხშირად ღია ლობიაობას იჩენს დომინანტი რელიგიური ჯგუფისა და დისკურსის მიმართ.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ყოვლისმომცველი აღწერა და დოკუმენტირება. დოკუმენტი მიმოიხილავს ლგბტი პირთა მდგომარეობას თითოეულ უფლებასთან მიმართებით; გამოყოფს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და უფლებრივ დონეზე არსებულ სისტემურ ხარვეზებს და შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს რელევანტური სახელმწიფო უწყებებისადმი.

ანგარიშის მიზნები და ამოცანები

ანგარიშის მიზანია ლესოსლელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის სრული სურათის ჩვენება, არსებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური და უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი და ლგბტი პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით კომპლექსურ შეფასებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფოსა და ლგბტი უფლებებზე მომუშავე სხვა ინსტიტუციებისთვის.

ანგარიშის ამოცანაა, კვლევაზე დაფუძნებით იდენტიფიცირებულ ხარვეზებსა თუ პრაქტიკულ პრობლემებს დაუპირისპიროს სისტემური და შედეგზე ორიენტირებული სტრატეგია, რომელიც მონოდებული იქნება, შეამციროს დისკრიმინაციული პრაქტიკა ლგბტი პირთა მიმართ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ანგარიშის მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვების პროცესი

წინამდებარე ანგარიშის მეთოდოლოგია და კვლევის სტრუქტურა შემუშავებულია სომხეთში არასამთავრობო ორგანიზაციასთან – „საზოგადოება ძალადობის გარეშე“ (SWV) თანამშრომლობით, რომელიც ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში აწარმოებს იდენტიურ კვლევას სომხეთში არსებული ლოკალური კონტექსტის გათვალისწინებით.

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მასზე მუშაობის დროს მკვლევართა ჯგუფმა გამოიყენა ერთდროულად რამდენიმე მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, რაც საკვლევი ობიექტის ბუნებისა და ანგარიშის ამოცანებით იყო განპირობებული.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ორი ძირითადი მეთოდი:

1. ლგბტი თემის წევრებთან გამართული ფოკუს-ჯგუფების, ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუების, ექსპერტებთან ჩანერი-ლი ინტერვიუების დამუშავება.
2. უკვე არსებული მეთრადი მონაცემების – საკანონმდებლო აქტების, პოლიტიკის დოკუმენტების, რეზოლუციების, ანგარიშების, კვლევების, პუბლიკაციების, სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციისა და სხვა მასალის დამუშავება;

1. ინფორმაციის მოპოვება და შეგროვება სამიზნე ჯგუფების გამტკიცების მეთოდით

კვლევის ფარგლებში თვისობრივი კვლევის მეთოდით მოხდა პირველადი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ემსახურებოდა მეთრადი წყაროებით მიღებული ინფორმაციის რელევანტურობისა და აქტუალურობის შეფასებას, ასევე, ახალი პრობლემების იდენტიფიცირების მცდელობას, რისთვისაც გამოყენებულ იქნა სამი განსხვავებული კვლევის ტექნიკა:

- ფოკუს-ჯგუფი;
- სიღრმისეული ინტერვიუები;
- ინტერვიუები ექსპერტებთან;

ა) ფოკუს-ჯგუფი

კვლევის ფარგლებში გაიმართა სამი სამიზნე ფოკუს-ჯგუფი თბილისში. გამართვის პერიოდი – 2015 წლის ივლისი. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა: ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები³, გეი და ბისექსუალი კაცები⁴, ტრანსგენდერი ადამიანები (MtF; FtM; აგენდერი)⁵.

შენიშვნა: კვლევის მიზნებისათვის, ბენეფიციარებისა და თემის იდენტიფიცირების პრობლემის გამო, ინტერნეტის ადამიანების ჩართვა ვერ მოხდა ხარისხობრივ კვლევაში.

ბ) სიღრმისეული ინტერვიუ

სიღრმისეული ინტერვიუები გეი/მსმ და ტრანსგენდერ სექსუალებთან

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა გეი/მსმ და ტრანსგენდერ სექსუალებთან (სულ 5 რესპოდენტი)⁶. აღნიშნული მეთოდის გამოყენება განაპირობა მოცემულ ჯგუფში ანონიმურობის დაცვის მაღალმა აუცილებლობამ, რადგანაც მათი ცხოვრებისეული გამოცდილება თუ პერსონალობის ხასიათდება განსაკუთრებული სპეციფიკურობით, შესაბამისად, მოცემულ ჯგუფთან სიღრმისეული ინტერვიუ წარმოადგენდა ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს.

გამოყენებული მეთოდის ლიმიტაციები:

ხუთი რესპოდენტის გამოკითხვის პირობებში რთულია, ვისაუბროთ ინფორმაციის განზოგადებისა და გენერალიზების ვალიდურობაზე მთელი ჯგუფის მასშტაბით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული თემის წარმომადგენლები, თავისთავად, მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოცემულ საზოგადოებაში, ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია, გამოკვეთილი ტენდენციები და იდენტიფიცირებული პრობლემები არის ერთგვაროვანი, მსგავსი და ანალოგიური გეი/მსმ და ტრანსგენდერი სექსუალების ჯგუფის მასშტაბით.

სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან

საკითხის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მკვლევართა ჯგუფმა მოახდინა სახელმწიფო ინსტიტუციებისა და თემში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა/ექსპერტების ინტერვიუება.

2. მეორადი ინფორმაციის დამუშავების მეთოდები და ინსტრუმენტები

ანგარიშზე მუშაობის ერთ-ერთ მეთოდად გამოყენებულია სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებში ანგარიშზე მომუშავე ჯგუფმა მოიძია და შეაფასა ლგბტი პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტთა ბაზა.

ანგარიშში ასახული ინფორმაცია ეფუძნება ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებულ ძირითად და დამატებით წყაროებს:

ა) ძირითადი წყაროების მოძიება და შეფასება

ძირითადი წყაროების შეფასების მიზნით მოძიებულ იქნა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს და განსაზღვრავს ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს. ამასთან, კანონმდებლობის აღსრულების სტანდარტების შეფასების მიზნით მკვლევართა ჯგუფმა დაამუშავა საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები.

ბ) დამატებითი წყაროების მოძიება და შეფასება მოხდა სამი ძირითადი მიმართულებით:

1. სახელმწიფო ინსტიტუტებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დოკუმენტირება და შეფასება

- 3 მონაწილეთა რაოდენობა: 12 (თორმეტი) მონაწილე; ასაკობრივი ინტერვალი: 18-დან 31 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი; მონაწილეთა სექსუალური ორიენტაცია: 8 (რვა) ლესბოსელი, 4 (ოთხი) ბისექსუალი.
- 4 მონაწილეთა რაოდენობა: 8 (რვა) მონაწილე; ასაკობრივი ინტერვალი: 20-დან 25 წლამდე, და ერთი 36 წლის რესპოდენტი; მონაწილეთა სექსუალური ორიენტაცია: 6 (ექვსი) გეი, 2 (ორი) ბისექსუალი.
- 5 მონაწილეთა რაოდენობა: 7 (შვიდი) მონაწილე; ასაკობრივი ინტერვალი: 25-დან 37 წლამდე, და ერთი 20 წლის რესპოდენტი; მონაწილეთა გენდერული იდენტობა: 5 (ხუთი) ტრანსგენდერი კაცი; 1 (ერთი) ტრანსგენდერი ქალი; 1 (ერთი) აგენდერი;
- 6 გეი/მსმ და ტრანსგენდერი სექსუალები 5 (ხუთი) რესპოდენტი; ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი – თბილისი; ინტერვიუების გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია: ინტერვიუები #1 – ტრანსგენდერი ქალი (25 წლის); ინტერვიუები #2 – გეი, ქროსდრესური (22 წლის); ინტერვიუები #3 – გეი, ქროსდრესური (24 წელი); ინტერვიუები #4 – ტრანსგენდერი ქალი (23 წლის); ინტერვიუები #5 – ტრანსგენდერი ქალი (19 წლის).

სახელმწიფო ინსტიტუტებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ემსახურებოდა ოთხ ძირითად მიზანს:

- სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად დაგეგმილ ან/და უკვე შესრულებულ ღონისძიებათა დოკუმენტირებას;
- სახელმწიფო ინსტიტუტებიდან კონკრეტულ თემატიკაზე არსებული ოფიციალური პასუხის/პოზიციის დოკუმენტირებას;
- კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის არარსებობის ან არსებული, თუმცა არასრულყოფილი, ინფორმაციის დამზუსტებას;
- სტატისტიკურ ინფორმაციათა მოპოვებას.

2. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოცემული საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები

მკვლევართა ჯგუფმა ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიზნით გააანალიზა სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები.

3. საქართველოში ლგბტი თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციათა/ექსპერტთა კვლევები და ანგარიშები

ლგბტი პირთა დისკრიმინაციული და უფლებათა დარღვევის პრაქტიკის დოკუმენტირების მიზნით მკვლევართა ჯგუფმა მოიძია და გააანალიზა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევები, პოლიტიკის დოკუმენტები და ანგარიშები. აღნიშნულ დოკუმენტებს წინამდებარე კვლევა საბაზისო/ძირითად წყაროდ იყენებს და ერთგვარად ახდენს მათ კომპილაციას.

4. საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტების მოძიებისა და შეფასების ინსტრუმენტი

საქართველოში არსებული სამართლებრივი გარემოს საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებისა და დადგენილი სტანდარტებით ნაკისრი ვალდებულებების დეტალური ანალიზისთვის მკვლევართა ჯგუფი დაეყრდნო შემდეგ ძირითად საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტებს: 1. გაერო და მისი ძირითადი ინსტიტუტების დოკუმენტები (რეზოლუციები, ზოგადი კომენტარები, ანგარიშები); 2. ეუთოს სტანდარტები; 3. ევროსაბჭოს სტანდარტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები; 4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

ამასთან ანგარიში იყენებს ლგბტი საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების კვლევებს/ანგარიშებს.

ანგარიშის სტრუქტურის განსაზღვრის ინსტრუმენტი

წინამდებარე ანგარიშის სტრუქტურის განსაზღვრის ბაზისად გამოყენებულია „სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის დაძლევის გზების შესახებ“ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2010) 5 რეკომენდაციის სტრუქტურა⁷, რომელმაც განიცადა მოდიფიცირება, ლოკალური სპეციფიკიდან გამომდინარე.

ანგარიშში დასმული საკითხების/უფლებების ინდივიდუალური შეფასების მეთოდიკა

თითოეულ საკითხს/უფლებას ანგარიში შემდეგ ფაქტორთა სპექტრში აანალიზებს:

- უფლების სამართლებრივი რეგულირება და მასშტაბი;
- სამართლებრივი რეგულირებისა და დაცვითი გარანტიების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მასშტაბი;
- უფლებათა დარღვევების სისტემური მიზეზები.

თითოეული საკითხის/უფლების დოკუმენტირებისა და ანალიზის სტრუქტურა

თითოეული უფლების (თავის) ანალიზის სტრუქტურა ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ IRAC ფორმატს, რომლის საფუძველზეც თითოეულ თავში გამოიყოფა:

- საკითხის ზოგადი აღწერა;
- ნორმატიული რეგულირება (საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული სამართლებრივი გარემო);
- სიტუაციური ანალიზი/არსებული პრაქტიკა;
- დასკვნა.

⁷ Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity (Adopted by the Committee of Ministers on 31 March 2010 at the 1081st meeting of the Ministers' Deputies)

გარკვეული თავებისა და უფლებების განხილვის სტრუქტურა შესაძლოა, განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რაც კონკრეტულ საკითხთა განხილვის სპეციფიკით არის განპირობებული.

კვლევის ლიმიტაციები

წინამდებარე კვლევას არ აქვს პრეტენზია, სრულად ამოწეროს მასში წარმოდგენილი საკითხების პრობლემურობა და გადანყვეტის გზები; მეთოდოლოგიური ლიმიტებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, არ ახდენს თითოეული თემატიკის თაობაზე არსებულ პრობლემათა ყოველმხრივ და დეტალურ შეფასებას და ძირითადად მისი მიზანია ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ყოვლისმომცველი კომპილაციის მომზადება, რომელიც მიმდინარე პოლიტიკის დინამიკას, პროგრესსა და ხარვეზებს წარმოაჩენს. ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები და რეკომენდაციები მთავრობისთვის, საერთაშორისო, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ლგბტი უფლებების დაცვის მიზნით პოლიტიკისა და სტრატეგიის დაგეგმვის წინაპირობას ქმნის.

სოციოკულტურული გარემო და ინსტიტუციური კომპოზიცი

საქართველოში არ განხორციელებულა სიღრმისეული კვლევა, რომელიც საზოგადოებაში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის მასშტაბებს გამოზავდა, თუმცა ფრაგმენტული კვლევებით შესაძლებელია ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის იდენტიფიცირება. CRRC-ის 2011 წლის „კავკასიის ბარომეტრის“ შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 88%-ს მიაჩნია, რომ ჰომოსექსუალობა არასოდესაა გამართლებელი⁸. 2013 წლის კვლევამ ასევე დაადასტურა უარყოფითი განწყობა ჰომოსექსუალების მიმართ – თბილისში გამოკითხულთა 32%-თვის (n 542) ჰომოსექსუალები ყველაზე არასასურველი მეზობლები არიან⁹.

ამასთან, საზოგადოების ჰომოფობიურობის ერთგვარ ტესტს წარმოადგენდა 2012 და 2013 წლის 17 მაისს ლგბტი პირთა და მის მხარდამჭერთა მასობრივი დარბევა და შემდგომ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევები.

ანტი-ლგბტი დისკურსის გაძლიერება ასევე უკავშირდება საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის განვითარებას. საქართველომ ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე მუშაობა (PCA) 1994 წლიდან დაიწყო. ამ შეთანხმებამ, რომელსაც ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს მოაწერეს ხელი, განსაზღვრა ის ძირითადი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობები. ხელშეკრულება 1999 წელს შევიდა ძალაში. 1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, საქართველომ დაიწყო ქვეყნის კანონმდებლობის პარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა და კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და სახელმწიფოს დასავლური კურსის საპირისპიროდ ასევე გაძლიერდნენ ამ კურსის მონინალდმდევე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალები, რომელთა დისკურსი მთლიანად „დასავლეთის“ მტრად განხილვასა და მის ეროვნულ-კულტურულ ღირებულებებთან შეუთავსებლობის წარმოჩინებას ემსახურებოდა¹⁰.

გენდერისა და სექსუალობის დასავლურ იმპორტად განხილვით, აღნიშნული საკითხები პოლიტიზირდა და სრულიად გასცდა უფლებრივ განზომილებას, აღნიშნული თემები კი პოლიტიკური სუბიექტების მიერ ელექტორატის მანიპულაციისა და ეროვნულ-რელიგიურ სენტიმენტებზე ზემოქმედების ინსტრუმენტად გადაიქცა¹¹.

არსებულ სოციოპოლიტიკურ სისტემაში ლგბტი პირთა მიმართ მტრობას საფუძვლად უდევს რელიგიური დისკურსიც, რომელიც ჰომოსექსუალობას ქართული ღირებულებებისადმი საფრთხედ წარმოაჩენს. ამგვარი დისკურსები მეტწილად არის დაკავშირებული ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის, როლის ზრდასა¹² და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩარევასთან¹³. ჰომოფობიური სიძულვილის ენის ტირაჟირებით ხშირად სწორედ რელიგიური პირები გამოირჩევიან, რომელთა მობილიზაციის მთავარი სტრატეგია „ქართული მართლმადიდებლობის ღირებულებების“ დაცვასა და საჯარო სივრცის „ცოდვისგან განწმენდის“ რიტორიკაში ვლინდება¹⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების გამოცდილება ასევე აჩვენებს ლგბტი თემტიკასთან დაკავშირებით არსებული დისკურსის სახეცვლილებას, რომელიც შეიმჩნევა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო განცხადებებში, ისე მედიაში აღნიშნული თემტიკის ნეიტრალურად განხილვაში, რაც არსებითად პოზიტიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს.

ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება საკითხის დეპოლიტიზება და წლების განმავლობაში წარმოებული დისკრიმინაციული და იგნორირების პოლიტიკის შეცვლა, რომელიც უნდა დაეფუძნოს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის დაცვის იდეას. ამ მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელისუფლებისა და საჯარო პოლიტიკის სეკულარიზება და სახელმწიფოს მიერ რელიგიური ნეიტრალიტეტის განუხრელი დაცვა.

8 იხილეთ: <http://caucasusbarometer.org/en/cb2011ge/JUSHOMO/>

9 CRRC, 17 მაისის კვლევა, 2013, იხ: <http://blog.crcc.ge/2015/05/2.html>

10 უფრო დეტალურად იხილეთ აღნიშნული ანგარიშის „სიძულვილის ენის“ თავი.

11 დეტალურად იხილეთ MDF, სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოხატვა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, მედიაში მონიტორინგის შედეგები, 17 თებერვალი-17 მაისი, 2014. იხ: http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Hate_speech_in_political_discourse.pdf

12 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ CRRC-ის კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 72% სრულად ენდობა მართლმადიდებელ ეკლესიას. იხ: <http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/TRUGOCH/>

13 ეკა ალდგომელაშვილი „იდეოლოგიური ჰომოფობია“, ჟურნალი „სოლიდარობა“, 2009, N3 (30). იხ: <http://lesbi.org.ka/2015/10/15/ideology/>

14 იქვე, ასევე იხილეთ, MDF-ის 2014-2015 წლის ანგარიში.

საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო

საკანონმდებლო ცვლილებების ზოგადი მიმოხილვა

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა

2014 წლამდე საქართველოში არ არსებობდა ერთიანი, უნიფიცირებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც შექმნიდა სახელმწიფოს მხრიდან ყველა ფორმის დისკრიმინაციასთან ბრძოლის მზაობას და მას ადეკვატურ სამართლებრივ მექანიზმს დაუქვემდებარებდა. 2014 წლის 2 მაისს მიღებულმა კანონმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ რეალობა შეცვალა, კანონმა გააერთიანა საერთაშორისოდ აღიარებული ყველა დაცული საფუძველი, მათ შორის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. კანონის აღსრულების მექანიზმად სასამართლოსთან ერთად განისაზღვრა სახალხო დამცველის აპარატი, რომლის ფარგლებშიც შექმნილმა სპეციალურმა თანასწორობის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციის საქმეებზე.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წელს მიიღეს. კანონმა განსაზღვრა თანასწორობის პრინციპები ყველაზე პრობლემურ სფეროებში, მათ შორის განათლებასა და დასაქმების პროცესში.

თუმცა თავად კანონი სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე ცალკე ჩანაწერს არ შეიცავს, ამასთანავე, არ არის აღჭურვილი ეფექტიანი აღსრულების მექანიზმით, ამიტომ ის მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა

2012 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები მხოლოდ რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და ენობრივ ნიშნებს მოიცავდა, საიდანაც ავტომატურად გამოირიცხებოდა დანაშაულები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისა და დაცული საფუძველთა სრულყოფის მიზნით, 2012 წლის 27 მარტიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53.3¹ მუხლი, რომელმაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სიძულვილის მოტივი კოდექსში მითითებული ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა. ნორმის მიღება განაპირობა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) საქართველოს მიმართ 2010 წლის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციამ, რომელშიც ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, განესაზღვრა რასობრივი მოტივი სისხლის სამართლის ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად¹⁵.

აღნიშნული ცვლილება არსებითად დადებით მოვლენად შეგვიძლია განვიხილოთ, თუმცა ნორმის პრაქტიკაში გამოუყენებლობა და არარსებული სტატისტიკა მისი ქმედითობის შესახებ დასაბუთებულ ეჭვს წარმოშობს.

რელევანტური პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამთავრობო სამოქმედო გეგმა

2014 წელს დამტკიცდა ადამიანის უფლებათა 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა და 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტების მიღება არსებითად წინგადადგმული ნაბიჯია, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმა პირველი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც გამოყოფა ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმა აღნიშნულ თემატიკას ცალკე თავს არ უთმობს და მას გენდერული თანასწორობის თავში (14) აერთიანებს.

გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა საქართველოში არსებობს თემატური სამთავრობო გეგმებიც, მათ შორის მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა; წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა; ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა.

15 ECRI Report on Georgia, CRI (2010)17, fourth monitoring cycle, Adopted on 28 April, პარა. 11, ob: <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-Cbc-IV-2010-017-ENG.pdf>

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

1. ლგბტი მიმართ არსებული უთანასწორო გარემო და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა

1.1. სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის განვითარება საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში

საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი ჰომოფობიური და ტრანსფობიური დამოკიდებულებების შედეგად, რომელიც ხშირად სახელმწიფოში ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის არარსებობით პროვოცირდება, ბევრი ლეზბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანი ექვემდებარება უფლებათა დარღვევის ფართო სპექტრს, რომელიც მათ ხელს უშლის, სხვების თანაბრად ისარგებლონ ფუნდამენტური უფლებებით.

საერთაშორისო საზოგადოება ბოლო წლების განმავლობაში არსებით ძალისხმევას წევს ლგბტი პირთა თემის ხილვადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად. მართალია, ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ¹⁶, პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ¹⁷ სეპარაციულად არ შეიცავს სოგი-ს ნიშანს, თუმცა განმარტებით დოკუმენტებსა თუ გადაწყვეტილებებში აღწერს აღნიშნულ საფუძველებს. 1994 წლის საქმეში *Toonen v. Australia*¹⁸ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიუთითა, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან ინდივიდები სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან. აღნიშნული პოზიცია აისახა ასევე კომიტეტის შემდგომ გადაწყვეტილებაშიც¹⁹ და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის N.20 ზოგად კომენტარშიც, სადაც აღინიშნა, რომ პაქტში მითითებული „სხვა სტატუსი“ გულისხმობს სოგი-ს საფუძველსაც²⁰.

2003 წლიდან გაეროს გენერალური ასამბლეა პერმანენტულად მოუწოდებდა სახელმწიფოებს, ყურადღება გაემახვილებინათ სოგი-ს საფუძველზე ადამიანთა გახშირებული მკვლელობების აღკვეთაზე. 2011 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო პირველი რეზოლუცია 17/19, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, რომელშიც ღრმა მწუხარება გამოხატა ლგბტი პირთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის პრაქტიკის გამო²¹. რეზოლუციას მოჰყვა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის პირველი ოფიციალური ანგარიში A/HRC/19/41, სადაც კომისიამ დისკრიმინაციული პრაქტიკის ნეგატიურ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება და გამოყო დისკრიმინაციის თვალსაზრისით ყველაზე პრობლემური სფეროები, რომელთა შორის მოექცა შრომითი ურთიერთობები, ადევკატური საცხოვრისისა და სოციალური დაცვის უფლებები²². კომისიამ მიუთითა, რომ შრომით ურთიერთობაში ხშირად აღინიშნება დისკრიმინაცია ლგბტი პირთა მიმართ, რადგანაც ისინი არ ჯდებიან სქესისა და გენდერის შესახებ ბინარულ აღქმებში²³, რაც ასევე იწვევს შევიწროების პრაქტიკასაც²⁴.

ამასთანავე, 2007 წელს მიღებული იოგიაკარტას პრინციპები²⁵, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებით, მიუთითებს, რომ ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ადამიანის უფლებებით სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. კანონი უნდა კრძალავდეს ნებისმიერ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფდეს ყველასთვის უფლებათა თანასწორად დაცვის გარანტირებას²⁶.

გარდა აღნიშნულისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე სიღრმისეულად მოიცავს დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის სახელმწიფოს გასატარებელ ღონისძიებებს და მას ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ბოლო თემატური დოკუმენტი, რომელიც ინტერსექსი ადამიანების მდგომარეობას ეხება და სახელმწიფოებს მოუწოდებს, არსებითი ყურადღება გაამახვილონ და არ გამოირიცხონ მათი უფლებე-

16 მუხლი 2.1.

17 მუხლი 2.2.

18 *Toonen v. Australia*, communication No. 488/1992 (CCPR/C/50/D/488/1992)

19 *Young v. Australia*, communication No. 941/2000 (CCPR/C/78/D/941/2000)

20 E/C.12/GC/20, პარა. 32

21 A/HRC/RES/17/19, იხ: <http://arc-international.net/wp-content/uploads/2011/09/HRC-Res-17-19.pdf>

22 A/HRC/19/41, პარა. 50

23 იქვე

24 იქვე, პარა. 53

25 იხ: http://www.yogyakartaprinciples.org/principles_en.htm

26 იქვე

ბი ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის დაგეგმვისას. კომისარმა ხაზი გაუსვა ინტერსექსი ბავშვების უფლებადარღვევის ფაქტებს, მათ შორის არააუცილებელი სამედიცინო ჩარევის, სტერილიზაციისა და გენიტალიების „ნორმალიზების“ პრაქტიკას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ნაშვებსა და არაადამიანურ მოპყრობასაც კი შეიძლება გაუთვალდეს²⁷. დოკუმენტი ასევე მსჯელობს „გენდერული იდენტობისა“ და „სექსუალური“ ორიენტაციის“ ტერმინების მსგავსად, კანონმდებლობაში ინტერსექსი ადამიანების „სქესობრივი მახასიათებლების“²⁸ დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძვლად ცალკე მოხსენიების, როგორც მათი ხილვადობისა და აღიარების შესაძლებლობაზე²⁹.

1.2. ეროვნულ კანონმდებლობაში სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტებისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მიმოხილვა

საქართველოს კანონმდებლობა თავისი შინაარსით დისკრიმინაციული არ არის. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, თუმცა სოგი-ს დაცულ საფუძველებში ცალკე არ გამოყოფს; სიტყვა-სიტყვით ნაკითხვით დებულება ამომწურავია, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრეცედენტული სამართლით ადასტურებს ჩამონათვალის ლიაობას³⁰.

სექსუალურ ორიენტაციასთან მიმართებით არსებითად საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სისხლის დონორობის აკრძალვას ჰომოსექსუალი და მსმ მამაკაცებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოყალიბებული დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კონსტიტუციის აღნიშნული დებულების „მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა [...] მხოლოდ ვინაობა განმარტებული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეში“³¹.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხზე მსჯელობისას სადავო ნორმა ძალადაკარგულად ცნეს, სასამართლომ მაინც გააგრძელა მსჯელობა და განმარტა, რომ „განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა არსებითად თანასწორ პირებს შორის ადგენს გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო მოპყრობას და უფლებას ზღუდავს იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად [...] შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის ძირითად უფლებას“³².

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი გვხვდება ისეთ თემატურ საკანონმდებლო აქტებში როგორებიცაა: ჯანმრთელობის შესახებ კანონი (მ. 6.1.), ზოგადი განათლების შესახებ კანონი (მ.13.3.), უმაღლესი განათლების შესახებ კანონი (მ.3.2(თ)), გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი სოგი-ს საფუძველზე გვხვდება შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტშიც, რომელშიც 2013 წლის 12 ივნისის განხორციელებული პოზიტიური ცვლილების საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვის საზღვრები გაფართოვდა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიც მოიცავს³³.

2014 წლის 2 მაისს ცვლილება შეეხო სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც, კერძოდ, 142-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის) საფუძველზე სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა დაემატა³⁴.

27 Human rights and intersex people, Issue paper, Council of Europe Commissioner for Human Rights, nb: <https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2768767&SecMode=1&DocId=2282716&Usage=2>

28 ინტერსექსი ასახავს სხეულის ბიოლოგიურ მახასიათებლებს და მისი დაკავშირება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან არასწორია, შესაბამისად, დისკრიმინაციისგან დაცული ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა ან სქესი, სრულად ვერ ფარავს ინტერსექს ადამიანებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, ის გამოიყოს ცალკე დაცულ საფუძველად, როგორც „სქესობრივი მახასიათებლები“. FRA, The fundamental rights situation of intersex people, 2015. nb: <http://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2015-focus-04-intersex.pdf>

29 გეშოთ სქოლიო 21, გვ. 44

30 შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2008, 32/1-392, თავი 2, პარა. 2

31 ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გიორგი გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, №2/1/536, 04.02.2014, თავი 2, პარა. 22

32 იქვე, თავი 2, პარა. 49

33 nb: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1951529#DOCUMENT:1>

34 nb: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339385#DOCUMENT:1>

1.2.1. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება და მისი აღსრულების მექანიზმები

2014 წლის 2 მაისს მიღებული კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს საკანონმდებლო სივრცისათვის არსებითად წინ გადადგმული ნაბიჯია, მით უმეტეს, რომ ის დისკრიმინაციისაგან დაცულ საფუძვლებს შორის სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას ცალკე გამოყოფს.

კანონის შინაარსი და მის მიერ გათვალისწინებული დისკრიმინაციისგან დაცვის საშუალებები მკვეთრად განსხვავდება იმ მოდელისგან, რომელსაც ოსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის პირველადი ვერსია ითვალისწინებდა და რომელიც შეიცავდა კანონის აღსრულების სპეციალურ და ეფექტიან მექანიზმს, თანასწორობის დაცვის ინსპექტორის სახით. დამტკიცებულმა კანონმა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე შედამხედველობის უფლებამოსილება სახალხო დამცველს³⁵ და სასამართლოს დააკისრა. მნიშვნელოვანია, რომ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში³⁶.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანონი მოკლებულია აღსრულების ეფექტიან მექანიზმს; სახალხო დამცველის რეკომენდაციებსა და ზოგად წინადადებებს არ აქვთ სავალდებულო ხასიათი. ადმინისტრაციული ორგანოებისგან განსხვავებით, რომელთა მიმართ, რეკომენდაციის შესრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს ადმინისტრაციული დავის ინსტრუმენტი აქვს, კერძო პირებისადმი გაცემული მისი რეკომენდაცია სრულიად მოკლებულია აღსრულების უზრუნველყოფის სამართლებრივ შესაძლებლობას და მისი გამოარება მხოლოდ კერძო პირის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამასთან, მცირე სასარჩელო ხანდაზმულობის 3 თვიანი ვადის დაწესების გამო³⁷ (შრომითი და ადმინისტრაციული დავების შემთხვევაში ის ერთი თვეა), ის, ფაქტობრივად, გამორიცხავს სასამართლო სისტემისა და სახალხო დამცველის მექანიზმების კომპლემენტარულ გამოყენებას და მათ სამართლებრივი დაცვის ალტერნატიულ საშუალებებად აქცევს.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანონი შეიცავს სასამართლოს გზით მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, პრობლემურია თავად მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისა და ზიანის გამოთვლის კრიტერიუმები. მოქმედი სასამართლო პრაქტიკა, მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის პირისგან მის მიმართ მიყენებული სტრესის დასაბუთებას მოითხოვს, რაც სერიოზულად ართულებს კომპენსაციის შესაძლებლობას. ამ პირობებში მნიშვნელოვანია, კანონმა ნათლად განსაზღვროს მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა *per se* საკმარისად მიიჩნოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის, ზიანის მასშტაბი კი დიფერენცირების ინტენსივობაზე, მსხვერპლის მოწყვლადობასა და სხვა გარემოებებზე იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, ზემოთ მითითებული სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზების გამოსწორების გარდა, აუცილებელია, კანონმა ასევე ასახოს მორალური ზიანის ანაზღაურების ნათელი პირობები და კრიტერიუმები³⁸.

ამასთან, სასამართლო მექანიზმის ეფექტიანი გამოყენება ფერხდება მოსამართლეების მიერ სათანადო ცოდნის, სენსიტიურობისა და ტექნიკის არქონის გამო, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისკრიმინაციული ფაქტის იდენტიფიცირებისა და დადგენისათვის არის აუცილებელი. ზოგჯერ უთანასწორო მოპყრობის კონცეფცია მათთვის გაუგებარია, რაც ხშირად ხდება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მიზეზი.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2015 წლის ნოემბერში საქართველომ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენებისა და არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მიიღო³⁹. წევრი სახელმწიფოები საქართველოს მოუწოდებენ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ ფართო საზოგადოების, სამართალდამცავთა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლების სათანადო ინფორმირებისა და შესაბამისი ცვლილებების კენ, რათა დისკრიმინაციის ფაქტებზე სახალხო დამცველს მიენიჭოს დაჯარიმებისა და სხვა სანქციების გამოყენების კომპეტენცია⁴⁰.

1.2.2. სოჯი-ს ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეების განხილვის პრაქტიკის მიმოხილვა

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე და მისი მიღების შემდეგ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შეფასების მიზნით, EMC-მ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო სასამართლოებს, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით წარმოებული

35 მუხლი 6.1.

36 მუხლი 3.

37 მუხლი 6.2.

38 დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში ცვლილებები ინიცირებულია, თუმცა უცნობია, კონკრეტულად, რომელ ჩანაწერებზე აისახა, რადგანაც მიმდინარე დროისთვის პარლამენტს ცვლილებები არ დაუმტკიცებია.

39 A/HRC/WG.6/23/L.12, UN HRC, Draft report of the Working Group on the Universal Periodic Review on Georgia, nb: http://www.upr-info.org/sites/default/files/document/session_23_-_november_2015/a_hrc_wg_6_23_l12.pdf

40 იქვე, პარა. 117.2.

სოკი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის საქმეების გაზიარება. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან EMC-ის ეცნობა⁴¹, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით წარმოებული საქმეების აღრიცხვა ხდება დავის კატეგორიების მიხედვით და მასში არ აღირიცხება პროცესში მონაწილე პირთა დისკრიმინაციის საფუძველები“. მსგავსი პასუხები მიიღო ორგანიზაციამ სხვა ტერიტორიული და ინსტანციური სასამართლოებიდანაც⁴².

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, ანტიდისკრიმინაციული კანონის ძალაში შესვლის დღიდან 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით სახალხო დამცველის აპარატი შევიდა 107 საჩივარი/განცხადება⁴³, რომელთაგან 11% შეეხება განმცხადებლის სოკი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტს⁴⁴. სახალხო დამცველის აპარატიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის⁴⁵ მიხედვით ირკვევა, რომ სოკი-ს საფუძველზე დისკრიმინაცია ყველაზე ხშირად აღინიშნება სხვადასხვა სერვისით სარგებლობისას. მაგალითად, ერთ-ერთი საქმის მიხედვით, განმცხადებლებმა დისკრიმინაცია განიცადეს სწრაფი კვების ობიექტისა და გორის ერთ-ერთი კაფეს მხრიდან, სექსუალური ორიენტაციის გამო (საქმე N 2247/15).

სერვისების მიწოდებისას დისკრიმინაციული მოპყრობის ტენდენციის არსებობას ადასტურებენ კვლევის ფარგლებში გამართულ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილე რესპონდენტებიც, განსაკუთრებით კი ტრანსგენდერი ადამიანები. ამასთან, დისკუსიის მონაწილეებმა დისკრიმინაციის მხრივ ყველაზე პრობლემურ სფეროდ შრომითი ურთიერთობები დაასახელეს⁴⁶ (დეტალურად იხილეთ ქვემოთ – დასაქმების უფლება).

1.3. დასკვნა

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით, კანონმა მართლაც შემოიტანა ახალი რეალობა საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში, რომელმაც შექმნა უფლებათა რეალიზაციისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფელი ინსტრუმენტული ნორმები, თუმცა სახელმწიფო ვერ ახერხებს აღებული ვალდებულებების ეფექტურ უზრუნველყოფას.

კანონით გათვალისწინებული სუსტი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმისა და თანმიმდევრული, ეფექტური ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის არ არსებობის პირობებში, დისკრიმინაციისაგან გამონეული ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა არათუ საზოგადოებრივ, ინდივიდუალურ დონეზეც თითქმის შეუძლებელი ხდება. ამგვარად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს და გააანალიზოს ერთი წლის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტების რეკომენდაციები და მის საფუძველზე დაეგმოს კანონის აღსრულების მექანიზმების ქმედითობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯები.

2. სიცოცხლის უფლება, უსაფრთხოება და ძალადობისგან დაცვა

2.1. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

2.1.1. პრობლემის აღწერა

ლგბტი პირთა მიმართებით საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური და მკვეთრად ნეგატიური განწყობა ხშირად ძალადობრივ ფორმებში გამოიხატება და თემის წევრების სოციალურ იზოლაციასა და მარგინალიზაციას განაპირობებს. ჰომოფობიური და ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულების აღკვეთისა და ეფექტიანი გამოძიების მიზნით სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა არსებულ რეალობაში ტენდენციის სახეს ატარებს, რაც დაუსჯელობის სინდრომს ქმნის და ძალადობას ახალისებს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ სამართალდამცავი ორგანოები არ აწარმოებენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ოფიციალურ სტატისტიკას. ეს გარემოება, ერთი მხრივ, აჩვენებს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ხედვა და სტრატეგია, მეორე მხრივ კი, მიუთითებს, რომ სახელმწიფო გულგრილია მსგავსი ტიპის დანაშაულების პრევენციის მიმართ. სახელმწიფოს მიერ შეგროვებული და გასაჯაროებული ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მკვეთრად დაბალია და არ ასახავს რეალურად არსებულ მდგომარეობას. მიმართვიანობის დაბალი მანველებელი არსებითად სამართალდამცავი ორგანოებისადმი თემის წევრების ნდობის დეფიციტით, გამოძიების არაეფექტიანობის პრობლემითა და

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს საპასუხო წერილი N100, 09.09.2015

42 თბილისის საქალაქო სასამართლოს საპასუხო წერილი N1084328, 10.09.2015; ბათუმის საქალაქო სასამართლოს საპასუხო წერილი N21481/15-529/კ, 11 სექტემბერი, 2015 წელი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს საპასუხო წერილი N119, 09/09/2015. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საპასუხო წერილი N12655, 15 სექტემბერი, 2015.

43 სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, სექტემბერი, 2015 წელი, გვ. 10

44 მაღალი მიმართვიანობა ამ ნიშნებზე იმით უნდა აიხსნას, რომ ლგბტ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ხელს უწყობენ ამ პროცესს და ეს თემის წევრების აქტიურობით/ლიაობითა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობით არ უნდა აიხსნას.

45 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საპასუხო წერილი, 2015 წლის 2 სექტემბერი, N08-2/7110.

46 ფოკუს-ჯგუფი ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებთან 22.07.2015; ფოკუს-ჯგუფი ტრანსგენდერ ადამიანებთან 17.07.2015

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

არასათანადო მოპყრობის მიძე და ტრანსგენდერული გამოცდილებით უნდა აიხსნას. ლგბტი ადამიანების ჩაგვრასა და დამცირებაზე პოლიციის მხრიდან არაეფექტიანი რეაგირების პოლიტიკამ თემის წევრები მრავალჯერადი ძალადობის მსხვერპლად აქცია.

2.1.2. რელიგიური საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მოქმედი დეფინიციის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს „ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ, მათ შორის ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც მსხვერპლი, ობიექტი ან სამიზნე შერჩეულია მისი რელიგიური ან ნაგარაუდები კავშირით, მიკუთვნებით, მხარდაჭერით, აფილირებით ან წევრობით [კონკრეტული] ჯგუფის მიმართ“⁴⁷. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისა და კანონის უზენაესობისათვის რეალურ საფრთხეს, მიზნად ისახავს საზოგადოების დაყოფას და მათ დიფერენცირებას და უპირისპირდება ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელზეც ადამიანის საყოველთაო უფლებების უნივერსალურობა დგას.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების აღკვეთა მეტწილად დამოკიდებულია შესაბამის ეროვნულ რეგულაციებზე, ადეკვატურ ღონისძიებებსა და პროცედურებზე⁴⁸. დისკრიმინაციული მოტივის დაგმობით, მისი კანონმდებლობაში ასახვითა და პრაქტიკული ზომების მიღებით, სახელმწიფო პროაქტიულად ახდენს დანაშაულის აღკვეთას, რაც ასევე აიოლებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, მისი შემდგომი დამუშავების მიზნით და ჯგუფის ხილვადობასაც უზრუნველყოფს⁴⁹.

ევთოს სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან გამკლავება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აქტორებს – პოლიციას, პროკურატურასა და სასამართლოს შორის ახლო კოოპერაციულ მუშაობას მოითხოვს, თუმცა არა მხოლოდ ოპერაციულ, არამედ პოლიტიკის დონეზეც. ამასთან, დანაშაულის უნიფიცირებული დეფინიციის არსებობა მხოლოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული თანამშრომლობის წარმატებულობას⁵⁰.

2009 წელს ევთოს საბჭოს მინისტრებმა მიღებული დოკუმენტი, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ N 9/09⁵¹, ჩამოთვლის იმ ძირითად ღონისძიებებს, რომელიც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს დანაშაულთა აღმოფხვრის მიზნით. დოკუმენტი ფოკუსირდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მონაცემების შეკრებასა და გასაჯაროებაზე, სრულყოფილი კანონმდებლობის მიღებასა და შესაბამისი ზომების დასახვაზე, რათა სახელმწიფომ შეძლოს მსხვერპლისა და მონშეების წახალისება – განაცხადონ შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ. დოკუმენტი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებისა და მოსამართლეებისათვის პროფესიული ტრენინგების ორგანიზების აუცილებლობას, რათა გაიზარდოს მათი ცოდნა და სენსიტიურობა ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე მუშაობისას.

მიმართვიანობის გაზრდის შესახებ ვეროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სახელმწიფოებს მოუწოდებს ყველა შესაძლო ზომის მიღებისკენ, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სასამართლო სისტემას ჰქონდეს ასეთი დანაშაულებისა და ინციდენტების იდენტიფიცირების, მსხვერპლთა და მონშეთა დახმარებისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარი⁵². მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების დროს ეფექტიანი, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება⁵³.

სახელმწიფოს მიერ საქმის გამოძიების ან სასჯელის დაკისრებისას დისკრიმინაციული მოტივის ყურადღების მიღმა დატოვება შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Angelova and Iliev v. Bulgaria* აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს აქვს ზოგადი ვალდებულება, კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში, განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის უფლების დარღვევის საქმეებში, რომელიც უნდა წარმართოს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი. ამასთანავე, ძალადობრივი ინციდენტის გამოძიებისას ხელისუფლებას აქვს დამატებითი ვალდებულება, მიიღოს ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა გამოამაჰკარაოს ნებისმიერი [რასისტული] მოტივი და დაადგინოს, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, [ეთნიკურ] სიძულვილს ან ცრურწმენას ეთამაშა როლი აღნიშნულ მოვლენებში. [...] სახელმწიფოს მიერ რასობრივი მოტივით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკისადმი იმგვარი მოპყრობა, როგორც მოეპყრობოდა [რასისტული] ელფერის არმქონე დანაშაულს, წარმოადგენს ფუნდამენტ-

47 OSCE/ODIHR annual report for 2006, გვ. 9. nb: <http://www.osce.org/odihr/26759?download=true>

48 Combating discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, Council of Europe standards, 2011, გვ. 21, nb: http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Publications/LGBT_EN.pdf

49 იქვე, გვ.22

50 OSCE Prosecuting hate crimes. A practical guide, გვ. 17-18, nb: <http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>

51 DECISION No. 9/09, COMBATING HATE CRIMES, nb: <http://www.osce.org/cio/40695?download=true>

52 იქვე, I.A.3

53 CM/Rec(2010)5, I.A.1, 2. nb: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1606669>

ტურ უფლებათა განსაკუთრებით დამანგრეველი ქმედებების სპეციფიკურ ბუნებაზე თვალის დახუჭვას. ისეთი სიტუაციები, რომლებიც არიან არსებითად განსხვავებულები, ხოლო სახელმწიფო განიცდის მარცხს მათ განსხვავებაში, შესაძლოა შეიცავდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ დაუსაბუთებელ მოპყრობას⁵⁴.

ამასთან, საქმეში „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, ევროსასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლების ვალდებულება, თავიდან აიცილოს კერძო პირების მიერ სიძულვილით მოტივირებული ძალადობა (ისევე, როგორც გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის აქტს შორის შესაძლო კავშირი), შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ ასპექტში, მაგრამ ასევე შეიძლება, მიჩნეული იყოს მე-14 მუხლით გათვალისწინებულ ხელისუფლების პოზიტიურ ვალდებულებად – დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს მე-3 მუხლით დაცული ფუნდამენტური უფლება⁵⁵. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს „ეროვნული სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უნდა წარმოადგენდეს დამამძიმებელ გარემოებას დანაშაულისათვის. სასამართლო ასკვნის, რომ არსებითად მნიშვნელოვანი იყო გამოძიების წარმოება სწორედ ამ სპეციფიკურ კონტექსტში, რათა სახელმწიფოს მიეღო ყველა გონივრული ზომა იმ მიზნით, რომ გამოეპყარავებინა სავარაუდო პოპოლოგიური მოტივების როლი აღნიშნულ ინციდენტებში“⁵⁶.

2.1.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დეფინიციას და არც მის სხვადასხვა ფორმას არეგულირებს სრულყოფილად. სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები სოკი-ს საფუძველზე ასახულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება, ხოლო მატერიალურ ნაწილში, როგორც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა.

2012 წლამდე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები არ მიიჩნეოდა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად, თუმცა 2012 წლის 27 მარტს, საკანონმდებლო ცვლილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლს დაემატა მე-3¹ მუხლი, რომელიც შემდგენიარად ჩამოყალიბდა: „დანაშაულის ჩადენა inter alia სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, [...] ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

როგორც ნორმიდან ჩანს, 53.3¹ მუხლი ზოგადი ხასიათის დამამძიმებელი გარემოებაა სისხლის სამართლის კოდექსის ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი (ადამიანის უფლებების არსებითი ხელყოფა), რომელიც შეეხება პირთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას, ასევე მოიცავს სოკი-ს ნიშანსაც, რომელიც ნორმაში 2014 წლის ცვლილების შემდგომ აისახა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მუხლის გამოყენება რთულია ნორმის შინაარსის ზოგადი ხასიათისა და ზიანის მტკიცების გართულებული სტანდარტის გამო.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულმა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმამ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დააკისრა. გეგმაში ასევე მითითებულია, რომ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისას მოტივი უნდა იყო მხედველობაში მიღებული⁵⁷ და შესაბამისად, განხორციელდეს სიძულვილის ნიადაგზე სპეციალური სტატისტიკის წარმოება⁵⁸.

2.1.3.1. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოების ვალდებულების შესრულების ანალიზი

2012 წლიდან დღემდე ლგბტი ჯგუფის მიმართ სიძულვილით მოტივირებული არაერთი დანაშაულის მიუხედავად, სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან არ ხდება საქმეზე ადეკვატური გამოძიების დაწყება და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის უზრუნველყოფა. 2012 წლიდან დღემდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას არ დაუფიქსირებია დანაშაული, რომელიც გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის სიძულვილის მოტივით იყო ჩადენილი⁵⁹. აღნიშნულს ადასტურებს OSCE/

54 Angelova and Iliev v. Bulgaria, No. 55523/00, judgment of 26 July 2007, para.115. ასევე, Nachova and other v. Bulgaria, No. 43577/98, judgment of 6 July 2005, para. 160

55 ECHR, CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA (Application no. 73235/12), 12 მაისი 2015, პარა. 63

56 იქვე, პარა. 77

57 საქართველოს 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, პუნქტი 14.4.2.2. იხ: <http://yourhumanrights.ge/temp/>

58 იქვე, პუნქტი 14.4.2.3.

59 რეგისტრირებული დანაშაული საქართველოში 2012-2015 წლები, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი.

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

ODIHR-ის „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მონაცემების“ ბაზა, სადაც სახელმწიფოს მიერ წარდგენილ არც ერთ წლის ანგარიშში სოკი-ს საფუძველი, როგორც დანაშაულის მოტივი, მითითებული არ არის⁶⁰.

2014 წლის 23 დეკემბერს ამოქმედდა შინაგან საქმეთა მინისტრის N47 მითითება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ“. მითითება გამოყოფს შსს-ს უწყებების ძირითად ვალდებულებებს დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში.

მითითების მე-2 მუხლის მიხედვით, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში – „დანაშაულის ფაბულა“ უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის კოდექსის 53.3¹ მუხლით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ. სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი⁶¹. უნდა აღნიშნოს, რომ მითითება პრაქტიკაში არ სრულდება. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, 53-ე მუხლი განეკუთვნება კოდექსის ზოგად ნაწილს და აწესებს სასჯელის დანიშვნის საწყისებს. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები მხედველობაში მიიღება სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს⁶². წერილში ასევე მითითებულია, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის 53.3¹ მუხლი არ წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებას და მისი მითითება საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში მიზანშეუწონელია“⁶³.

სასამართლოს პრაქტიკის გადამოწმების მიზნით, EMC-მ ასევე გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს ყველა დონის სასამართლოდან, 2012 წლიდან დღემდე 53.3¹ მუხლის გამოყენებისა და სტატისტიკის შესახებ. ორგანიზაციის ეცნობა, რომ აღნიშნული მუხლის გამოყენებაზე სტატისტიკურ მონაცემებს სასამართლოები არ ფლობენ⁶⁴.

საინტერესოა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხის შესაბამისად, უწყება გეგმავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავებას, რომელშიც განერილი იქნება აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის იდენტიფიცირებისა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების/მოწოდების წესი⁶⁵. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით პროკურატურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს⁶⁶ საფუძველზე EMC-თვის ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ შეიმუშავა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი/გაიდლაინი, რომელიც მოიცავს „აღნიშნული დანაშაულების გამოძიების სპეციფიკას, დისკრიმინაციის ნიშნის გამოკვეთის, მათ შორის, მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებებსა და მის ასახვას ბრალის დადგენილებაში“⁶⁷. დოკუმენტი პროკურატურისთვის სავალდებულო ხასიათის იქნება და მის აღსრულებას მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო გაუწევს ზედამხედველობას, სახელმძღვანელოს დარღვევების შემთხვევებზე რეაგირებას კი გენერალური ინსპექცია მოახდენს. აღნიშნულ დოკუმენტს პროკურატურა არ ასაჯაროებს და მათ შორის, უარს აცხადებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის მის გამოჩვენებაზე⁶⁸.

რაც შეეხება სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკის წარმომადგენლების ინტერვიუში პროკურატურის წარმომადგენლების განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ დღეს არსებული სისტემა, ტექნიკური გაუმართაობის გამო, არ იძლევა დანაშაულების მოტივების მიხედვით კლასიფიცირების შესაძლებლობას, მომავალში პროკურატურებს დაეკისრებათ ვალდებულება, აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით ინფორმაცია რეგულარულად, ინდივიდუალური საქმეების მიხედვით მიაწოდონ ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს, რომელიც ამ ინფორმაციას არაელექტრონული გზით დაითვლის⁶⁹. ამ პირობებში გაუგებარია, როგორ მოხდება ხელით დათვლის მეთოდით სტატისტიკის ვალიდურობის უზრუნველყოფა და რატომ არ ახორციელებს პროკურატურა სისტემურად გამართული, ტექნიკურად დათვლადი მეთოდების დანერგვას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ასახვის მიზნით.

60 დეტალურად იხ: <http://hatecrime.osce.org/georgia>

61 შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 N47 მითითება, პუნქტი 3

62 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1189435, 03.06.2015

63 იქვე

64 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საპასუხო წერილი N117, 07 სექტემბერი, 2015 წელი; თბილისის საქალაქო სასამართლოს საპასუხო წერილი N20964, 07/09/2015; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საპასუხო წერილი, N46, 09.09.2015, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საპასუხო წერილი N12429, 09.09.15

65 საქართველოს მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილი N13/52993, 20 აგვისტო 2015 წელი.

66 ინტერვიუ საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებთან – ნათია მეგრშივილი, სალომე შენგელია, 30/09/2015

67 იქვე

68 იქვე

69 იქვე

2.1.3.2. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმომავალი სტატისტიკური მონაცემები

სახელმწიფოსგან მიღებული ოფიციალური ინფორმაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დოკუმენტირებასთან დაკავშირებით, განსხვავდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული ინფორმაციისაგან. 2012 წლის კვლევის⁷⁰ თანახმად, გამოკითხული 48 რესპონდენტიდან, რომლებიც 2011-2012 წლებში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყვნენ – 60.87%-ს ეს მხოლოდ ერთხელ შეემთხვა, 17.39%-ს – ორჯერ, ხოლო 21.74%-ს – სამჯერ ან მეტჯერ. 134 რესპონდენტიდან, რომელსაც ფსიქიკური ძალადობა (მუქარა) განუცდია, 75.37%-ს მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 11.94%-ს – ორჯერ, ხოლო 12.69%-ს – ერთხელ⁷¹.

ორგანიზაცია „იენტიტის“ კვლევის მიხედვით, 150 გამოკითხული ლგბტ ადამიანიდან, 45.83%-მა თავდასხმის ადგილად ქუჩა მიუთითა, 18.75%-მა – ოჯახი, ხოლო 14.58%-მა – ბარი/კლუბი. რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა სატრანსპორტო საშუალებაში, 2 – მალაზიაში და 4 – სხვადასხვა ადგილას. იქიდან გამომდინარე, რომ თავდასხმების ადგილი ყველაზე ხშირად ქუჩაა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ლგბტ პირების მიმართ ძალადობის სუბიექტებად, ძირითადად, უცხო ადამიანები გვევლინებიან. ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად კი ცემა (58.33%) და სექსუალური იძულება (11.67%) გამოიყოფა⁷².

ამავე კვლევის თანახმად, ლგბტი პირების მხრიდან მათი უფლებების დარღვევის ფაქტზე პოლიციისთვის მიმართვიანობა ძალიან დაბალი იყო, რაც, რესპონდენტთა შეფასებით, წარსულში პოლიციასთან ურთიერთობის ცუდი გამოცდილებით იყო განპირობებული⁷³.

აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხორციელებული ხარისხობრივი კვლევის შედეგებიც. ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილე რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ერთხელ ან მეტჯერ გამხდარა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, თუმცა პოლიციასთან მიმართვის თვალსაზრისით, დისკუსიამ განსხვავებული გამოცდილებები აჩვენა – ნაწილს მიუშარათავს პოლიციისთვის, მაგრამ მათ რეაგირებას არაეფექტიანად აფასებს, ხოლო ნაწილი აღნიშნავს, რომ არც უცდია მომხდარი ფაქტის გასაჩივრება, რადგან არსებობდა შიში და უნდობლობის მაღალი განცდა სამართალდამცველების მიმართ⁷⁴.

ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ სახელმწიფოს არაეფექტიან პოლიტიკას ადასტურებს 2014 წლის 11 ნოემბერს მოკლული ტრანსგენდერი ქალის შემთხვევაც, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 7 აგვისტოს განაჩენით, ბრალდებული პირი გაამართლა. მოსამართლემ ბრალდებულის ქმედება შეაფასა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია შესაძლო სიძულვილის მოტივი და არც საქმეში არსებულ სხვა მნიშვნელოვან მტკიცებულებებთან ერთობლიობაში გააანალიზა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებდა დასაბუთებულობის მოთხოვნას .

სახელმწიფოს მიერ ლგბტი პირთა მიმართ იგნორირების პოლიტიკის შედეგია 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენებისა დაკავებული 4 პირის საქმეზე გამოტანილი გადანწყვიტილებაც, რომლითაც ყველა ბრალდებული პირი გამართლდა საქმეში არსებული მტკიცებულებების უკმარისობის გამო⁷⁵.

2.1.3.3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დაძლევის ინსტიტუციური მზადყოფნა

ლგბტ პირთა მიმართ ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში საქართველოს მიეცა რეკომენდაცია, რომ სამართალდამცავ სტრუქტურაში შექმნას საპეციალური უწყება, რომელიც ითანამშრომლებს ლგბტ თემსა და ორგანიზაციებთან, რაც ხელს შეუწყობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას⁷⁶. საპეციალური დანაყოფების არსებობის ქმედითობას ასევე ემხრობა ეუთოც (OSCE), რომელიც მიუთითებს, რომ საპეციალური ცოდნითა და სენსიტიურობით აღჭურვილი დანაყოფები შესაძლოა, მეტად ქმედითები იყვნენ დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში⁷⁷.

70 „ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში“ 2012, გვ. 28, იხ: http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG_situation-of-lgbt-persons-in-Georgia_GEO-www.pdf

71 იქვე, გვ. 27-28.

72 ირაკლი ვაჭარაძე „ლგბტ დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში, WISG 2012. გვ. 28. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატი 2013 წლის 17 მაისს და მის შემდგომ განვითარებული უფლებადარღვევების 32 შემთხვევას სწავლობდა, სადაც განმცხადებლები მიუთითებდნენ მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებულ უფლებადარღვევებზე. საქართველოს სახალხო დამცველის საბასუხო წერილი N 08-2/7110, 02.09.2015

73 იქვე,

74 „მე საერთოდ მგონია, რომ დღეს ქართული პოლიცია ასეთ თემებს ვერ გადაწყვეტს...კი არა, უბრალოდ ხულოგნობის თემსაც ვერ წყვეტს [...]ხოლო ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 5-6-ჯერ მაქვს მიმართული სხვადასხვა განცხადებით და დღემდე ვერ გამიგია, სად არის ეს განცხადებები, რადგანაც რეაგირება არ მოჰყოლია“. ფოკუს-ჯგუფი გვი და ბისექსუალ ადამიანებთან.

75 აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

76 A/HRC/31/15 Report of the Working Group on the Universal Periodic Review Georgia, para. 118.10

77 OSCE/ODIHR, PROSECUTING HATE CRIMES a practical guide, 2014, გვ. 77, იხ: <http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებული ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით მუშაობა შსს-ს მინისტრის N47 მითითების საფუძველზე ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა დაეწყო⁷⁸. ამასთან, შსს-გან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ სამინისტროს დანაყოფებმა უკვე წარუდგინეს თავიანთი პოზიცია და მოსაზრებები და მიმდინარეობს მუშაობა ჯგუფის საქმიანობის ზოგად კონცეფციამზე⁷⁹. რაც შეეხება პროკურატურას, ადამიანის უფლებათა სამმართველოს წარმომადგენელმა განმარტა⁸⁰, რომ სპეციალური დანაყოფის შექმნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოსაძიებლად არ იგეგმება.

2.1.3.4. სამართალდამცავთა გადამზადების მიზნით განხორციელებული აქტივობების შეფასება

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისთვის, რომელიც შეიცავს ლგბტი პირთა უფლებების დასაცავად გასატარებელ ღონისძიებებს, ცალკე გამოყოფს შესაბამისი ტრენინგების გამართვას ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ⁸¹. აღნიშნული გეგმის შესრულების შესახებ EMC-მ მიმართა საქართველოს პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელთაგანაც გვეცნობა⁸², რომ 2014-2015 წლებში საქართველოს პროკურატურის სისტემის თანამშრომლებისათვის მოუწო ტრენინგები ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის თემებზე. სასწავლო პროგრამა ეხებოდა დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, სოკი-ს ნიადაგზე ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს. 2014 წელს ამ მიმართულებით მოხდა ახლად დანიშნული პროკურორებისა (23 მონაწილე) და პროკურორის სტაჟიორების (57 მონაწილე) გადამზადება, რომელიც მოიცავდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემატიკას. 2015 წელს მოეწყო ორი ტრენინგი დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებზე, რომელიც განხორციელდა რეგიონებში დასაქმებული თანამშრომლების გადამზადებაზე (20 მონაწილე). წერილში მითითებულია, რომ 2016 წელს დაეგმილია 100 პროკურორის გადამზადება.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებულ ინფორმაციას. უწყების ინფორმაციით⁸³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კურსი 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა 791-მა მსმენელმა, ხოლო 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე - 230-მა. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო მასალაში მითითებული თემატიკა არსებითად ზოგადია და არ შეიძლება მივიჩნიოთ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თაობაზე შსს-ს თანამშრომელთა გადამზადების სრულყოფილ ინსტრუმენტად.

2.1.4. დასკვნა

როგორც ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა აჩვენა, სახელმწიფოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ოფიციალური სტატისტიკის წარმოება ან მსგავსი ტიპის დანაშაულების გამოძიებისთვის აუცილებელი სპეციალური პერმანენტული სწავლება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის არ ხორციელდება. სახელმწიფოს მიერ წარმოებული არაეფექტიანი გამოძიება ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების ზრდას განაპირობებს და ლგბტი თემის წევრების მარგინალიზებას აღრმავებს. სამართალდამცავი სისტემები არ არიან ინსტიტუციურად მზად, ებრძოლონ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, რაც მათ მიმართ თემის წევრების ნდობას კიდევ უფრო ამცირებს.

დასკვნის სახით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სახელმწიფოს დღემდე არ აქვს გააზრებული სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ის ნეგატიური ეფექტი, რომელიც შესაძლოა, არსებით საფრთხეს უქმნიდეს როგორც საზოგადოებაში პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას, ასევე დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს პეროგატივაა. მსგავსი ტიპის ძალადობა სისტემურ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, სახელმწიფოსგან სისტემურ პასუხს მოითხოვს. სახელმწიფომ უნდა მიიღოს იმგვარი ზომები, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ ანგარიშგებას, კონსტრუქციულ დიალოგსა და განგრძობით, სისტემურ ძალისხმევას სოკი-ს ნიშნით ადამიანის უფლებათა დარღვევების მიმართ.

2.2. ოჯახში ძალადობა ლგბტი პირთა მიმართ

2.2.1. პრობლემის აღწერა

ოჯახში ძალადობა, რომელიც ლგბტი პირთა მიმართ მათი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან სქესობრივი მახასიათებლების გამო ხორციელდება, შეიძლება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმად მივიჩნიოთ. და-

78 2014 წლის 14 დეკემბრის მითითებაში აღნიშნული იყო, რომ სპეციალიზებული ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით სამინისტროს ადმინისტრაციას წინადადებები 2015 წლის თებერვლამდე უნდა წარედგინოს.
79 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1966182, 07/09/2015
80 ინტერვიუ საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებთან - ნათია მეგრეიშვილი, სოფო ჯიადე და სალომე შენგელია, 30.09.2015
81 საქართველოს 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, პუნქტი 14.4.2.2.
82 საქართველოს მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილი N13/52993, 20 აგვისტო 2015
83 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1966182, 07.09.2015

ნაშაულით გამოწვეული სტრესი და ტანჯვა შესაძლოა, მეტად აღმატებოდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კლასიკურ შემთხვევას, რადგანაც ამ ვითარებაში მოძალადეს წარმოადგენს ოჯახის წევრი, რომელთანაც მსხვერპლს შესაძლოა მჭიდრო ემოციური კავშირი ჰქონდეს.

ოჯახში ძალადობის გამოცდილებების კვლევა ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA) 2014 წლის გამოკითხვის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა. გამოკითხულ რესპონდენტთა 7 %-მა მიუთითა, რომ სიძულვილით მოტივირებული სერიოზული ძალადობრივი ინციდენტები ხდებოდა მათი ოჯახის წევრების მხრიდან. ამასთან, ქალი რესპონდენტები ოჯახური ძალადობის ბევრად მეტ შემთხვევას მიუთითებენ, ვიდრე კაცი რესპონდენტები. რესპონდენტთა მხოლოდ 5% იყო გეი ან ბისექსუალი მამაკაცი⁸⁴.

საქართველოში ლგბტი პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენისათვის ამგვარი კვლევა არ განხორციელებულა. შესაბამისად, მსხვერპლთა რაოდენობისა და პრობლემის მასშტაბის იდენტიფიცირება რთულია. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის არსებითად წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს, თუმცა ამ პროცესში სამართლებრივ თუ პოლიტიკის დონეზე გათვალისწინებული მექანიზმები სრულიად გამოირიცხავს ლგბტი პირთა პერსპექტივას და საკითხს მკაცრად პეტეროსექსუალურ მოცემულობებში ავიწროებს.

2.2.2. ეროვნული სამართლებრივი გარემო

2012 წლის ივნისს საქართველოს პარლამენტის გადამწყვეტილებით, მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 11¹ და 126² მუხლები, რომლებმაც ოჯახში ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაულად ცნო და პასუხისმგებლობის ზომებიც განსაზღვრა.

ოჯახში ძალადობის საკითხს ასევე არეგულირებს 2006 წელს მიღებული სპეციალური კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მიუხედავად იმისა, რომ კანონმა რამდენჯერმე განიცადა ძირეული ცვლილება, 2009 და 2014 წლებში, მისი შინაარსობრივი ფორმულირება კვლავ გენდერულად ნეიტრალურია.

კანონი მიუთითებს, რომ სახელმწიფო, თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით, ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას⁸⁵. კანონის მიხედვით კი, პრევენცია გულისხმობს იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზია, ასევე, შესაბამისი სტატისტიკის წარმოებასა და პრევენციულ ღონისძიებებს იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკს ეფუძნებიან⁸⁶, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები, რომელიც დანაშაულთა მოტივების მიხედვით, დეტალურად იქნებოდა კლასიფიცირებული და მისი ღრმა ანალიზის შესაძლებლობას მოგვცემდა. ეს ათვალსაზიროებს სახელმწიფოს ფრაგმენტულ მიდგომას, რომელიც ვლინდება დანაშაულის სიმპტომებსა და არა მიზეზებთან ბრძოლაში.

აქვე, პოზიტიურად უნდა შევაფასოთ 2014 წლის 19 ივნისს საქართველოს მიერ სტამბოლის კონვენციის ხელმოწერის ფაქტი, რომლის სარატიფიკაციო პროცესში დაიგეგმა ცვლილებები 20-მდე საკანონმდებლო აქტში, მათ შორის ოჯახში ძალადობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 2015 წლის ივლისში მოაშშადა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ⁸⁷, პარლამენტში განსახილველად წარდგენა კი სამედიოგომო სესიაზე იყო დაგეგმილი, თუმცა კანონპროექტი პარლამენტში ამ დრომდე არ დარეგისტრირებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმის“⁸⁸ არსებობისა, მისი არც ერთი პუნქტი ექსპლიციტურად ლგბტი პირთა საკითხებს არ შეიცავს.

2.2.2.1. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავთა რეაგირების მექანიზმების ანალიზი

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები⁸⁹. ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, გამოიყენება

84 FRA, EU LGBT survey European Union lesbian, gay, bisexual and transgender survey, Main results, 2014, გვ. 65.

85 საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 6.2.

86 იქვე, მუხლი 6.3. (ა)(გ)(დ)

87 იხ: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=4921>

88 დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 17 ივლისის N17/07/01 განკარგულებით

89 საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 9.1.

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

შემაკავებელი ან დამცავი ორდერი⁹⁰, რომლითაც გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით⁹¹.

მიუხედავად კანონში განვილი დამცავი და შემაკავებელი ორდერების არსებობისა, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, სამართალდამცავთა შრიდან აღინიშნება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, მოძალადესთან ნაცნობობის, ნათესაობისა თუ მეგობრობის შემთხვევაში⁹². ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავები ავლენდნენ გულგრილობას ან ითავსებდნენ მრჩევის როლს. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში მსგავსი ხარვეზები EMC-ის მიერ ლტბ პირებთან გამართულმა ფოკუს-ჯგუფმაც გამოავლინა. მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ სამართალდამცავების შრიდან გრძობდნენ ზედაპირულ დამოკიდებულებას. გამოიკვეთა მსხვერპლთა გადარწმუნების მცდელობები და კონფლიქტის არაფორმალური გზებით მცდელობები⁹³, ზოგიერთ შემთხვევაში, ლგბტი საკითხების მიმართ დაბალი სენსიტიურობის გამო, პრობლემური იყო ვითარების არასწორად იდენტიფიცირება⁹⁴.

გარდა ზემოაღნიშნული პრობლემებისა, პრაქტიკაში სამართალდამცავები მიიჩნევენ, რომ ერთჯერადი კონფლიქტი არ არის ძალადობა და საჭიროა მას განმორებითი, მრავალჯერადი ხასიათი ჰქონდეს⁹⁵. ამგვარი მიდგომა კანონის არასწორი განმარტების შედეგია და შესაძლოა, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში ამიანებდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს.

2.2.2.2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში არსებული სერვისების შეფასება

საქართველოს მთავრობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე შეიცავს სოგის ნიშნით პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დასახულ მიზნებს, მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ თავშესაფრით უნდა უზრუნველყოს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლები⁹⁶. თავშესაფრით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა მსს-ს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა⁹⁷.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) შინაგანანესის მიხედვით, თავშესაფარში მიიღებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლ/დაზარალებულები განურჩევლად *inter alia* სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოსატყვის ან სხვა ნიშნისა⁹⁸.

მიიშველვანია, რომ 2014 წლის ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობის მარეგულირებელ კანონში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სტატუსის მინიჭების ვადა 18 თვემდე გაიზარდა, თუმცა თავშესაფრის მომსახურების ვადა კვლავ 3 თვე დარჩა.

თავშესაფარში ლგბტი პირთა სტატისტიკის, სერვისისა და თავშესაფართა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით EMC-მ მიმართა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საიდანაც გვეცნობა, რომ ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დაქვემდებარებაშია სამი თავშესაფარი⁹⁹. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულ თავშესაფრებში გარკვეული სერვისების არსებობისა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ისინი რეალურად არ აკმაყოფილებს მსხვერპლთა საჭიროებებს, რადგანაც ის არ არის მიმართული მის სრულყოფილ რეაბილიტაციასა და გაძლიერებაზე, ეს კი გულისხმობს, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე მატერიალურ გაძლიერებას, რასაც სახელმწიფო დღეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს ვერ სთავაზობს¹⁰⁰.

90 იქვე, მუხლი 10.1.

91 იქვე, მუხლი 10.4.

92 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, გვ. 50

93 ფოკუს-ჯგუფი ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებთან.

94 „შინაგან საქმეთა სამინისტროში საჩივარი დაწერა დედანმემა ჩემზე იმ დროს, როდესაც თვითონ დამესხა თავს [...] როდესაც მოვიდა საპატრულო ორი ეკიპაჟი, განცხადება შევავსებინე, ავუსხენი რომ ის არ არის ფიზიკურ მდგომარეობაში, ის რომ დაკანონული ვიყავი, დაჭრილი ვიყავი, იმის ნახრიობის დალურჯება მქონდა უკვე კისერზე და ავუსხენი ლოგიკურად,, კრიმინალისტიკა თუ გაეგება, უნდა მიხვდეთ-მეთქი რომ მსხვერპლი მე ვარ და არა ის და შეატარაოა განცხადება ისე რო აქეთ გამოვდი მე დამნაშავე, ის – დამარალებული“. ტრანსგენდერი კაცი, ფოკუს-ჯგუფი ტრანსგენდერ ადამიანებთან.

95 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, იქვე, გვ. 51

96 საქართველოს 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, პუნქტი 14.4.2.4.

97 საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 16¹.

98 „სსიპ - ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2105 წლის 13 აგვისტოს #7-137/ო ბრძანებით დამტკიცებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) შინაგანანესი.

99 თავშესაფრები გახსნილია: გორში (გაიხსნა 2010 წელს), თბილისსა (გაიხსნა 2010 წელს) და ქუთაისში (გაიხსნა 2013 წელს). 2015 წელს გაიხსნა კიდევ ერთი თავშესაფარი კახეთის რეგიონში. თითოეული თავშესაფარი გათვლილია 17 ბენეფიციარზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი NO1/60900, 14 აგვისტო 2015 წელი.

100 ინდივიდუალური ჩარევაზე ინტერვიუ ანა აბაშიძესთან, PHR, 25.09.15

2014 წლიდან დღემდე თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა ორმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა, რომლებმაც სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განიცადეს ოჯახში ძალადობა, ორივე არის სრულწლოვანი მამაკაცი, 18 და 19 წლის¹⁰¹. რაც შეეხება სოგი-ს საფუძველზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებს, მონოდედული ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლიდან დღემდე მათ მიერ თავშესაფრის სერვისით სარგებლობის შემთხვევა არ დაფიქსირებულა¹⁰².

რაც შეეხება კრიზისულ ცენტრებს, რომელთა არსებობას ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მე-18¹ მუხლი განსაზღვრავს, ისინი ჯერ სახელმწიფოს ბაზაზე არ არსებობენ.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელთა გადამზადების საკითხი

საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომლებს უნდა აუმაღლდეთ ინფორმირებულობა სოგი-ს შესახებ საკითხებზე¹⁰³. აღნიშნულთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებულ წერილში მხოლოდ სამომავლო ტრენინგებზეა საუბარი¹⁰⁴, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავშესაფრის თანამშრომელთა თემატური ტრენინგი ჯერაც არ გაუვლიათ.

2.2.3. დასკვნა

როგორც ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო ანალიზმა აჩვენა, ლგბტი პირთა საჭიროებები სრულიად გამორიცხულია ძალადობასთან ბრძოლის ინსტიტუციური მექანიზმებიდან. თავშესაფრის შინაგანაწესი დისკრიმინაციის ფორმალური აკრძალვის გარდა, დამატებით სპეციფიკურ საკითხებს არ მოიცავს. ამასთან, როგორც მოპოვებული ინფორმაცია ცხადყოფს, თავშესაფრის თანამშრომლებს არ გაუვლიათ თემატური ტრენინგები სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და სქესობრივი მახასიათებლების შესახებ. შესაბამისად, იზრდება რისკი იმისა, რომ ლგბტი საკითხების მიმართ არასენსიტიური სოციალური რეაბილიტაციის და ძალადობასთან ბრძოლის ინსტიტუციონალურმა სისტემამ მსხვერპლების განმეორებით ვიქტიმიზაცია განაპირობოს. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს, როგორც თანამშრომლების, ისე თავშესაფარში მცხოვრები სხვა პირების მხრიდანაც.

3. ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის რეგულირება

3.1. პრობლემის აღწერა

მედიამ აკუმულირებულ ჰომოფობიური სიძულვილის ენას, რომელიც სხვადასხვა აქტორის მიერ ინარმოება და ტირაჟირდება, სხვა ფაქტორებთან ერთად საფუძვლად უდევს რელიგიური დისკურსიც, რომელიც ჰომოსექსუალობას ქართული ღირებულებებისადმი შეუთავსებელ მოვლენად წარმოაჩენს. ამგვარი დისკურსების წარმოჩენა მეტწილად არის დაკავშირებული „ეკლესიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, როლის მრდასა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩარევასთან“¹⁰⁵. გარდა მედიისა და პოლიტიკური სუბიექტებისა, ჰომოფობიური სიძულვილის ენის ტირაჟირებით გამოირჩევიან სწორედ რელიგიური პირები, რომელთა მობილიზაციის მთავარი სტრატეგია „ქართული მართლმადიდებლობის ღირებულებების“ დაცვასა და საჯარო სივრცის „ცოდვისგან განწმენდის“ რიტორიკაში ვლინდება¹⁰⁶.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში წარმოებული მედიაკვლევები ადასტურებს მკვეთრად ნეგატიური გამოხატვის ნეიტრალური ენით ჩანაცვლებას¹⁰⁷, თუმცა არსებობს პოზიტიური კუთხით გაშუქების შემთხვევებიც. მიუხედავად ამისა, კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება ზოგიერთ მედიასივრცეში როგორც მედიის წარმომადგენლების, ისე მიწვეული სტუმრების მხრიდან (პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, სასულიერო პირები) გამოვლენილი სიძულვილის ენა და მკვეთრად ჰომოფობიური განწყობა¹⁰⁸, რომელიც ემსახურება ლგბტი პირებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიმიზებას, რითაც ლგბტი პირთა უფლებრივ განზომილებას ღირებულებას უკარგავს.

101 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი N01/60900, 14 აგვისტო, 2015 წელი.

102 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საპასუხო წერილი, N07/964, 22 სექტემბერი, 2015 წელი.

103 საქართველოს 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, პუნქტი 14.4.2.4

104 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილი, N01/60900, 14 აგვისტო, 2015 წელი.

105 ეკა ალდგომელაშვილი „იდეოლოგიური ჰომოფობია“, ჟურნალი „სოლიდარობა“, 2009, N3 (30). იხ: <http://lesbi.org.ge/ka/2015/10/15/ideology/>

106 იქვე. ასევე იხილეთ, MDF-ის 2014-2015 წლის ანგარიში, მაგ. თეოდორე გაგნიძე, დეკანოზი: „ადამიანი შეიძლება, არაფერს აშკვებდეს, მაგრამ იგი მაინც ცოდვილია, თუ დაზიანებული ბუნება აქვს. ეს დაზიანებული ბუნება ბევრ რამეში ვლინდება და მათ შორის, ჰომოსექსუალიზმში“ („რეპორტიორი“, 18 მაისი 2014); ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი: „მე რატომ უნდა ვიყო მადლიერი [ბიძინა ივანიშვილის] სამება რომ ამიშენა? სამაგიეროდ, სულს რატომ მიწვრევს? მამათმავალი შეიძლება შევიდეს ტაძარში? და ვიღას აუშენა ეს სამება?“ („ალია“, 29 აპრილი, 2014).

107 ეკატერინე ალდგომელაშვილი „სიძულვილის ენა და რეგულირების მექანიზმები“, როგორ დავძლიოთ სიძულვილის ენა, ჰაინრიხ ბოლის ფონდი, 2012. გვ.44

108 მედიის განვითარების ფონდი, ჰომოფობია და გენდერული იდენტობა, მედიამონიტორინგის ანგარიში 2014-2015 წლები.

3.2. საერთაშორისო სტანდარტი

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სიძულვილის ენის ერთიანი უნიფიცირებული დეფინიცია. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული სიძულვილის ენის შესახებ რეკომენდაციის მიხედვით, „სიძულვილის ენა გულისხმობს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტიმემიტობას ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით“.¹⁰⁹

რეკომენდაციის პირველი პრინციპი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს, საჯარო მოხელეებსა და საჯარო ინსტიტუციების წარმომადგენლებს ავალდებულებს იმგვარი განცხადებებისგან თავის შეკავებას, რომელიც ახდენს რასობრივი, ქსენოფობიური ან დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის, ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის ლეგიტიმაციას, გავრცელებასა და ხელშეწყობას. რეკომენდაციის მიხედვით, ამგვარი განცხადებები უნდა აიკრძალოს და საჯაროდ გაიკიცხოს.¹¹⁰

სიძულვილის ენის გამოხატვა მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის ფუნდამენტი და საბაზისო პირობაა. ევროსასამართლოს მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების დაცვით აღჭურვილია ისეთი მოსაზრებები, რომელიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემანუხეველია სახელმწიფოსა და მოსახლეობისათვის¹¹¹, რადგანაც ასეთი პლურალიზმისა და ტოლერანტობის მოთხოვნები, რომლის გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“. აღნიშნული გულისხმობს, რომ ნებისმიერი ფორმალა, პირობა, აკრძალვა თუ სანქცია, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უკავშირდება, უნდა იყოს მიზნის მისაღწევად აუცილებელი და პროპორციული¹¹².

ევროსასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში გაუსვა ხაზი დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას, თუმცა მისი პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ გამოხატვის ისეთი ფორმები, როგორებიცაა რასიზმი, ქსენოფობია, ანტიმემიტობა, აგრესიული ნაციონალიზმი, ჰომოფობია, არ არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით. ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც ევროსასამართლოს პრაქტიკაში ჰომოფობიურ სიძულვილის ენას ეხებოდა არის *Vejdeland v. Sweden*. საქმე შეეხებოდა სკოლებში ლიფლეტების დარიგებას, რომელშიც გამოთქმული იყო იმგვარი მოსაზრებები, რომლებიც ჰომოსექსუალობას „დევიანტურ სექსუალურ ქცევად“ განსაზღვრავდა და „მორალურად დესტრუქციულ შედეგად აისახებოდა საზოგადოებაში“. ლიფლეტებში ჰომოსექსუალობა, ასევე, სახელდებოდა აივ ინფექციისა და შიდსის გავრცელების მთავარ მიზეზად¹¹³. ევროსასამართლომ მიუთითა, რომ სიძულვილის გავრცელება აუცილებლად არ გულისხმობს ძალადობრივი ქმედებებისკენ მოწოდებას; სახელმწიფოთათვის პირების მიერ კონკრეტული ჯგუფების შეურაცხყოფა და ცილისმწამებლური თავდასხმა უნდა იყოს საკმარისი, რათა [რასობრივ] სიძულვილის ენას ებრძოლოს, როგორც გამოხატვის თავისუფლების უპასუხისმგებლო სარგებლობას¹¹⁴. აქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია ისეთივე სერიოზულია, როგორც რასის, წარმოშობისა თუ კანის ფერის გამო უთანაბრო მოპყრობა¹¹⁵.

პოლიტიკური სუბიექტის მიერ სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, საქმეში *Feret v. Belgium*, სასამართლომ მიუთითა, რომ პოლიტიკურ დისკურსში გამოთქმული მოსაზრებები დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს, მაშინაც კი, როდესაც ასეთი მოსაზრებები მოსახლეობის ნაწილისათვის შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი და შემანუხეველი შეიძლება იყოს, თუმცა მათ ვალდებოდათ, თავი აარიდონ იმგვარი ენის გამოყენებას, რომელიც აღვივებს დისკრიმინაციასა და სიძულვილს, რადგანაც მსგავსმა გამონათქვამებმა შესაძლოა საზოგადოებაში იმგვარი რეაქციების გენერირება მოახდინოს, რომელიც შეუთავსებელია სოციალური მშვიდობიან არსებობასთან და ძირს უხზის დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობას¹¹⁶.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება ელექტრონული სოციალური სივრცეების როლი და მნიშვნელობა, ასევე იზრდება ამ სივრცეებსა და ქსელებში სიძულვილის ენის ტირაჟირების საფრთხე. საერთაშორისო კონვენსუსი, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულ საკითხთა დარეგულირება, ჯერ არ არსებობს, თუმცა ევროსასამართლომ ერთ-ერთ ბოლო გადაწყვეტილებაში ონლაინგამომცემლობისათვის მის გვერდზე შეურაცხმყოფელი კომენტარების ფილტრაციის ვალდებულება კონვენციის დარღვევად არ დაადგინა¹¹⁷.

109 Recommendation No. R (97) 20 Of The Committee Of Ministers To Member States On "Hate Speech", nb: [http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other_committees/dh-lgbt_docs/CM_Rec\(97\)20_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other_committees/dh-lgbt_docs/CM_Rec(97)20_en.pdf)

110 იქვე, პირველი პრინციპი.

111 CASE OF HANDYSIDE v. THE UNITED KINGDOM, 1976, პარა. 49, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57499>

112 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 10 (2)

113 CASE OF VEJDELAND AND OTHERS v. SWEDEN, para. 54, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-109046>

114 იქვე, პარა. 55

115 იქვე

116 AFFAIRE FERET c. BELGIQUE, 16/07/2009, პარა. 77, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-93626>, ასევე იხილეთ, CASE OF LINDON, OTCHAKOVSKY-LAURENS AND JULY v. FRANCE, 22 October 2007, para. 55, See: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-82846>

117 CASE OF DELFI AS v. ESTONIA, Application no. 64569/09, პარა.89, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-126635>

3.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

საქართველოში 2015 წლამდე სიძულვილის ენა არ იყო კრიმინალიზებული, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2015 წლის ივნისში ძალაში შევიდა ნორმა, რომელიც მონოდეზულის, გარკვეულნილად, შეზღუდოს სიძულვილის ენის გამოვლინებები საჯარო სივრცეში. რეგულირება სისხლის სამართლის კოდექსის 239¹¹⁸ მუხლში აისახა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ შეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“.

აღსანიშნავია, რომ ნორმის ტექსტი (კერძოდ, „განხეთქილების ჩამოგდება“) საკმაოდ ზოგადია და არ აკმაყოფილებს კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს, რაც ქმნის მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა და პრაქტიკაში არასწორად გამოყენების საფრთხეს. ნიშანდობლივია, რომ კანონი არ აწესრიგებს მონწყვლადი, დისკრიმინირებული ჯგუფების მიმართ ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯარო მოწოდებას და მხოლოდ შესაძლო განხეთქილების პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს ისახავს. მსგავსი მიდგომა პირდაპირ მიუთითებს კანონმდებლის ინტერესის არარსებობას სწორედ მარგინალიზებული ჯგუფები დაიცვას ძალადობისგან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის ფორმულირებაში „აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხის“ არსებობის ელემენტი მხოლოდ მას შემდეგ ჩაემატა, როდესაც კანონის ინიცირებას სამოქალაქო საზოგადოების სერიოზული კრიტიკა მოჰყვა¹¹⁸.

მნიშვნელოვანია, რომ ნორმაში არ მოხვდა სოცი-ს ნიშანი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ნორმის მიღება მეტწილად ემსახურებოდა არა სიძულვილის ენის ტირაჟირების ნეგატიური შედეგების აღმოფხვრას, არამედ კონკრეტული ჯგუფებისათვის საჯაროდ გამოხატვის შესაძლებლობების მოსპობას. დღესაც არსებობს რისკი, რომ აღნიშნული ნორმა არა უმცირესობათა დასაცავად, არამედ პირიქით, მათ სანინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული და მუსუსხვი ეფექტი იქონიოს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის პროცესში.

3.3.1. სიძულვილის ენის გამოყენების პრაქტიკა საჯარო მოხელეების მხრიდან

საქართველოში მედიამონიტორინგის ანალიზი აჩვენებს, რომ საჯარო სივრცეებში ჰომოფობიურ გამოხატვას რელიგიურ პირებთან ერთად ყველაზე ხშირად სწორედ პოლიტიკოსები ავლენენ. 2014 წლის სამი თვის ანგარიშის მიხედვით, ჰომოფობიური განწყობების 41 შემთხვევა გამოვლინდა, ანტიდასავლური განწყობების – 21 და სიძულვილის ენის – 10¹¹⁹. მნიშვნელოვანია, რომ მეტწილად ის პოლიტიკური პარტიები თუ საჯარო პირები, რომლებიც გამოირჩევიან ჰომოფობიური განცხადებების ტირაჟირებით, ასევე ავლენენ მკვეთრ ანტიდასავლურ განწყობას¹²⁰. 2014 წელს ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოხატვა პრორუსული პარტიების გარდა¹²¹, ასევე მომდინარეობდა მმართველი პარტიის წევრებისა და მოქმედი თანამდებობის პირებისგან, 2014 წელს (თებერვალი-მაისი) პარტია „ქართული ოცნების“ წევრების მხრიდან 8 ჰომოფობიური განცხადება აღინიშნა, ასევე ორი განცხადება – მოქმედი მინისტრების მხრიდან¹²². მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ საჯარო განცხადება¹²³ გაავრცელა აღნიშნულ დისკრიმინაციულ განცხადებაზე, მთავრობის მხრიდან აღნიშნულ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

განსაკუთრებით საინტერესოა 2013 წლის 17 მაისის მოვლენების შემდგომი პერიოდი, რომლის დროსაც მედიის განვითარების ფონდმა მოახდინა სიძულვილის ენისა და უარყოფით კონტექსტში ლგბტი პირთა მოხსენიების 115-მდე შემთხვევის დოკუმენტირება¹²⁴, მათი ნაწილი მომდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მხრიდან¹²⁵. „ქართული ოცნების“, ასევე სხვა პოლი-

118 „ნეტგაზეტი“, არასამთავრობოებისა და მედიის განცხადება შულის გაღვივების თაობაზე ინიცირებულ კანონპროექტზე, 26.01.2015. იხ: <http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/40638/>

119 MDF, „სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოხატვა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში“, მედიამონიტორინგის შედეგები 17 თებერვალი -17 მაისი, 2014 იხ: http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Hate_speech_in_political_discourse.pdf

120 იქვე, გვ. 29

121 ანგარიშის მიხედვით, ყველაზე ხშირად ჰომოფობიურ განცხადებებს ანტიდისკრიმინაციული კანონის კონტექსტში საარჩევნო ბლოკში „წინა ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ შემავალი პარტიები მიმართავდნენ (19). სხვა პარტიების მხრივ კი სურათი ასეთია: „ქართული ოცნება“ (8), „თავისუფალი საქართველო“ (2), „პატრიოტთა ალიანსი“ (4), „ლეიბორისტული პარტია“ (1), „იქმედი“ (1). იხ: http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Hate_speech_in_political_discourse.pdf

122 დავით დარასველიძე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი: „ჰომოსექსუალი ადამიანები არიან ავადმყოფები და თანაგრძნობას იმსახურებენ, თუმცა ეს ადამიანები აქცივბ ატარებენ და ამ აქციებით პურს მათი მხარდამჭერები ჭაჭენ, რომლებიც სრულიად ნორმალური ორიენტაციის მქონენი არიან. ჩვენ რა საქმესაც ვაკეთებთ, იმის რეკლამასა და საზოგადოების სრულად ინფორმირებასაც ვერ ვახერხებთ და იმ კაცმა, რომელსაც რაღაც სექსუალური გადახრა აქვს, ამას რეკლამა რატომ უნდა გაუკეთოს?!“ (ვირსია, 9 მაისი). ასევე, დიმა ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი: „არაკაცები! ჭკუიდან ნუ გადაიყვანეთ ხალხი, თორემ მარმანდელი 17 მაისი მონაგონი იქნება! ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ 17 მაისი კინოფაქტი „რუსთაველი“... მამათმავლობის აპოლოგიით არ წაიბილწოს!“ „სავალ-დასავალი“, 21-27 აპრილი. იხ: http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Hate_speech_in_political_discourse.pdf

123 იხ: http://mdfgeorgia.ge/eng/view_statements/95

124 მედიის განვითარების ფონდი, „სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამოხატვის მონიტორინგი ქართულ მედიაში“, 15 აპრილი-15 აგვისტო, 2013, გვ. 7, იხ: http://mdfgeorgia.ge/uploads/library/Monitoring_Hate_Speech_and_Discrimination_in_Georgian_Media_GEO.pdf

125 იქვე

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

ტიკური ჯგუფებისა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენელთა მხრიდან ხდებოდა აზრის კულტივირება, რომ სექსუალური უმცირესობებისა და მათ უფლებადამცველთა გამოხატვის თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ჰომოსექსუალობის პროპაგანდა.

რაც შეეხება რეგულირების მექანიზმს, საქართველოში სიძულვილის ენის რეგულირებას საჯარო მოხელეებისა და სახელმწიფო ინსტიტუციების წარმომადგენლების მხრიდან ექსპლიციტურად არც ერთი საკანონმდებლო დოკუმენტი არ ადგენს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი სიძულვილის ენის აკრძალვის პირობებს არ ადგებს, ყურადსაღებია, რომ კანონი შეიცავს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, ნებისმიერი დაწესებულება (მათ შორის, საჯარო დაწესებულება და ორგანიზაციები) ვალდებულია, თავისი საქმიანობა, აგრეთვე, სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები (თუ ისინი არსებობს) შეესაბამოს კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, მოახდინოს სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება და დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დაშრლვევ პირს. ამასთანავე, უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეუღაზავად.¹²⁶ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ამოქმედებიდან დღემდე არც ერთ საჯარო უწყებას ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკა არ გაუტარებია და მასთან კავშირში არც სიძულვილის ენის აკრძალვის მოთხოვნები დაუწესებია.

3.3.2. სიძულვილის ენა მედიაში

საქართველოში მედიის თვითრეგულირების მექანიზმების ეფექტიანობა სადავოა და კონკრეტული მედიასაშუალებების მიერ ეთიკური თუ პროფესიული სტანდარტების დარღვევებზე არაადეკვატურ რეაგირებაში გამოიხატება, რაც ხელს უშლის ანგარიშვალდებული მედიასტანდარტების განვითარებასა და დამკვიდრებას.

2011-2012 წლების ანგარიშში ბეჭდურ მედიაში ლგბტ საკითხების გაშუქების თაობაზე მითითებულია, რომ სექსუალური უმცირესობების გაშუქების მიხედვით, „ასავალ-დასავალი“ (22%) და „პრაიმტიმი“ (22%) ლიდერობენ. გაშუქების ტონის თვალსაზრისით, სექსუალური უმცირესობების გაშუქებისას გამოყენებული იყო როგორც ნეიტრალური, ისე ნეგატიური ტონი, თუმცა ნეიტრალური ტონის შემცველი სტატიები მეტი სიხშირით ბეჭდებოდა (68%), ხოლო ნეგატიურის – 32%.¹²⁷

მედიის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა, რომელიც 2014-2015 წლების მონაცემებს ასახავს, გამოავლინა ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენების 108 შემთხვევა. აქედან, ყველაზე მეტს ვხვდებით ბეჭდვით მედიაში (78), რასაც მოსდევს ონლაინ (21) და სატელევიზიო მედია (9)¹²⁸. ჰომოფობიური გამოხატვის ტიპოლოგიაში იკვეთება დისკრიმინაციის აკრძალვის დაწესებისკენ ღია მოწოდება; ჰომოსექსუალობის დასავლეთთან დაკავშირება და მისი ქართულ ღირებულებებთან შეუთავსებლობის რიტორიკა; ჰომოსექსუალობის დაავადებად წარმოჩენა; პარალელები დანაშაულთან, პროსტიტუციასთან. ასევე, ერთნაირსქესიანთა ქორწინების საფრთხედ წარმოჩენა¹²⁹.

საქართველოში სიძულვილის ენის რეგულირებას ტელევიზიისა და რადიოსადგურებთან მიმართებაში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი არეგულირებს. კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტით იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომელიც მიმართულია პირის ან ჯგუფის სქესის, სექსუალური ორიენტაციის გამო შეურაცხყოფის, დისკრიმინაციის ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ. ხოლო აღნიშნულის დარღვევისათვის, მედიას ეფექტიანი მექანიზმის შექმნას ავალდებულებს¹³⁰.

მაუწყებელში შესული საჩივრები მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმმა უნდა განიხილოს და მათზე გამჭვირვალე, დროული და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა შეძლოს¹³¹, თუმცა მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი ხშირად უარს აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვაზე, სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ საქმეებზე, რადგანაც მათ „დაინტერესებულ პირად“ არ მიიჩნევენ. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი ამ ცნებაში მხოლოდ იმ ადამიანებს, ან ადამიანთა ჯგუფს გულისხმობს, რომლებმაც კონკრეტულმა ქმედებამ პირდაპირი ან ირიბი გავლენა იქონია¹³². აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი კრძალავს თვითრეგულირების ან სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილების კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას¹³³.

126 საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 4 (ა)(ბ)(გ)
127 ინტერნოუსი-საქართველო, „ეთიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრესაში“, მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში, 2012 წელი, გვ. 12-13. https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Media_Monitoring_5_Report_1_June_31_August.pdf
128 ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოხატვის თვალსაზრისით, ლიდერობენ შემდეგი მედიასაშუალებები: „ასავალ-დასავალი“, „კვირის ქრონიკა“, „Geworld.ge“, „საქინფორმი“, „ობიექტივი“. მედიის განვითარების ფონდი, „ჰომოფობია და გენდერული იდენტობა“, მედიამონიტორინგის ანგარიში, 2014-2015 წლები, გვ. 13.
129 იქვე, გვ. 12
130 საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 14.1
131 მაუწყებელთა ქვეყის კოდექსი, მუხლი 7.1
132 საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 2 (ე)
133 იქვე, მუხლი 59¹, პუნქტი 1;2.

გარდა მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმისა, არსებობს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც დღეისათვის 242 წევრს აერთიანებს. ქარტია განსაზღვრავს პროფესიული ქცევის სტანდარტებს¹³⁴, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეებს უფლება აქვთ, ქარტის საბჭოში მდილის მხრიდან ეთიკური და პროფესიული ნორმების დარღვევა გაასაჩივრონ¹³⁵.

[ჰომოფობიური] მედიის დაფინანსების საკითხი

მედიის განვითარების ფონდის (MDF) ანგარიშის მიხედვით, რომელმაც მედიის დაფინანსების საკითხი გამოიკვლია საქართველოში, მითითებულია, რომ სახელმწიფოს სახსრებიდან ისეთი მედიასაშუალებები ფინანსდება, რომლებიც გამოირჩევიან სიძულვილის ენის ტირაჟირებით¹³⁶. ეს ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ECRI-ს რეკომენდაციებს, რომელიც მიუთითებს, რომ „კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ვალდებულებას, შეუჩეროს საჯარო დაფინანსება ორგანიზაციებს, რომლებიც [რასიზმს] აღვივებენ“. ECRI იგივე შემლუღვას ავრცელებს საჯარო პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან მიმართებით.¹³⁷

3.4. დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნულმა სამართლებრივმა ანალიზმა გვიჩვენა, ჰომოფობიური სიძულვილის ენის ტირაჟირება საჯარო სივრცეებში დღემდე რჩება არსებით პრობლემად, რომელიც დისკრიმინაციული ძალადობის ზრდაზე გავლენას უნდა ახდენდეს. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და მედიის თვითრეგულირების მექანიზმები არ არის ეფექტიანი და ვერ ახდენს საჯარო თუ კერძო პირებზე დაკისრებული მოვალეობების აღსრულებას, რითაც არსებით ზიანს აყენებენ ლგბტი თემის წევრებს.

სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება სიძულვილის ენის ნეგატიური შედეგების სრულფასოვანი გააზრება, შესაბამისად, ის არ იყენებს მის ხელთ არსებულ მექანიზმებს, რათა აღკვეთოს დისკრიმინაციული გამოხატვა და რეაგირების ეფექტიანი და პროპორციული მექანიზმების დაუქვემდებაროს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ და მედიამ გაიანგაზრონ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ტირაჟირების ის უარყოფითი შედეგები, რომლებმაც შესაძლოა, ლგბტი ჯგუფისათვის არსებითი საფრთხეების შექმნა განაპირობოს და ცალკეულ შემთხვევებში ძალადობაშიც გადაიზარდოს.

4. ლგბტი პირთა უფლება საჯარო სივრცეზე: შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლება

4.1. პრობლემის აღწერა

საქართველოში ლგბტი პირთა მიერ შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლების გამოყენება არსებითად არის გართულებული, რაც სამოგადობაში კერძო და საჯარო სივრცეების არასწორ გაგებასა და ცალკეული ჯგუფების მხრიდან საჯარო სივრცის პრივატიზების მცდელობას უკავშირდება. დომინანტი რელიგიური ჯგუფისა და დისკურსის მიერ ლგბტი თემის მხრიდან შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ლიმიტირებულია და საჯარო სივრცეში ლგბტი პირთა ნებისმიერი ფორმით გამოჩენა „ჰომოსექსუალობის პროპაგანდად აღიქმება“¹³⁸, რაც სამოგადობრივი სივრცეებიდან თემის წევრების განდევნას განაპირობებს. ასეთ პირობებში ცხადი ხდება, რომ სქესისა და გენდერის შესახებ ბინარული ნორმატიული შეხედულებები საჯარო სივრცეშიც ინაცვლებს და ლგბტი პირებს სოციალურ და სამოქალაქო სივრცეს უვიწროებს, განსაჯაროების შესაძლებლობას უზღუდავს¹³⁹. ამ პირობებში თემის წევრებისთვის მათი იდენტობის გამოსატყვის სივრცე ექსკლუზიურად პრივატიზდება.

2012 წლიდან დღემდე არსებულმა ნეგატიურმა გამოცდილებამ შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლების დაცვის შესახებ საჯარო სივრცეში ძალადობის პროვოცირებას შეუწყო ხელი, რაც ასევე გამოიხატა სახელმწიფოს მარცხში, უზრუნველყო როგორც ადამიანის ფუნდამენტ-

134 „ჟურნალისტს უნდა ესმოდა მედიის მიერ დისკრიმინაციის ნახალების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის ან რაიმე სხვა ნიშნით“. მუხლი 7.

135 საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს საქმის წარმოების ნუსხი. იხ: http://qartia.org/?page_id=4889

136 მაგ. იმ მედიასაშუალებებიდან, რომლებიც სიძულვილის ენით გამოირჩევიან, რეკლამის განთავსების მიზნით საბიუჯეტო დაფინანსება 2013-2014 წლებში მიიღეს: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (63 923, 33 ლარი), მედიაკამპირი „ობიექტივი“ (52 167,84 ლარი). მედიის განვითარების ფონდი (MDF), „საბიუჯეტო სახსრები სიძულვილის ენისა და ანტიდასავლური განწყობების გამავრცელებელ მედიაში ანგარიში, 2015, იხ: <http://mdfgeorgia.ge/uploads/Report%20on%20Obiektiv%20&%20others.pdf>

137 Ecri General Policy Recommendation No. 7 On National Legislation To Combat Racism And Racial Discrimination Adopted On 13 December 2002, პარა.16.

138 ეკატერინე ალდგომელაშვილი „ჰომოფობიური სიძულვილის ენა და პოლიტიკური პროცესები საქართველოში“, ლგბტი ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში, 2012, გვ. 10

139 ამგვარი რიტორიკა ხშირად ისმის როგორც პოლიტიკოსების, ისე სამოგადობის სხვა წევრების მხრიდან. მაგალითად, ზაზა პაპუაშვილი „კვირის პალიტრა“, 8-14 ივლისი: „სახლში რაც გინდა, ის გააკეთე, მაგრამ თავს რომ აძლევ უფლებას, ქაშუეთის წინ გაიარო და შენი ხუმტური, ახირება თუ ავადმყოფობა ნორმად აქციო, ეს არ მომწონს... თუ ბრძოლას გვიცხადებენ, ჩვენც მოგვეცე უფლება, ბრძოლის ველზე გამოვიდეთ“. (პარტია „ქართული ოცნება“). MDF „სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოსატყვის მონიტორინგი ქართულ მედიაში“, 2013, გვ. 74

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

ტური უფლება გამოხატვასა და შეკრებაზე, ასევე დაესაჯა ის ადამიანები, რომლებმაც აღნიშნული უფლება ხელყვეს. აღნიშნულს იზიარებენ EMC-ის მიერ გამართული ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებიც, რომელთაც ხაზი გაუსვეს ძალადობრივი კულტურის არსებობას საზოგადოებაში, რაც ხშირად სწორედ რელიგიური გრძობებითა და სასულიერო პირების მიერ პროვოცირდება¹⁴⁰.

4.2. საერთაშორისო სტანდარტი

შვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას არსებითი ღირებულება ენიჭება ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში, რადგანაც მას შეუძლია, ხელი შეუწყოს საზოგადოების განწყობისა და აზრების გენერირებას, რომელსაც აქვს ძალა, შექმნას და აწარმოოს დიპლომატიური სახელმწიფოსა და მის სციუმს შორის. შეკრების თავისუფლებას შესაძლოა ჰქონდეს, როგორც სიმბოლური ისე ინსტრუმენტული ხასიათი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კულტურული განვითარებისა და უმცირესობათა იდენტობების ხილვადობისა და პრევენციის მიზნით¹⁴¹.

თუმცა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად¹⁴². მნიშვნელოვანია, რომ ლგბტი პირები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ხშირად იმყოფებიან ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის ქვეშ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროსასამართლო საინტერესო მსჯელობას ავითარებს საქმეში *Alekseyev v. Russia*, სადაც მიუთითებს, რომ „დემონსტრაციისას ობიექტურ ჯგუფებს შორის დაძაბულობისა და სიძულვილის წარმოშობის ყოველი შესაძლებლობა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს რომ წარმოადგენდეს, საზოგადოება მოკლებული იქნებოდა განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა არ იყოს თანხვედრაში უმრავლესობის აზრთან“¹⁴³. სახელმწიფომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა დააუქმოს „მორალის“ არგუმენტებს, არამედ პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს გამოხატვის თავისუფლების სრულ რეალიზაციას, ისეთ შემთხვევაშიც კი თუ გამოხატვის შინაარსი სადავოა და უმრავლესობის მიერ ნეგატიურად აღქმული.¹⁴⁴

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული ჯგუფის მიერ დემონსტრაციაზე გამოხატული შეხედულებების გასაპროტესტებლად ადამიანებს მიეძღვნება აქვე კონტრშეკრების თავისუფლება¹⁴⁵. საქმეში *Ärzte Für Das Leben v. Austria* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლება კონტრდემონსტრაციაზე არ უნდა გავრცელდეს დემონსტრაციის უფლებით სარგებლობის შეზღუდვაზე“¹⁴⁶, ვინაიდან ნებისმიერ ადამიანსა და ჯგუფს მინიჭებული აქვს უფლება, გამოხატოს აზრი ხელშეშლის გარეშე, სახელმწიფოს კი სწორედ ამგვარი ხელშეშლის პრევენციის ვალდებულება ეკისრება. ამასთან, სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ „დემონსტრაციის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა ისე, რომ არ ჰქონდეთ შიში ოპონენტების მხრიდან გამოვლენილი ფიზიკური ძალადობისადმი დაქვემდებარების. ამგვარი შიში შესაძლოა გამხდარიყო ჯგუფებისა და ასოციაციების მხრიდან თემისათვის განსაკუთრებით კონტრავერსულ საკითხებზე აზრის ღიად გამოხატვის ხელის შეშლელი ფაქტორი“¹⁴⁷.

საქმეში *Bączkowski and Others v. Poland* ევროსასამართლო ასევე მსჯელობს ოპონენტების მხრიდან გამოვლენილი აგრესიის მიმართ პოლიციის პასიურობაზე. საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა არ შეიძლება დაყვანილი იქნეს ნეგატიურ ვალდებულებაზე – უფლებით სარგებლობის დროს თავი შეიკავოს უსამართლო ჩარევისგან, სახელმწიფოს ასევე აკისრია პოზიტიური ვალდებულება, რომელიც მას შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე ადამიანების დაცვის უზრუნველყოფას ავალდებულებს¹⁴⁸.

სახელმწიფომ დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება ასევე გულისხმობს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გაიარონ შესაბამისი ტრენინგები და ფლობდნენ ადეკვატურ ცოდნასა და ტექნიკას მასების მენეჯმენტის შესახებ¹⁴⁹. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულებიდან ნებისმიერი გადახვევის სრულყოფილად გამოძიება და პასუხისმგებელი პირების დასჯა¹⁵⁰.

140 ფოკუს-ჯგუფი ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებთან, ფოკუს-ჯგუფი გეი და ბისექსუალ კაცებთან, ფოკუს-ჯგუფი ტრანსგენდერ ადამიანებთან

141 OSCE/ODIHR, Guideline on freedom of assembly, second edition 2010. Section B, explanatory notes

142 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 11.2.

143 ECHR, *Case of Alekseyev v. Russia*, (Applications nos. 4916/07, 25924/08 and 14599/09), 21 October 2010, პარა. 77, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-101257>

144 იქვე; ასევე იხილეთ, *Bączkowski and Others v. Poland*, Application No. 1543/06, judgment of 3 May 2007, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-80464>

145 ECHR, *Öllinger v. Austria*, (Application No. 76900/01), nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-76098>

146 ECHR, *Case of Plattform "Ärzte Für Das Leben" v. Austria* (Application no. 10126/82) 21 June 1988, პარა. 32, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-57558>

იქვე

148 *Case of The United Macedonian Organisation Ilinden And Ivanov v. Bulgaria*, (Application no. 44079/98), 2005. პარა.115, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-70678>

149 OSCE/ODIHR, Guideline on freedom of assembly, second edition 2010. პარა. 34

150 იქვე, პარა. 179

4.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით¹⁵¹, ასევე კანონით, „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“, რომელიც აწესრიგებს ამ უფლებით სარგებლობის კონკრეტულ წესებს. აღნიშნულის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჯერჯემ, ისე გარეთ¹⁵². ამასთანავე, კანონი უფლების განხორციელებისას დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპსაც ითვალისწინებს¹⁵³.

გარდა აღნიშნულისა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისევე ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საკანონმდებლო რეგულირებისა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა პრობლემატურია, რასაც 2012 წლიდან ამ დრომდე ლგბტი თემის წევრების მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობის პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს.

4.3.1. 2012 და 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენების შეფასება

2012 წელს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ დაანონსებული აქცია ძალადობრივად ჩახშვს ჰომოფობიურმა სოციალურმა და რელიგიურმა ორგანიზებულმა ჯგუფებმა. დისკრიმინაციის საფუძველზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევა ორგანიზაცია „იდენტობამ“ გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება ევროპულმა სასამართლომ 2015 წლის 12 მაისს გამოაქვეყნა. გადაწყვეტილებაში სასამართლო უთითებს, რომ „სექსუალური უმცირესობების მიმართ საზოგადოების ნაწილის მხრიდან არსებული ნეგატიური დამოკიდებულებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მსვლელობის ორგანიზატორებმა პოლიციას წინასწარ შეატყობინეს უფლებათა შესაძლო დარღვევის შესახებ, სამართალდამცავ ორგანოებს ეკისრებოდათ პოზიტიურ ვალდებულებას, დაეცვათ დემონსტრანტები, მათ შორის აპლიკანტები, რაშიც მათ მარცხი განიცადეს.“¹⁵⁴ სასამართლომ აღნიშნა, რომ ლგბტი პირებთან მიმართებით საქართველოს მოსახლეობის განწყობის გათვალისწინებით, მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა იმ რისკის არსებობის შესახებ, რომელიც შესაძლოა მოჰყოლოდა ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღის აღნიშვნას.¹⁵⁵

მიუხედავად წარსული გამოცდილებისა, 2013 წლის 17 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციების „იდენტობისა“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეკრება სხვა ექსტრემისტური ჯგუფების, ასევე, მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირებისა და სამღვდლოების დიდი ნაწილის მიერ ორგანიზებული კონტრდემონსტრაციის მონაწილეების მასობრივი ძალადობის გამო ვერ შედგა. აქციის უსაფრთხო გარემოში გამართვის მიზნით პოლიციის მიერ შემუშავებული სტრატეგია და ზომები აშკარად არაეფექტიანი იყო ლგბტი თემის წევრების შეკრების უზრუნველსაყოფად. შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ/უნდა ჰქონოდათ საკმარისი ინფორმაცია მოსალოდნელი კონტრდემონსტრაციის მასშტაბისა და მისი მონაწილეების განზრახვის შესახებ, სათანადოდ ვერ შეაფასეს მოსალოდნელი რისკი¹⁵⁶. სახელმწიფოს მიერ შეკრების მონაწილეების უსაფრთხოებისა და აქციის და კონტრდემონსტრაციის პარალელურ რეჟიმში მშვიდობიანად გამართვის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიებები აშკარად უსუსური იყო შესაძლო ძალადობის შესაკავებლად. ამ პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო აქციის მონაწილეებისთვის უსაფრთხო გარემოში შეკრების ჩატარების შესაძლებლობა¹⁵⁷.

2013 წლის 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებული გამოძიება, რომელიც უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებასა და დასჯაში უნდა გამოხატულიყო, არაადეკვატური და არასრულყოფილი იყო. პოლიციამ არაეფექტიანი გამოძიების პირობებში, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის (4) დაკავება შეძლო, რომელთაც სამართლებრივი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების ჩადებისთვის დაეკისრა. სასამართლომ თითოეულ მათგანს წვრილმანი ხულიგნობისთვის მაქსიმალური ჯარიმის გადახდა, 100 ლარის ოდენობით, დააკისრა¹⁵⁸.

151 საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლები.

152 მუხლი 2, 1

153 მუხლი 2, 3 (დ)

154 Case of Identoba and Others v. Georgia (Application no. 73235/12) 12 May 2015, პარა. 80, იხ: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154400>

155 იქვე, პარა. 99

156 GEORGIA IN TRANSITION, Assessment and recommendations by Thomas Hammarberg, september 2015, pg. 35

157 არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადება, 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, 24 მაისი 2013. იხ: <https://gylia.ge/geo/news?info=1581>

158 დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, WISG, 2015 წელი, გვ. 35

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

ამასთან, გამოძიებამ 2013 წლის 17 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა 5 პირი, სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს შეკრებაში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონო ხელის შეშლას. ბრალდებულთაგან ორი პირი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი იყო, თუმცა ერთ-ერთი სასულიერო პირის მიმართ, მისი შუამდგომლობის საფუძველზე, შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. დანარჩენი ოთხი ინდივიდის მიმართ კი სასამართლომ გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანა¹⁵⁹, იმ არგუმენტით, რომ ბრალდება საქმის არსებითი განხილვის დროს, ვერ წარმოადგინა იმ მტკიცებულებებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა ბრალდებული პირების მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლო ფაქტს. გამოძიების პროცესის შეფასება აჩვენებს, რომ 2013 წლის 17 მაისის საქმეზე, გამოძიებამ ვერ უზრუნველყო ძალადობრივი ქსელის სრულყოფილი გამოვლენა. გამოძიების მიერ იდენტიფიცირებული ბრალდებული პირების ვინაობა და რიცხვი სრულად არ ასახავს შეკრების ძალადობრივი დარბევისა და სხვა მნიშვნელოვან სამართალდარღვევებს და ის არაპროპორციულად მცირეა. გამოძიებამ ჯეროვნად არ შეისწავლა შეკრების ჩაშლისა და ძალადობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები, მათ შორის, კონტრდემონსტრაციის ლიდერების მხრიდან პოლიციის კორდონის გარღვევის, ვანჩაძის ქუჩაზე აიდაპოს შეკრების მონაწილეების სამარშუტო მიკროავტობუსზე ძალადობრივი თავდასხმის, 17 მაისს აქციის დარბევისა და მის შემდგომ პერიოდში ლგბტ თემის წევრების ან მათთან ასოცირებული პირების მიმართ ჩადენილი ძალადობის ინდივიდუალური ფაქტები. გამოძიების ფარგლებში, პროკურატურამ არ გამოკვლია ის ძირითადი პირები, რომელთა ორგანიზებითაც განხორციელდა კონტრდემონსტრანტების მიერ პოლიციის კორდონის ძალადობრივი გარღვევა და შეკრების დარბევის პროცესში მხოლოდ ცალკეულ ძალადობრივ ეპიზოდებში მონაწილე პირების იდენტიფიცირებით შემოიფარგლა. თავის მხრივ, ამ პირების მიმართ პროკურატურამ ვერ შეძლო საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება და მაღალი სტანდარტის დაცვით, მათი სასამართლოში წარმოდგენა, რამაც საქმეზე გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

თუმცა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მსჯელობა არასაკმარის დასაბუთებას შეიცავს და ცალკეულ შემთხვევებში, ის ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების არასწორ ინტერპრეტაციას ახდენს. მსჯელობისას, სასამართლო ცდილობს გამოიყენოს ყველა, რაც შემთხვევაში, დაუსაბუთებელი არგუმენტები პირების ბრალულობის გამოსარჩევად და არაგონივრულად აკნინებს და უგულვებელყოფს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს. სასამართლოს მსგავსი მიდგომა და განაჩენი მის მიერ გამოყენებული ენის ანალიზი მოსამართლის ტენდენციურობაზე მიუთითებს.¹⁶⁰

2013 წლის 17 მაისს გამოვლენილი ძალადობის მასშტაბისა და ბუნების გათვალისწინებით, საგამოძიებო ორგანოების არაეფექტური მუშაობა და სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილება დაუსჯელობის გარემოს ქმნის და ლგბტ თემის მიმართ მტრობისა და ძალადობის წახალისებას ახდენს.

4.3.2. 2014 და 2015 წლების 17 მაისის შეფასება

2014 წლის 17 მაისს ლგბტი პირებსა და მხარდამჭერ ორგანიზაციებს არ მიეცათ შესაძლებლობა, აღენიშნათ პომოფობიისა და ტრანსფობიის სანინაღმდეგო დღე, რაც წარსულში გამოცდილმა ძალადობრივმა დარბევამ და პოლიციის არაეფექტიანობამ განაპირობა.

2015 წლის 17 მაისს ლგბტი აქტივისტების მიერ ჩატარდა სამი მცირე მშვიდობიანი აქცია.¹⁶¹ მათ შორის, ცენტრალური შეკრება-არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. აქციებზე ლგბტი თემის წევრებმა ძირითადად ვერ შეძლეს შეკრების თავისუფლების სარგებლობა წარსული ძალადობრივი გამოცდილებისა და უსაფრთხოების საკმარისი გარანტიების არ არსებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სიმბოლურ აქციებს გარკვეულწილად პოზიტიური დატვირთვა ჰქონდათ, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე აქცია გასაიდუმლოებულ რეჟიმში დაიგეგმა და არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. შესაბამისად, არ შეიძლება ის სახელმწიფოს მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის პრეცედენტად მივიჩნიოთ.

4.4. დასკვნა

როგორც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ანალიზმა აჩვენა, ლგბტი პირებისათვის აღნიშნული უფლებით სარგებლობა არსებითად პრობლემურია. 2013 წლის 17 მაისს მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დარბევამ მონაწილე პირთა დაუსჯელობამ, რაც არაეფექტიანი გამოძიებისა და არასამართლიანი სასამართლო განხილვის შედეგია, კიდევ ერთხელ მოახდინა ლგბტი პირთა მიმართ სახელმწიფოს გულგრილი, არაეფექტური და დისკრიმინაციული პოლიტიკის დადასტურება.

159 იხ: <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=748>

160 დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ EMC-ისა და WISG-ის შეფასება სასამართლოს გადაწყვეტილებაზე: <http://emc.org.ge/2015/12/22/17-maisi-shefeseba/>

161 17 მაისს, თბილისში პომოფობია და ტრანსფობია სამ ადგილას გააპროტესტეს. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა 15-წუთიანი აქცია ვანჩაძის ქუჩაზე გამართა. ასევე, ორგანიზაცია „ლგბტ საქართველომ“ პომოფობია დავამო იუსტიციის სამინისტროსთან, ხოლო ორგანიზაცია „იდენტობამ“ მრავალ ბაღში შეკრებილ ადამიანებს ვეროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გააცნო (Identoba and others v. Georgia)

ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები ლგბტი ადამიანთა შეკრებისა და გამოხატვის უფლებით სარგებლობისთვის და საჭაროდ დაგმოს გამოხატვის თავისუფლებასა და მშვიდობიან შეკრებაში უკანონოდ ჩარევის შემთხვევები, რათა არ მოხდეს ძალადობის ფაქტების ნახალისება.

5. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვის პრაქტიკები ლგბტი პირთა მიმართ

5.1. პრობლემის აღწერა

პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, თავისი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, დაცული და უზრუნველყოფილი იყოს მისი კერძო სფერო სახელმწიფოსა და სხვა ნებისმიერი პირის ჩარევისაგან.

თუმცა, არსებულ რეალობაში ლგბტი პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მისი განვითარების შესაძლებლობები არსებითად შეზღუდულია, რაც გამოიხატება, ასევე, ერთი და იმავე სქესის ადამიანთა ურთიერთობების სამართლებრივად არაღიარების პოლიტიკით. სახელმწიფოში არსებული პატრიარქალური სოციალური და პოლიტიკური დისკურსი ლგბტი პირთა პირად ცხოვრებას მორალურობის საზომით საზღვრავს და ამ მხრივ აკნინებს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც არ ჯდება პეტერონორმატიულ ცნებებში. აღნიშნულის მაგალითია ქორწინების თანასწორობაზე წარმოებული დისკუსიები, რომელიც პერიოდულად ხელოვნურად აქტიურდება თავად პოლიტიკური პარტიებისა თუ კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების მიერ¹⁶², აღნიშნულს კი შედეგად მოაქვს არა ლგბტი პირთა მიმართ არსებული ძალადობრივი გარემოს აღმოფხვრა, არამედ მათი ჩაგვრის ახალი კერების წარმოშობა და ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების ზრდის რისკი.

5.2. საერთაშორისო სტანდარტი

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში¹⁶³, რომელიც ითვალისწინებს სხვა ადამიანებთან პირადი ურთიერთობების არჩევანს, მათ შორის – სქესობრივ ცხოვრებას, როგორც ინდივიდის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ასპექტს¹⁶⁴.

ლგბტი პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების საკითხს დეტალურად აღწერს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაცია, რომელიც ეხება რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფი პირების უფლებებს და მიუთითებს სახელმწიფოებს, რომ ის უფლებები და ვალდებულებები, რაც რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფ პეტეროსექსუალ პირებს წარმოეშვებათ, ასევე გავრცელდეს ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ურთიერთობებზეც¹⁶⁵.

პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და ქორწინების უფლების ჭრილში ევროსასამართლო ტრადიციულ მიდგომას ინარჩუნებს, თუმცა ერთ-მნიშვნელოვნად კრიტიკულია სახელმწიფოებში ლგბტი პირებისათვის „რეგისტრირებული პარტნიორობის“ არარსებობის მიმართ. საქმეზე *Vallianatos and Others v. Greece* ევროსასამართლომ ერთი და იმავე სქესის მქონე პირთათვის რეგისტრირებული პარტნიორობის შექმნის აკრძალვის გამო, მე-14 მუხლის დარღვევა დაადგინა¹⁶⁶.

რაც შეეხება ქორწინების უფლებით აღჭურვის საკითხს პოსტოპერაციულ ტრანსგენდერ ადამიანებთან მიმართებით, განსაკუთრებით საინტერესოა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილება *Hämäläinen v. Finland*¹⁶⁷ – ტრანსგენდერმა ადამიანმა, რომელიც თავდაპირველი ბიოლოგიური სქესით იმყოფებოდა ქორწინებაში, ეროვნული სასამართლოებისაგან განქორწინების ვალდებულების დაკისრება გაასაჩივრა, რადგანაც განქორწინება ამ შემთხვევაში მისი გენდერის სამართლებრივად აღიარების პრევენციულ ნაშრომად გენდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ სასამართლო ქორწინების უფლების რეალიზების უფლებას მხოლოდ საპირისპირო სქესის ადამიანებს ანიჭებს, აღნიშნული გადაწყვეტილება ერთგვარად ნიშანია იმისა, რომ სასამართლო აღიარებს ტრანსგენდერი ადამიანისათვის კვლავმინიჭებულ სქესს და სწორედ ამ სქესის მიხედვით ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღებისას (*ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი დეტალურად იხილეთ თავი IV*).

162 „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ 2012 წლის მაისში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა და ამ მიზნით საჭირო 200 000 ამომრჩევლის ხელმოწერის მოგროვება დაიწყო. პოლიტიკურ პარტიას სურდა, კონსტიტუციაში დაფიქსირებულიყო სამოქალაქო კოდექსში არსებული ფორმულირება, რომლის მიხედვითაც, ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირია. ამგვარი ინიციატივა წამოიჭრა 2014 წელს და ასევე 2015 წელსაც საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მხრიდან.

163 გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 17; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8;

164 ECHR, *Dudgeon v. United Kingdom*, 22 October 1981

165 CM/Rec(2010)5, პარა. 18-28

166 *Vallianatos and Others v. Greece*, nb: [http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-128294#{"itemid":\["001-128294"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-128294#{)

167 *Hämäläinen v. Finland*, nb: [http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145768#{"itemid":\["001-145768"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145768#{)

ღებტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

პირადი და ოჯახური ცხოვრების ისეთ ასპექტზე მსჯელობისას, როგორც არის შვილად აყვანის უფლება, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია პირველ რიგში ბავშვის ინტერესის გათვალისწინებას მოითხოვს. იმავე პრინციპის გამოყენებისკენ მოუწოდებს სახელმწიფოებს მართლაც მშობლისათვის შვილის აყვანის უფლების განხორციელებისას, კერძოდ, ამ უფლებით სარგებლობისას უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი დისკრიმინაცია სოციალურ-საფუძვლზე. აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ევროსასამართლოც, რომელმაც საქმეში *Salgueiro Da Silva Mouta v. Portugal* აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოების უარი, პომოსესუალი მამაკაცისათვის ბავშვის მოვლის უფლების მინიჭებაზე მის ორიენტაციას ეფუძნებოდა და არა ბავშვის საუკეთესო ინტერესს, ამიტომ დისკრიმინაციული იყო. შესაბამისად, ევროსასამართლომ მე-8 მუხლთან მიმართებით მე-14 მუხლის დარღვევა დაადგინა¹⁶⁸.

5.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავს, თუმცა აღნიშნული ნორმა არ არის ამომწურავი და უფლების გარკვეული კომპონენტები ასახულია საქართველოს კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც (კერძოდ, მე-16 და 36-ე), რომლებიც პიროვნული განვითარებისა და ქორწინების უფლებას ეხება.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი ქორწინების სუბიექტთა შორის სქესობრივ დიფერენცირებას არ ახდენს. მისი განმარტებით, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობითობას. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი, ქორწინებას განსაზღვრავს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც კონსტიტუციის ჩანაწერისგან განსხვავებით, თავისი ბუნებით შემზღუდველია, რაც სრულიად გამორიცხავს ერთი და იმავე სქესის წყვილთა უფლებას, სამოქალაქო წესით იქორწინონ. თუმცა რეალობაში პრობლემურია არა ქორწინების უფლების არარსებობა, არამედ მისგან გამომდინარე არსებული ბენეფიტებითა და გარანტიებით სარგებლობის შეუძლებლობა¹⁶⁹.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსი არც ერთნაირსქესიანთა წყვილების ურთიერთობის აღიარების ისეთ ფორმას გვთავაზობს, როგორცაა „რეგისტრირებული პარტნიორობა“, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ღებტი პირების ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და პარტნიორობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და სარგებლის მიღება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს კონტექსტში არსებითად საინტერესოა ევროსასამართლოს ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილება საქმეში *Oliari and others v. Italy*¹⁷⁰, სადაც სახელმწიფოში ერთი და იმავე სქესის ადამიანების ურთიერთობების სამართლებრივად აღმჭრველი შექმნიმის არარსებობის გამო, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა. დადგენილი სტანდარტები სამომავლოდ აჩვენებს შესაძლებლობას, რომ საქართველოსაც დაეკისროს ვალდებულება, ერთი და იმავე სქესის წყვილთა ურთიერთობები სამართლებრივი გარანტიებით აღჭურვოს.

აქვე, მნიშვნელოვანია, რომ ქორწინების უფლების სამართლებრივი შედეგებისა და ბენეფიტების მნიშვნელობაზე აქცენტი ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილე რესპონდენტებმაც გააკეთეს. მათი ნაწილის განმარტებით, ქორწინების თანასწორობისა თუ მისი ალტერნატიული ფორმის არსებობის შემთხვევაში, მათ შესაძლოა, ესარგებლათ ამ უფლებით, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, თუმცა ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს უფლება არსებობის შემთხვევაშიც კი გამოყენებელი შესაძლებლობა იქნებოდა¹⁷¹. რესპონდენტთა ნაწილი ასევე აცხადებს, რომ დღეს აღნიშნული საკითხები პრიორიტეტი არ არის, თუმცა საკითხზე მუშაობის დაწყებას ლეგიტიმურად მიიჩნევენ¹⁷².

ქორწინების საკითხი ტრანსგენდერ ადამიანებთან მიმართებით

სამოქალაქო კოდექსი, რომელიც არეგულირებს ქორწინების შეწყვეტისა და ბათილობის საფუძვლებს¹⁷³, ქორწინებაში მყოფ პირთა მიერ გენდერის სამართლებრივი აღიარების შემთხვევას, როგორც ქორწინების ბათილობის საფუძველს არ მოიცავს. შესაბამისად, უცნობია, რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქორწინებაში მყოფი ტრანსგენდერი ადამიანის მიერ გენდერის ცვლილებას.

მეორე მხრივ, ისეთ შემთხვევაში, თუ ტრანსგენდერი ადამიანის გენდერის სამართლებრივი აღიარება მოხდება, კანონი მას არ ზღუდავს, იქორწინოს საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან.

168 *Salgueiro Da Silva Mouta v. Portugal*, nb: [http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58404#{"itemid":\["001-58404"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58404#{)

169 ასეთ ბენეფიტებს განეკუთვნება შემკვიდრედ ყოფნის, ურთიერთრჩენის ვალდებულება, სანინალმდგომო ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და სხვ.

170 *CASE OF OLIIARI AND OTHERS v. ITALY*, 21/07/2015, nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-156265>

171 „შენ თუ ხელს მოაწერ, უფრო ცხადი იქნები, დაქვინავთუდები და შესაბამისად, უფრო გახდები ბუღინგის, ძალადობის მსხვერპლი“. ლესბოსელი ქალი (ფოკუს-ჯგუფი ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებთან).

172 ფოკუს-ჯგუფი ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებთან, ფოკუს-ჯგუფი გეი და ბისექსუალ კაცებთან.

173 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1140

ლგბტი პირთა უფლებების დაცვის საკითხი შვილად აყვანისას

საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ შესაძლებლობას აძლევს ერთ პირს, რომელიც არის სრულწლოვანი და ქმედუნარიანი, ბავშვი აიყვანოს¹⁷⁴. კანონი შეზღუდვას აწესებს მხოლოდ გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალზე, რომელთა გამოვლენის შემთხვევაშიც, პირი ვერ გახდება მშვილბეული/დედობილი/მამობილი. ასეთ გარემოებებს შორისაა მშობლის უფლება-მოვალეობების შემზღუდულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნასამართლობა¹⁷⁵.

თუმცა კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება მშვილბელის პიროვნული თვისებები¹⁷⁶, რომელიც არსებითად შეფასებითი ჩანანერია და უცნობია, როგორ განიმარტება ინდივიდუალურ შემთხვევებში.

ხელოვნური განაყოფიერების სერვისზე ხელმისაწვდომობის საკითხი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 141-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მარტოხელა ქალს, მისი თანხმობით, უფლება აქვს, დონორის სპერმით ხელოვნური განაყოფიერების. ასეთ შემთხვევაში, მარტოხელა ღედა მიიჩნევა ამ გზით დაბადებული ბავშვის მშობლად¹⁷⁷. ნორმის მიხედვით, ლესბოსელ ქალს აქვს შესაძლებლობა, ბიოლოგიური შვილი იყოლოს. ამასთან, კანონის 144-ე მუხლის თანახმად, ხელოვნური განაყოფიერების მიზნით ხდება ქალისა და მამაკაცის სასქესო უჯრედებისა და ემბრიონის გაყინვა, რათა წყვილის თანხმობით, მომავალში მოხდეს მათი გამოყენება. კანონი არ აკონკრეტებს, აღნიშნული წყვილი (რომელთა სასქესო უჯრედებისა და ემბრიონის გამოყენებაც ხდება) ქორწინებაში უნდა იყოს თუ არა. აქედან გამომდინარე, ლესბოსელ ქალს და გეი მამაკაცს თეორიულად აქვთ შესაძლებლობა, იყოლონ ბიოლოგიური შვილები.

5.4. დასკვნა

ლგბტი პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ურთიერთობებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს ამ ურთიერთობების ლეგალურად აღმჭურველი სარგებლისა და დაცვის გარანტიების არარსებობის უარყოფითი შედეგები და, შესაბამისად, იზრუნოს ამ ბენეფიტებით სარგებლობასთან მიმართებით არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრაზე, რომლის ერთ-ერთი მექანიზმი შესაძლოა გახდეს მომავალში რეგისტრირებული პარტნიორობის კანონმდებლობით რეგულირება.

ამასთან, შვილად აყვანისა და ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივი აქტები არ შეიცავს დისკრიმინაციულ, თუმცა, მეორე მხრივ, დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებს, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს იმის შესახებ, რომ მიუხედავად თავად აქტების არადისკრიმინაციული ხასიათისა, შესაბამის ორგანოებს, როგორცაა სოციალური მომსახურების სააგენტო, შესაძლოა ჰქონდეთ დისკრიმინაციული პრაქტიკა, რომლის იდენტიფიცირება და აღმოფხვრა სახელმწიფოს მხრიდან სისტემურ ანალიზს უნდა დაეფუძნოს.

6. ლგბტი პირთა დისკრიმინაცია შრომით და და დასაქმებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში

6.1. პრობლემის აღწერა

შრომითი ურთიერთობები სოციალურ უფლებათა ის ნაწილია, რომელიც ხშირად სხვა უფლებათა სარგებლობაზე ახდენს გავლენას. ლგბტი პირებისათვის შრომის ბაზარი ლიმიტირებულია. ხშირად მათი სამუშაოს არჩევანი განპირობებულია იმ სივრცითა და ადგილით, რომლებიც მათთვის უფრო დაცულად ან ნაკლებად ნორმატიულად გამოიყურება, თუმცა ბევრ ლგბტი პირს მსგავსი არჩევანის შესაძლებლობა არ აქვს, შესაბამისად, იძულებულნი არიან, დასაქმდნენ ისეთ გარემოში, სადაც შედეგად უნევეთ ორიენტაციისა და იდენტობის დამალვა, რათა თავი აარიდონ დისკრიმინაციასა და თანამშრომელთა მხრიდან შევიწროების პრაქტიკას.

ორგანიზაცია „იდენტობის“ ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ, გამოავლინა დასაქმების უფლების რეალიზების პროცესში არსებული პრობლემები, რომელსაც კვლევა გარდა პირდაპირი დისკრიმინაციისა, ლგბტ ადამიანების პროფესიული არჩევანის შემზღუდულობით, ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დამალვის გამო სტრესითა და მათი სოციალური წრეების შემზღუდულობითაც ხსნიდა.¹⁷⁸

174 მუხლი 5, მუხლი 7.

175 იქვე; აღნიშნული კანონის გარდა, შვილად აყვანის პროცედურას ასევე აწესრიგებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №50/ნ 2010 „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ჩამოთვლის და აკონკრეტებს შვილად აყვანაზე უარის თქმის ზოგიერთ, მაგალითად, დაავადების საფუძვლებს.

176 მუხლი 18.2(ა)

177 იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980>

178 ლ. რეზიაშვილი „დილემათა და კომპრომისების მახე ლგბტ ადამიანების პროფესიული განვითარება“. გვ. 25

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

ევროპაში შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის გამოცდილების პრაქტიკა ლგბტი ჯგუფში განსხვავებულია. ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს გამოკითხვამ აჩვენა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები უფრო მეტად ექვემდებარებიან დისკრიმინაციულ მოპყრობას, განსაკუთრებით სამუშაოს ძიებისას, ვიდრე ლგბტი პირები. გამოკითხულ ტრანსგენდერ რესპონდენტთა თითქმის ყოველ მესამე (30%) პირს გამოუცვლია დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე, რაც, ფაქტობრივად, 2-ჯერ აღემატება ლგბტი ჯგუფში დისკრიმინაციულ გამოცდილებებს. ამასთანავე, დისკრიმინაციის გამოცდილება ბევრად არის დამოკიდებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ლიაობასთან¹⁷⁹. გამოკითხულთა თითქმის მესამედი (33%) სამსახურში ყოველთვის მაღავეს სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერულ იდენტობას¹⁸⁰.

საქართველოში ბოლო წლებში ლგბტი პირთა დასაქმებასა და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის შესახებ სიღრმისეული კვლევა არ მოხდარა, ამიტომ ჩვენთვის რთულია დისკრიმინაციის გავრცელების მასშტაბის აღწერა, თუმცა EMC-ის მიერ ლგბტი ადამიანებთან გამართულ ჯგუფურ დისკუსიაში შრომითი ურთიერთობები დისკრიმინაციის მხრივ ყველაზე პრობლემურ სფეროდ გამოიკვეთა.

6.2. საერთაშორისო სტანდარტი

დასაქმებისა და შრომის უფლება გავრცელდება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლსა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტში.¹⁸¹ CESCR-ის ზოგადი კომენტარი N18 ხაზს უსვამს, რომ „იკრძალება ნებისმიერი დისკრიმინაცია დასაქმების ხელმისაწვდომობისა და სამუშაო ადგილის შენარჩუნებისას *inter alia* სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე“¹⁸².

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N111 კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, განსაზღვრონ და გაატარონ ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია, ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით წაახალისოს შრომისა და საქმიანობის შესაძლებლობების ან მათდამი მოპყრობის თანასწორობა, პირთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით¹⁸³.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა საჯარო და კერძო სექტორში შრომითი ურთიერთობები თავისუფალი იყოს სოკი-ს საფუძველზე დისკრიმინაციისაგან. აღნიშნულმა ზომებმა უნდა მოიცავს დასაქმებისა და დანაშაულების ხელმისაწვდომობის, აგრეთვე, გათავისუფლებასთან, ხელფასსა და სამუშაოსთან დაკავშირებული პირობები, მათ შორის, შევიწროებისა და ვიქტიმიზაციის სხვა ფორმების პრევენცია, მათ წინააღმდეგ ბრძოლა და აღნიშნულ ქმედებათა ჩამდენი პირების დასა¹⁸⁴.

მნიშვნელოვანია, რომ მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრანსგენდერ ადამიანთა დასაქმების საკითხს. რეკომენდაციის მიხედვით, დასაქმების აპლიკაციების შევსებისას თავიდან უნდა იყოს აცილებული ტრანსგენდერთა გენდერული ისტორიის ან მათი წინა სახელის დამსაქმებლისადმი და სხვა დასაქმებულებისადმი რეალური საჭიროების გარეშე ხელმისაწვდომობა¹⁸⁵.

6.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის რეგულირების სფეროს, რომელიც შრომით და წინასახელმწიფოებურ ურთიერთობებში კრძალავს დისკრიმინაციას *inter alia* სექსუალური ორიენტაციის ან სხვა შესხედულების გამო¹⁸⁶. გენდერული იდენტობა და სქესობრივი მახასიათებლები ნორმაში ექსპლიციტურად მოცემული არ არის, თუმცა მაინც შეგვიძლია ვიგულისხმოდ „სხვა“ კატეგორიაში.

წინასახელმწიფოებურ ეტაპზე დისკრიმინაციის აკრძალვის ნორმაში ასახვა არსებითად მისასაღმებელია, თუმცა კოდექსი ამ ნორმის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმს არ ითვალისწინებს. ნორმა არ გამოყოფს იმ ინფორმაციას, რომლის მიღება არ არის რეგულაციური სამსახურში კვალიფიციური კანდიდატის შესარჩევად და არც კანდიდატის უფლებებს ითვალისწინებს, არ უპასუხოს ან არ მიანოდოს არარეგულაციურ კითხვებზე პასუხი. ამასთან ყურადსაღებია, რომ კანონი პირდაპირ მიუთითებს – დამსაქმებელი ვალდებული არ არის,

179 FRA, EU LGBT survey European Union lesbian, gay, bisexual and transgender survey, Main results. გვ. 29

180 იქვე, გვ. 30

181 მუხლი 8

182 პ.12(ბ)(i)

183 მუხლი 2

184 CM/Rec(2010)5, პარა 29

185 იქვე, პარა 30

186 შრომის კოდექსი, მუხლი 2.3.

დაასაბუთოს თავისი გადანყვებილება დასაქმებაზე უარის შესახებ¹⁸⁷, რაც ხელს უწყობს წინასახელშეკრულებო ეტაპზე კანდიდატთა დისკრიმინაციას და დამსაქმებლის მიერ პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას.

გარდა ამისა, შრომის კოდექსში განწესებული ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძვლები ობიექტურ გარემოებასაც შეიცავს¹⁸⁸. უნდა აღინიშნოს, რომ „ობიექტური გარემოება“ არის შეფასებითი კატეგორია და ასეთი ჩანაწერი არაკეთილსინდისიერ დამსაქმებელს საშუალებას აძლევს, ბოროტად გამოიყენოს აღნიშნული უფლება „ობიექტურობის“ შეფასების გამიზნულად არასწორი ინტერპრეტაციის გზით¹⁸⁹.

რაც შეეხება საჯარო სფეროს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა *inter alia* სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამობავტვის გამო. კანონის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჯარო სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობა, მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად¹⁹⁰.

ამასთან, საქართველოს შრომის კოდექსი, რომელსაც დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა შემოაქვს, ასევე შეიცავს ჩანაწერს შევიწროების შესახებ, თუმცა ის არ ეხება ექსპლიციტურად სექსუალურ შევიწროებას და არც მის ფორმებს განსაზღვრავს, კერძოდ, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „დისკრიმინაციად მიიჩნევა პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით“. წინამდებარე ჩანაწერი შევიწროებას აერთიანებს დისკრიმინაციის ზოგად დეფინიციასთან და მოითხოვს კომპარატორის არსებობას, დისკრიმინაციული ფაქტის მტკიცებისათვის, რაც ნორმის არსებითი ხარვეზია – სავთაშორის სტანდარტის შესაბამისად, სექსუალური შევიწროების მტკიცებისთვის არ არის აუცილებელი კომპარატორი, მსხვერპლისა და ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთა მდგომარეობის შესადარებლად.¹⁹¹

ყურადღებია ის ფაქტიც, რომ არც ერთი საკანონმდებლო აქტი, მათ შორის არც შრომის კოდექსი, არ ითვალისწინებს დამსაქმებლის პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო დასაქმებულისათვის და შესაბამისად, არც პასუხისმგებლობის კონკრეტულ მექანიზმებს გამოყოფს. უცხო სახელმწიფოთა პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხშირად პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ თავად შევიწროებელს, არამედ დამსაქმებელსაც, რომელმაც იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) ამგვარი ფაქტის შესახებ და არ მიიღო ადეკვატური ზომები შევიწროებისა და დისკრიმინაციული მოპყრობის აღსაკვეთად¹⁹².

6.3.1. სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციისა და შევიწროების პრაქტიკის ანალიზი

დასაქმების ადგილზე დისკრიმინაცია ლგბტი პირებისათვის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. ლბტ ჯგუფებთან გამართულ ფოკუს-ჯგუფში გამოვლინდა წინასახელშეკრულებო ეტაპზე პირთა დისკრიმინაციის ტენდენცია. ჯგუფური დისკუსიის მონაწილეები მიუთითებენ, რომ დამსაქმებლები ხშირად ჩაცმულობისა და სტილის¹⁹³ გამო ამბობენ უარს მათ დასაქმებაზე¹⁹⁴.

ტრანსგენდერი ადამიანები, იმის გამო, რომ ხშირად განიცდიან უთანასწორო მოპყრობას დასაქმებისას, აღარ ცდილობენ, სამუშაო ეძიონ, რათა თავი აარიდონ მრავალჯერად დისკრიმინაციას. ჯგუფური დისკუსიისას გამოვლინდა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები დასაქმების მიზნით ცდილობენ, გასაუბრებლად გენდერულად კონფორმულად გამოიყურებოდნენ¹⁹⁵, თუმცა მათი გენდერული იდენტობის შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების უქონლობა დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის მთავარი შემფერხებელი ფაქტორი ხდება¹⁹⁶.

187 იქვე, მუხლი 5.8.

188 შრომის კოდექსი, მუხლი 37.1 (ო)

189 საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების 2014 წლის ანგარიში.

190 საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 13

191 ლიკა ჯალაღანია, თინათინ ნადარეიშვილი „გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში“, 2014 წელი

192 მაგალითად, ფინეთი, ესტონეთი.

193 ივალისხმება ის სტილი, რომელიც არ შეესაბამება სოციალურად კონსტრუირებულ გენდერულ როლს.

194 „ერთი დღე ვიყავით რაღაც პრაქტიკანტები... [რამდენიმე დღეში ვიგებთ, რომ მენეჯერი ლაპარაკობს ესე, რო ესეთი სტილის ადამიანებს მით უმეტეს საურთიერთოდ ვერ ავიყვან, ვერ გავიჩერებო“ (ლესბოსელი ქალი).

195 „3 შემთხვევა მქონდა ეგეთი რო მივედი[...] მერე გასაუბრების დროს ვცდილობ ხოლმე, მისვლის მომენტში არ მეცვას ისე [...] მაიკა და დანარჩენი ჩვეულებრივად [...] ახლა იქ კაბას ვერ ჩავიცმევ, ვერც ვერაფერს წავისმევ სახეზე იმისთვის, რომ სამსახური ვიშოვო“ (ტრანსგენდერი კაცი).

196 „ჩემი საბუთი რო წარმოვადგინო, ან დამცინიან, ან იტყვიან ნორმალური საბუთი მომიტანე, [...]ი, ესეთ რაღაცას რო ავერიდოთ, ან არ მივდივართ სამუშაოდ, ან ისეთ ადგილებში მივდივართ, სადაც საბუთები არაა საჭირო“. (ტრანსგენდერი კაცი).

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

ლგბტი უფლებრივი მდგომარეობის ანალიზიდან ირკვევა, რომ ის ადამიანები, რომლებიც დასაქმებულები არიან ან წარსულში მუშაობდნენ, ხშირად გრძობენ განსხვავებულ დამოკიდებულებას თანამშრომლების მხრიდან, რაც კომენტარებში, მითითებებსა და სხვადასხვა კითხვამ¹⁹⁷ გამოიხატება. აღინიშნება პირად ცხოვრებაში ჩარევის შემთხვევებიც.

6.4. დასკვნა

დასაქმების უფლების ანალიზით ირკვევა, რომ ლგბტი პირები სამუშაო ადგილზე ხშირად ექვემდებარებიან დისკრიმინაციულ მოპყრობას. უთანასწორო მოპყრობის მასშტაბი კი განსაკუთრებით მწვავეა წინასახელმწიფოებო ეტაპზე. საკანონმდებლო ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად დისკრიმინაციის აკრძალვისა, ნორმა ვერ უზრუნველყოფს უთანაბრო მოპყრობის პრევენციას, რადგანაც არ არსებობს სრულყოფილი მექანიზმი, რომელიც დამსაქმებელთა მიერ მუშაკთა დასაქმების პროცესზე კონტროლს დააწესებდა.

ასევე, როგორც ანალიზმა აჩვენა, ლგბტი პირთა მდგომარეობას სამუშაო ადგილას კოლეგებისა და დამსაქმებლის მხრიდან შევიწროების პრაქტიკა ართულებს. უსაფრთხო და შევიწროებისაგან თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის აღმჭურველი ნორმის არარსებობა ლგბტი პირებს მტრულ სამუშაო გარემოს უქმნის, რაც მათ ხშირად აიძულებს, დატოვონ სამუშაო ადგილი.

აღნიშნული საკანონმდებლო და ინსტიტუციური პრობლემები არსებით გააზრებს საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან. აუცილებელია შრომით კანონმდებლობაში დისკრიმინაციის ფაქტებზე რეაგირების შიდა ინსტიტუციური მექანიზმის შექმნის ვალდებულების გათვალისწინება, რომელიც დაეხმარება ლგბტი ადამიანებს, დაიცვან თავი უთანაბრო და დამამცირებელი მოპყრობისგან.

7. განათლების ხელმისაწვდომობა და ჰომო/ტრანსფობიური ბულინგის პრაქტიკა

7.1. პრობლემის აღწერა

ადამიანის განვითარების პროცესში განათლების უფლების ცენტრალურობა აღიარებული და გააზრებულია სახელმწიფოთა შორის. განათლების უფლება წარმოადგენს არა ცალკეულ განყენებულ უფლებას, არამედ ქმნის სხვა უფლებათა გამოყენების წინაპირობებს¹⁹⁸. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებისა, შექმნას უნივერსალური დაწყებითი საგანმანათლებლო სისტემა და სამართლიანი წვდომა საშუალო და უმაღლეს განათლებაზე, აღნიშნული უფლებით სარგებლობა ლგბტი პირებისთვის ხშირად მრავალ ბარიერთან არის დაკავშირებული. მათგან ერთ-ერთია სახელმწიფოს უუნარობა, უზრუნველყოს არა მხოლოდ განათლებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობები, არამედ შექმნას სწავლისათვის თანაბარი და უსაფრთხო გარემო საგანმანათლებლო სისტემებში.

საქართველოს საჯარო სკოლებსა და საუნივერსიტეტო სივრცეებში გაბატონებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობა აძლიერებს განათლების უფლებით სარგებლობის შეზღუდვას ლგბტი თემის წევრებისთვის და შექმნილი მტრული გარემო აღნიშნული სივრციდან მათ გარიყვას იწვევს. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა და რეალობაში ეფექტიან ინსტრუმენტებად ვერ ტრანსფორმირდება. ლგბტი თემებისადმი სენსიტიურობის დაბალი დონე და დამახინჯებული ინფორმაცია არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა განვითარებაზე და მათ მიერ ტოლერანტობასა და მიძღვნილობაზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოყალიბებაზე.

არსებულ პირობებში კი სახელმწიფო არ ბრუნავს, საგანმანათლებლო სისტემებში შეიტანოს სქესობრივი განათლება, რომელიც მონო-დებულები იქნება მოსწავლეებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაზე მათ შორის, სოგი-ს საკითხებზე. აღნიშნულის მცდელობად შეიძლება აღვიქვათ განათლების სამინისტროს მიერ საგან „მე და სამოგადოების“ ინკლუზია საგანმანათლებლო სისტემაში, რომლის სწავლება 2016 წლიდან დაიწყო, თუმცა აღნიშნულ პროცესში საქართველოს საპატრიარქოს ჩარევამ¹⁹⁹ შესაძლოა, გაზარდოს განათლების სამინისტროზე გენოლის შესაძლებლობა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საგნის სწავლების ან მისი შინაარსის რადიკალური ცვლილების საკითხი.

7.2. საერთაშორისო სტანდარტი

განათლების უფლების უნივერსალურობა მითითებულია მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტებში²⁰⁰. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2010)5 მიხედვით, ბავშვის დაცვა სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციისაგან ასევე გულისხმობს უსაფრთ-

197 „უფროსმაჟ გაიგო... მე არ მითქვამს, თვითონ გაიგო და მაკის შემდეგ სულ მანუხებდა ხოლმე... აი შესვენებამე რო გამოვიდიოდი სამზარეულოში, ყავა რო უნდა დამეღია, გამოდიოდა ხოლმე და რაღაცებს მეკითხებოდა [...] მერე რაღაც ცინიკური ტონი შევიწინე, რო მელაპარაკებოდა [...] დამეცინოდა რა [...] მაგრამ ვუტარებდი, სამსახური მჭირდებოდა“. ფოკუს-ჯგუფი ლესბოსელი და ბისექსუალი ქალებთან.

198 UN General Assembly, Report of the Special Rapporteur on the Right to Education, Kishore Singh, A/HRC/17/29, Para. 6

199 საპატრიარქოს წმინდა სინოდი საგნის შესახებ საჯარო განხილვებს მოითხოვდა, 2015-05-25. nb: <http://www.newposts.ge>

200 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 26), გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტი (მუხლი 13).

ხო გარემოში ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლების უფლებას, რომელიც თავისუფალი იქნება ძალადობის, ბულინგის, სოციალური გარიყვლობის, დისკრიმინაციისა და დამამცირებელი მოპყრობის სხვა ფორმებისაგან²⁰¹.

სახელმწიფოს ეკისრება პირდაპირი ვალდებულება, განახორციელოს განათლების სისტემის მონიტორინგი (მათ შორის, რელიგანტური პოლიტიკის, ინსტიტუციების, პროგრამებისა და ნებისმიერი სხვა მექანიზმის), რათა მოახდინოს დისკრიმინაციის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას ნებისმიერი დე ფაქტო დისკრიმინაცია, რომლის ფარგლებშიც არსებული მონაცემები უნდა დეტალიზდეს დისკრიმინაციის ყველა დაცული საფუძვლით²⁰².

7.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი უზრუნველყოფს ყველასთვის სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარ უფლებას²⁰³, ასევე იკრძალება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია სკოლაში მიღებისას²⁰⁴. „მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“²⁰⁵ მიხედვით, მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილზინდისიერი და მიუკერძოებელია²⁰⁶. ის არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას²⁰⁷. ამასთანავე, სასწავლო პროცესის განმავლობაში ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე. მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობისას იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს²⁰⁸, პატივს სცემს მოსწავლეთა აზრს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად²⁰⁹.

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალდებულებს, უზრუნველყონ უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით²¹⁰.

7.3.1. პომო/ტრანსფობიური ბულინგის არადიარების პოლიტიკა

საქართველოში საგანმანათლებლო სისტემების მარეგულირებელი არც ერთი დოკუმენტი არ ეხება ბულინგის საკითხებს. შესაბამისად, არ არსებობს უნიფიცირებული მეთოდოლოგია ან გზამკვლევი, რომელიც დაეხმარებოდა სკოლის ადმინისტრაციას და მანდატურებს ბულინგის სხვადასხვა ფორმისა და მახასიათებლის გამოვლინებაში, მოსწავლეთა ქცევის შეფასებაში, ბულინგის განხორციელების რისკფაქტორებისა და რისკგუფთა იდენტიფიცირებაში.

UNESCO-ს მიხედვით, ბულინგით მიყენებული ზიანი მიზანმიმართული, მუდმივი და კუმულატიურია, რომელიც მის სხვადასხვა გამოვლინებაში განსხვავებული ხარისხითა და მასშტაბით აისახება. ბულინგი შესაძლოა მოიცავდეს შემანუხებელ, დამამცირებელ წამოძახებებს, მეტსახელს (ვერბალური ბულინგი), ფსიქოლოგიურ მანიპულაციებს, სოციალურ ექსკლუზიას, გარიყვას, იზოლაციას (ემოციური ბულინგი), ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმას და, ასევე, შევიწროებას ინტერნეტსივრცეში (კიბერ-ბულინგი)²¹¹.

იუნესკოს ანგარიშის მიხედვით, პომოფობიური ბულინგის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თავად ბულინგის შესაძლო შედეგებზე და მექანიზმებზე სწორედ მათ აღმოსაფხვრელად დაინერგოს. ანგარიშის მიხედვით, პომოფობიურმა ბულინგმა შესაძლოა გამოიწვიოს²¹² დაბალი აკადემიური მოსწრება, სკოლის გაცდენა ან მიტოვება და თვითდესტრუქციული ქცევები.

„იდენტობის“ მიერ წარმოებული კვლევის შესაბამისად, რომლის ფარგლებში საჯარო სკოლის ლგბტ თემის წევრი მოსწავლეები გამოიკითხა (სულ 15-18 წლამდე ასაკის 10 მოსწავლე), ირკვევა, რომ მიუხედავად სკოლებში არსებული სხვადასხვა მექანიზმისა, მასიურად ხორციელდება ბულინგი.²¹³ რესპონდენტები ძალადობის, შეურაცხყოფის, დაცინვის პრაქტიკაზე მიუთითებდნენ²¹⁴.

201 CM/Rec(2010)5, პარა. 31

202 CESCR General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13), 1999, Para, 37. <http://www.refworld.org/docid/4538838c22.html>

203 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 1.

204 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 13, პუნქტი 3.

205 იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919>

206 მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3

207 იქვე, მუხლი 4, 2

208 იქვე, მუხლი 4, 7.

209 იქვე მუხლი 4, 8

210 საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 3.2 (თ)

211 UNESCO, Education Sector Responses to Homophobic Bullying, Booklet 8, 2012, გვ.13

212 UNESCO, Review of Homophobic Bullying in Educational Institutions, 12 March 2012, chapter 2.6.

213 გიორგი ნონიაშვილი „ბულინგი სკოლებში“, ჟურნალი 17 მაისი, გამოცემა #1, 2014 წელი, გვ. 205

214 გამოკითხული 10 მოსწავლიდან 7 ბულინგის მსხვერპლი იყო

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

7.3.1.1. ინსტიტუციური ჩარჩო და მექანიზმების არაეფექტიანობის პრობლემა

ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით, პოზიტიურია ის გარემოება, რომ არსებობს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სამი მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ბრძანება, რომლის მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობა, საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით²¹⁵. ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენასა და შესაბამისი ზომების მიღებას *inter alia*, კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფებს აკისრებს, მათ შორის სკოლას, რომელსაც ევალება ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის განენისთანავე შემთხვევის ადგილზე გაანალიზება და საჭიროებისამებრ პოლიციისა და სააგენტოს ინფორმირება²¹⁶. აღნიშნულთან დაკავშირებით, EMC-მ მიმართა საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, სკოლებში ჰომოფობიური და ტრანსფობიური ბულინგისა და ძალადობის შესახებ 2012 წლიდან დღემდე სააგენტოსადმი მიმართვიანობის სტატისტიკის მიღების მოთხოვნით, რაზეც, ორგანიზაციას ეცნობა, რომ სააგენტოში მსგავსი სახის ინფორმაცია არ შესულა²¹⁷. მსგავსი პასუხი დაფიქსირდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპასუხო წერილშიც²¹⁸.

აღნიშნული ინფორმაციული ვაკუუმი თავისთავად ათვალსაზიროებს რეფერირების მექანიზმის არაეფექტიანობასა და არასენსიტიურობას ბულინგის პრაქტიკების მიმართ. პირველ რიგში, საში უნდა გაეცნოს იმ ფაქტს, რომ თავად რეფერირების პროცედურები მეტწილად ოჯახში ძალადობის გამოვლინებაზე ფოკუსირებული და არ არის მორგებული სკოლებში გამოვლენილ ძალადობაზე, მათ შორის ბულინგის შემთხვევებზე. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმის გამოყენება სკოლებში ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღკვეთის კუთხით პრობლემურია.

7.3.1.2. პედაგოგთა პასუხისმგებლობის მექანიზმის ანალიზი

მნიშვნელოვანია, რომ სწორად სოგი-ს საფუძველზე ბავშვის მიმართ ძალადობისა და ბულინგის პროვოცირებას პედაგოგებიც უწყობენ ხელს, სწორად კი არც რეაგირებენ ამგვარი ფაქტის შემჩნევისას²¹⁹.

ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის ბულინგისა და ძალადობის ფაქტის მიმართ უმოქმედობაზე), მასწავლებლის მიმართ შესაძლოა, გამოყენებული იქნას პასუხისმგებლობის ღონისძიებები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ №167/ნ²²⁰ ბრძანების მიხედვით, განისაზღვრა სკოლის დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მასწავლებელთა მხრიდან დისციპლინარულ გადაცდომებზე რეაგირების მექანიზმია.

გეოლოგიური მექანიზმის მუშაობის შესაფასებლად, EMC-მ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვისათვის, რაზეც ორგანიზაციას ეცნობა, რომ სკოლის/მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მიმართ სოგი-ს ან ასეთის შესახებ ეჭვის საფუძველზე დისკრიმინაციული ან ძალადობრივი ქმედების შესახებ დისციპლინარული კომიტეტის მიერ საქმის განხილვა და პასუხისმგებლობის დაკისრება არ მომხდარა.²²¹ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მექანიზმი, ერთი მხრივ, შესაძლოა, ქმნიდეს პასუხისმგებლობის დაკისრების ეფექტს, განათლების სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია ათვალსაზიროებს მის არაეფექტიანობას.

7.3.1.3. მანდატურის სამსახურის ქმედითობის შეფასება ბულინგის აღმოფხვრასთან მიმართებით

სასკოლო სისტემებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2007 წლის პროგრამის „უსაფრთხო სკოლის“ საფუძველზე დაინერგა და 2010 წელს შეიქმნა „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური“. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და მედიატორის როლის შესრულება მოსწავლეთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ინციდენტებისა და ძალადობის შეფასება და მასზე ადეკვატური რეაგირება. მანდატურს ასევე ევალება საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა²²².

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით EMC-მ სტატისტიკური ინფორმაცია გამოითხოვა მანდატურის სამსახურიდან, საიდანაც ორგანიზაციას ეცნობა, რომ ქმედებისათვის „ბულინგის“ კვალიფიკაციის მისაცემად (რადგანაც სავარაუდო შემთხვევის არსებობისას ის საჭიროებს მისი გამოძვევი მიზეზებისა და სპეციფიკის საფუძვლიან შესწავლას) მანდატურს შესაბამისი კომპეტენცია არ გააჩნია²²³. აღნიშნული პასუხი

215 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრების ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ N152/ნ-N496-N45/ნ, მუხლი 1(1).

216 იქვე, მუხლი 4(4)

217 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ საპასუხო წერილი, N04/68190, 10.09.2015

218 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპასუხო წერილი, MES 0 15 00877599, 10.09.2015

219 ანა სუბელიანი „ჰომოფობიური ბულინგი საქართველოს საჯარო სკოლებში“, 2015

220 იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2650526>

221 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპასუხო (ელექტრონული) წერილი MES 0 15 00877599, 10/09/2015.

222 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 48³

223 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, MES 11500967455, 24/09/2015

აჩვენებს, რომ მანდატურის სამსახური მხოლოდ მოსწავლეთა შორის ფიზიკური ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი, შესაბამისად, პომოფობიური ბულინგის აღმოფხვრის შესაძლო მექანიზმად ვერ განიხილება.

7.4. დასკვნა

როგორც განათლების სისტემაში დისკრიმინაციის ანალიზმა აჩვენა, სკოლა, განათლების სისტემა და სამართლებრივი რეაგირების არსებული მექანიზმები არ არის ქმედითი და ეფექტიანი დისკრიმინაციისა და ბულინგის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პომოფობიური ბულინგისა და დისკრიმინაციის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება შესაძლოა გახდეს ადეკვატური სქესობრივი განათლების შეტანა სასწავლო კურიკულუმებში, თუმცა სახელმწიფოს მიერ არ ხდება ამ თემატიკის სწავლების მიზნების გააზრება, რაც მათ შორის, სახელმწიფოს არასეკულარული მიდგომებითა და დომინანტი რელიგიური ჯგუფისა და გაბატონებული რელიგიური და ეთნო-ნაციონალისტური დისკურსის მიმართ ლოიალობით არის განპირობებული. შესაბამისად, მასწავლებლების კორპუსის დიდი ნაწილი ამ ეტაპზე მზად არ არის ობიექტური და აკადემიური პასუხი გასცეს მოსწავლეთა მიერ წამოჭრილ შეკითხვებს სექსუალობისა და იდენტობის თემაზე და ამ პირობებში რეალობის დამახინჯების გზით კიდევ უფრო ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გაძლიერებასა და ძალადობის მაპროვოცირებელ სივრცეებს ქმნიან²²⁴.

8. ლგბტი პირთა ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების მიმოხილვა

8.1. პრობლემის აღწერა

ყველა ადამიანს აქვს უფლება ჯანდაცვის უმაღლეს სტანდარტზე. აღნიშნული უფლების რეალიზაცია მიიღწევა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკის, სპეციალური სტრატეგიის, ჯანდაცვის პროგრამებისა და სპეციფიკური სამართლებრივი ინსტრუმენტებით. ლგბტი პირთათვის ჯანმრთელობის უფლების სრული რეალიზაციის შეუძლებლობა მეტწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ არაეფექტიან ღონისძიებებთან, რომლითაც ვერ ხდება დისკრიმინაციის, არასათანადო მოპყრობის, იძულებითი მკურნალობისა და ლგბტი ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სათანადო ჯანდაცვის სერვისების მიწოდება და განვითარება.

ამასთან, ლგბტი პირებისათვის ჯანდაცვის პროვადერებთან ურთიერთობას თან ახლავს დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა, პირადი ცხოვრებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად შეიძლება გაუარესდეს სამედიცინო პერსონალის არაინფორმირებულობისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო. ამდენად, უარყოფითი სტერეოტიპები, ლგბტი პაციენტთა სპეციფიკური სამედიცინო საჭიროებების უცოდინრობა და არაადეკვატური პრაქტიკა წარმოადგენს ბარიერს პაციენტებისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების პროცესში.

8.2. საერთაშორისო სტანდარტი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ჯანმრთელობის უფლებას იცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ ჯანმრთელობის უფლება ეს არის „ადამიანის უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტებით“. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის შესახებ მე-14 ზოგად კომენტარში განმარტავს, რომ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის სქესისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, ეწინააღმდეგება პაქტის დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს²²⁵.

ამასთან, იოგიაკარტას მე-17 და მე-18 პრინციპები განიხილავს უფლებას ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე და სამედიცინო დარღვევებისგან დაცვას. იოგიაკარტას მე-17 პრინციპის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. ამ უფლების ფუნდამენტური ასპექტია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა“.

224 საქმეზე Interights v. Croatia, კომიტეტი ამბობს, რომ სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ამგვარი ინფორმაციის რეპროდუქციას საკანონოებლო მასალებში არა მხოლოდ დისკრიმინაციული და დამამცირებელი ეფექტი აქვს არაპეტერსექსუალური ორიენტაციის მქონე პიროვნებისათვის, არამედ მოსწავლეებს აწვდის ადამიანის სექსუალობის შესახებ დამახინჯებულ სურათს. რადგანაც სახელმწიფომ დაუშვა, სექსუალობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლება გამმდარყო დამამცირებელი სტერეოტიპების გამაძლიერებელი, მან ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. European Committee of Social Rights, Decision on the Merits, INTERIGHTS v. Croatia, No.45/2007 (30 April 2009), Para. 61, nb: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/socialcharter/Complaints/CC45Merits_en.pdf

225 UN Economic and Social Council, general comment N14 (2000), para. 18. nb: <http://www.unhcr.org/refugees/14.html>

8.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

ჯანმრთელობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით არის დაცული და გამორიცხავს დისკრიმინაციას ამ უფლებით სარგებლობისას. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები გათვალისწინებულია „ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვით, „დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია *inter alia* სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი დამოკიდებულების გამო“²²⁶. ამასთანავე, „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის სფეროში, უზრუნველყოფს პაციენტთა პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობას²²⁷.

8.3.1. დისკრიმინაციული ქმედებების ანალიზი ჯანდაცვის პერსონალის მხრიდან

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული არაერთი კვლევა ადასტურებს ჯანდაცვის სერვისების მიწოდებისას ლეგალური, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციულ მდგომარეობას²²⁸. 2012 წელს „თანადგომის“ მიერ წარმოებული ხარისხობრივი კვლევა, რომელიც გეი/მსმ მამაკაცების გამოცდილებაზე იყო ფოკუსირებული, მიუთითებს, რომ „რესპონდენტების ნაწილს სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო გამოეცილი აქვს ცინიკური, გულგრილი დამოკიდებულება სამედიცინო პერსონალის მხრიდან, ან სმენია მსგავსი ფაქტის შესახებ სხვა გეი/მსმ-სგან“²²⁹. სამედიცინო პერსონალის მხრიდან უარყოფითი, გულგრილი დამოკიდებულების მოლოდინი რიგ რესპონდენტებში იწვევს ისეთ დესტრუქციულ ქმედებას, როგორცაა არასწორი ინფორმაციის მიწოდება ექიმისთვის, რაც შემდგომ გავლენას ახდენს ექიმის მიერ მკურნალობის მეთოდის შერჩევაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ნეგატიური დამოკიდებულების მოლოდინი გეი/მსმ ადამიანებში იწვევს მკურნალობაზე უარის თქმას²³⁰.

2015 წელს WISG-ის მიერ ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის შესახებ წარმოებულ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ არ განუცდია დისკრიმინაცია და უარყოფითი დამოკიდებულება ექიმების მხრიდან, თუმცა ეს განპირობებულია იმითაც, რომ მათი უმეტესობა თავს არიდებს ექიმთან მისვლას და თვითმკურნალობას ეწევა. ის რესპონდენტები, რომლებიც ისედაც ვერ ახერხებდნენ გარეგნობის სურვილისამებრ შეცვლას, ექიმთან მისვლის შემთხვევაში, უბრალოდ, არ ამჟღავნებენ თავიანთ გენდერულ იდენტობას²³¹. აღნიშნულ შესაძლოა, ხელს უწყობდეს სამედიცინო პერსონალში სოკი-ს შესახებ მცდარი ინფორმაციის არსებობა. ამის დასტურია 2012²³² და 2015 წლების²³³ კვლევებიც, რომლებმაც ჯანდაცვის პერსონალის მხრიდან ჰომოსექსუალურ ურთიერთობებზე ზედაპირული და ხშირად მცდარი ინფორმაცია გამოავლინა.

გეოლოგიური კვლევები ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელთა სრულყოფილი და სიღრმისეული გადამზადების უპირობო აუცილებლობას ადასტურებს. აქვე იკვეთება უნივერსიტეტებში სასწავლო მასალის სიღრმისეული კვლევის საჭიროებაც, რათა გაანალიზდეს მასალეების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

8.3.2. სექსუალური ორიენტაციის „მკურნალობის“ პრაქტიკის საკითხი

მიუხედავად იმისა, რომ ჰომოსექსუალობა 1990 წლიდან ამოღებულია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) დაავადებათა სიდიდან, საქართველოში სამედიცინო პერსონალი მას კვლავ დაავადებად და დევიაციად განიხილავს. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული კვლევები და ანგარიშები²³⁴ ადასტურებს სამედიცინო სისტემაში არსებულ მანკიერ პრაქტიკას, რომლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კლინიკური ჩვენება, ექიმები მაინც მიმართავენ სექსუალური ქცევის ცვლილებისათვის გარკვეულ არამეცნიერულ მეთოდებს, რომელიც არსებითი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს აღნიშნულ „მკურნალობას“ დაქვემდებარებული ინდივიდისათვის.

„მკურნალობის“ პრაქტიკა ბევრად უფრო მწვავეა, როდესაც მას მცირეწლოვანი ადამიანი ექვემდებარება. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, „სამედიცინო მომსახურების განვეის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი მცირეწლოვანების ან მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომად-

226 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ“, მუხლი 6
227 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 1
228 „თანადგომა“ აივ ინფექცია/შიდსი და მასთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებს შორის საქართველოში, 2012 წელი. იხ: <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dftcontent/1/110.pdf>, ასევე, ნათია გვინიშვილი „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში“, WISG, 2015; დამატებითი იხილეთ, ნათია გვინიშვილი „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“, WISG, 2015.
229 იქვე, გვ. 8
230 იქვე.
231 ნათია გვინიშვილი „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2015, გვ. 19
232 „თანადგომა“ საქართველოში კეთილგანწყობილი სამედიცინო სერვისების საჭიროების შეფასება იმ მამაკაცებს შორის, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ), სამედიცინო პერსონალის მსმ-ების მიმართ დამოკიდებულების და მათთან შემაბობის სპეციფიკის სწავლების საჭიროების შესწავლა. 2012 წელი, იხ: <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dftcontent/1/118.pdf>
233 ლელა სერგერაიკოვა „ლეგალური, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პაციენტების მიმართ სამედიცინო პერსონალის ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის კვლევა“, 2015 წელი, გვ. 37, იხ: <http://www.feminizmi.org/wp-content/uploads/2015/06/Lela-Serebryakova-report-5.pdf>
234 CM/Rec(2010)5 იმპლემენტაციის ანგარიში, WISG 2012, გვ. 77-81.

გენლის ინფორმირებული თანხმობის მიღება“. როგორც აღნიშნული ჩანაწერიდან ჩანს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მცირეწლოვანი²³⁵ პაციენტის მიმართ სამედიცინო ჩარევა დასაშვებია მხოლოდ პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით²³⁶ და 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს სამედიცინო მომსახურება გაენევა მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით²³⁷. რეალობაში სწორედ პაციენტის ახლო ნათესავი, ხშირად მშობელია ამგვარი ინტერვენციის ინიციატორი²³⁸, რის გამოც ბავშვები სრულიად დაუცველები არიან ჰომოსექსუალობის იძულებითი „მკურნალობისაგან“, ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა სრულყოფილად ვერ არეგულირებს ბავშვთა დაცვის საკითხს ამგვარი სამედიცინო ინტერვენციებისგან.

8.3.3. ეთიკის კოდექსი და გასაჩივრების მექანიზმი

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც უკავშირდება პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასა და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევას²³⁹ და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ფორმებს²⁴⁰, რომელთა შორის არის: წერილობითი გაფრთხილება, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება.

2008 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №122/წ ბრძანებით, დამტკიცდა პროფესიული განვითარების საბჭო, რომელიც განიხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს და სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე²⁴¹. საბჭოს საქმიანობის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო,²⁴² რომელიც უფლებამოსილია, შეისწავლოს როგორც მოქალაქეთა განცხადება/საჩივრები კანონმდებლობით დადგენილი წესით²⁴³, ასევე დასვას ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ საკითხი²⁴⁴.

აღნიშნული მექანიზმის ქმედითობის შეფასებისა და მოქალაქეთა მიმართვიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნით, EMC-მ მიმართა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს. მიღებული ინფორმაციის მიხედვით²⁴⁵, 2012-დან 2015 წლის ჩათვლით პერიოდში სააგენტოში შესულია მხოლოდ ერთი წერილი 2015 წლის 15 მაისს, რომელიც შეეხება სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმის მიერ ტრანსგენდერი ადამიანისათვის არასათანადო სამედიცინო დახმარების საკითხს, რომლის საფუძველზე სააგენტოში შეისწავლა პაციენტის მიმართ სამედიცინო დახმარების განევის ხარისხი. შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამო, საკითხი დაისვა პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, თუმცა განცხადებაში არ არის მითითებული, დაეკისრა თუ არა პასუხისმგებლობა კონკრეტულ ექიმს, რის გამოც, ასევე ვერ მოხდება დაკისრებული პასუხისმგებლობის ფორმის შეფასება.

8.4. ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში

დღეს საქართველოში ჯანდაცვის სფეროში გამოიყენება საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკატორი ICD-10, რომლის მიხედვით „ტრანსგენდერობა“ ფსიქიკურ აბილიობად კლასიფიცირდება²⁴⁶, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მუშაობს აღნიშნული კლასიფიკატორის რევიზიაზე, რომლის დასრულება 2018 წლისათვის არის განსაზღვრული²⁴⁷. რევიზიის პროცესში უკვე განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, „გენდერული იდენტობის დარღვევები“ ჩანაცვლებულია ტერმინით – „გენდერული შესაბამობა“, ამასთან, ის ფსიქიკური ჯანმრთელობის თავის ნაცვლად, ინტეგრირებულია სექსუალური ჯანმრთელობის ქვეთავში²⁴⁸.

235 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მცირეწლოვანი (და, შესაბამისად, ქმედუნარიანი) მიიწვევა ადამიანი 7 წლის ასაკამდე.

236 საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ“, მუხლი 11

237 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 42, პუნქტი 2.

238 Rights of LBT women in Georgia, Shadow Report, WISG 2012, გვ. 79-81

239 საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 73, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/153334#>

240 იქვე, მუხლი 74.1 (ა)(ბ)(გ)

241 პროფესიული განვითარების საბჭოს დებულება, მუხლი 2 (ლ), იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/77740>

242 იქვე, მუხლი 1, პუნქტი 6

243 საკარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულება, მუხლი 2.3 (გ), იხ: <http://rama.moh.gov.ge/index.php?page=41&lang=geo>

244 იქვე, მუხლი 2.3 (მ)

245 საკარო სამართლის იურიდიული პირის სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საპასუხო წერილი N02/68639, 11.09.2015

246 WHO, ICD-10, F64. იხილეთ: <http://apps.who.int/classifications/icd10/browse/2016/en#/F80-F89>

247 WHO, The International Classification of Diseases 11th Revision, იხილეთ: <http://www.who.int/classifications/icd/revision/en/>

248 ICD-11 Beta Draft, იხ: <http://apps.who.int/classifications/icd11/browse/l-m/en#/http%3a%2f%2fid.who.int%2fcd%2fententy%2f411470068> ამასთან, ტრანსგენდერობა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიონალოთა ასოციაციის სამუშაო ჯგუფმა (WPATH) 2013 წელს მიაღწია კონსენსუს ტრანსგენდერობისა და ტრანსსექსუალობისთან დაკავშირებული დიაგნოზის შესახებ, სადაც ასევე ახდენს დიაგნოზის რეკონსტრუქციისა და დეტალურად იხ: http://www.wpath.org/uploaded_files/140/files/ICD%20Meeting%20Packet-Report-Final-sm.pdf

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს სამედიცინო სისტემაში ტრანსგენდერობა „სრულად არის მედიკალიზებული და პათოლოგიზებული და არ ითვალისწინებს ტრანსგენდერობის ფართო სპექტრს“²⁴⁹.

რაც შეეხება, სქესის ქირურგიული გზით შეცვლის საკითხს, სამედიცინო თვალსაზრისით, ტრანსგენდერი ადამიანის ბიოლოგიური სქესის შეცვლის პროცედურა, პირობითად, სამ ეტაპს მოიცავს²⁵⁰, კერძოდ, „გენდერული დისფორიის“ დიაგნოზის დასმას, ჰორმონალურ თერაპიასა და ქირურგიული გზით სქესის შეცვლას.²⁵¹

EMC-ის მიერ ტრანსგენდერ ადამიანებთან გამართული ფოკუს-ჯგუფის შედეგებიდან ირკვევა, რომ რესპონდენტთა ნაწილს სურს ქირურგიული ოპერაცია, კერძოდ, მკერდის გადიდება, მასტექტომია, პენისის/სათესლე ჯირკვლების მოშორება, თუმცა ნაწილს არ აქვს შესაბამისი ფინანსური სახსრები; ზოგიერთ მათგანს არ აქვს გადაწყვეტილი, საერთოდ სურს თუ არა რაიმე სახის ოპერაცია, ხოლო ნაწილი თავს იკავებს, როგორც ჰორმონალური თერაპიის, ისე ოპერაციისგან, რათა თავი აარიდონ ოჯახში კონფლიქტის წარმოშობას.

8.4.1. ქირურგიული ოპერაციის ფინანსური ხელმისაწვდომობის ანალიზი

ტრანსგენდერი ადამიანებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციის ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემატიკაში იკვეთება, რადგანაც სახელმწიფო მსგავსი სახის ოპერაციებს არ ანაზღაურებს.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ტრანსგენდერ ადამიანთა ჯანმრთელობა, მათი სოციალური ინტეგრირება, მარგინალიზაციისაგან დაცვა და მასზე მიბმული ფსიქიკური ჯანმრთელობა სახელმწიფოს პრიორიტეტს არ წარმოადგენს. მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქირურგიული ოპერაციების პლასტიკური ქირურგიის კლასიკურ ნაწილად განხილვით, სახელმწიფო ვერ იაზრებს, რომ ბიოლოგიური სქესის გენდერულ თვითაღქმასთან შესაბამისობაში მოყვანა ტრანსგენდერი ადამიანების ნაწილისათვის შესაძლოა სოციალური და სხეულებრივი ინტეგრაციის, მარგინალიზაციისაგან თავის დაღწევისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის ერთადერთი შესაძლებლობა იყოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ერთ-ერთი უახლეს რეზოლუციაში 2048 (2015) შემფოთებას გამოხატავს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სქესის კვლავმინიჭების პროცედურების ხელმისაწვდომობისა ფინანსური ბარიერების არსებობის გამო და მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ სქესის კვლავმინიჭების პროცედურები ხელმისაწვდომი იყოს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის; უზრუნველყონ, რომ აღნიშნული პროცედურები ანაზღაურდეს სამოგადოებრივი ჯანდაცვის სადამზღვევო სქემიდან, ხოლო ანაზღაურებასთან დაკავშირებული ლიმიტაციები უნდა იყოს კანონიერი, ობიექტური და პროპორციული.

საქმეში *Schlumpf v. Switzerland*²⁵² ევროპულმა სასამართლომ პოსტოპერაციულ მდგომარეობაში მყოფი ტრანსგენდერი ქალისათვის მისი ასაკის გამო ქირურგიული ოპერაციის ანაზღაურებაზე უარი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად შეაფასა, რადგანაც სახელმწიფომ ადამიანის პირადი ცხოვრების ყველაზე პრივატულ სფეროსთან მიმართებით ვერ დაიცვა ბალანსი სადამზღვევო კომპანიასა და განმცხადებლის ინტერესებს შორის²⁵³.

კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა საქმეში *Van Kuck v. Germany*. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე სადამზღვევო კომპანიისაგან მოითხოვდა ჰორმონალური მკურნალობისათვის გაღებული თანხის ანაზღაურებას, თუმცა ეროვნული სასამართლოების მეშვეობით ამას ვერ მიაღწია, რადგანაც შიდა სასამართლოს არგუმენტაციით, ტრანსსექსუალობა წარმოადგენდა განზრახ გამონვეულ დაავადებას, რისი მკურნალობისთვისაც სადამზღვევო კომპანიას ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრებოდა.

8.5. ინტერსექსი ადამიანების საჭიროებების შეფასება ჯანდაცვის სფეროში

ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად ტერმინი „პერმაფროდიტი“ ფართოდ გამოიყენებოდა სამედიცინო სფეროში მე-18 და მე-19 საუკუნეებში. „ინტერსექსი“ სამედიცინო ტერმინად მე-20 საუკუნეში დამკვიდრდა. სქესობრივი განვითარების დარღვევების თანამედროვე კლასიფიკაციამდე სქესობრივი მახასიათებლების ვარიაციები ინტერსექს ადამიანებში ცალ-ცალკე იყო დაჯგუფებული, მათ შორის: კონგენიტალური ადრენალური ჰიპერპლაზია, ანდროგენების უგრძობლობის სინდრომი, გონადალური დიზგენეზი, ჰიპოსპადია და ქრომოსომების უჩვეულო შემადგენლობა, როგორცაა XXY (კლინფელტერის სინდრომი) ან XO (ტერნერის სინდრომი)²⁵⁴.

249 ნათია გვიანიშვილი, ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, WISG, 2015, გვ. 33
250 „ტრანსგენდერი ადამიანების სქესის აღიარების სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ საერთაშორისო ტენდარტები და საუკეთესო მაგალითები“, იდენტობა, 2012, გვ. 6-7
251 პრაქტიკაში არსებობს „ჭეშმარიტი ტრანსგენდერის“ ცნობა, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ეფუძნება გენეტიკურ, ენდოკრინოლოგიურ, გინეკოლოგიურ ან/და უროლოგიურ, ორ დამოუკიდებელ ფსიქიატრიულ და ორ დამოუკიდებელ სექსოლოგიურ ექსპერტიზას, ასევე, ფსიქოლოგიურ ტესტირებას. ამასთან, პირი უნდა იმყოფებოდეს ექვსი სექსოლოგის დაკვირვების ქვეშ არანაკლებ 6 თვისა, შესაბამისად, ცნობის გაცემის პერფორატია ენიჭება ექვს სექსოლოგს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (დარგობრივი ექსპერტის) საპასუხო წერილი N01/77928, 12/10/2015
252 ECHR, AFFAIRE SCHLUMPF c. SUISSE (Requête no 29002/06), იხ:
253 იქვე, პარა. 115
254 Human rights and intersex people, Issue paper published by the Council of Europe Commissioner for Human Rights, April 15, page 15

დღესდღეობით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, სქესობრივი მახასიათებლების ვარიაციები ინტერსექს ადამიანებში თავმოყრილია პათოლოგიების, დარღვევების (სქესობრივი განვითარების დარღვევები) სამედიცინო კლასიფიკაციაში (DSD)²⁵⁵.

ინტერსექს ადამიანებთან მიმართებით „კაცისა“ და „ქალის“ ბიოლოგიურ ორგანიზმებთან დაკავშირებულმა სამედიცინო ნორმებმა ჩამოაყალიბა სამედიცინო და ქირურგიული ჩარევის პრაქტიკა, მათ შორის, გენიტალიების „ნორმალიზების“ კუთხით, მაშინაც კი, როდესაც ასეთ ჩარევას აქვს კოსმეტიკური მიზანი და არ ეფუძნება სამედიცინო საჭიროებას²⁵⁶.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების შესახებ (SRT) 2013 წლის ანგარიშში ცალკე ეხება ინტერსექსი ადამიანების საკითხს და მიუთითებს, რომ ბავშვები, რომლებიც იბადებიან სქესის ატიპური მახასიათებლებით, ხშირად ექვემდებარებიან სქესის კვლავმინიჭების შეუქცევად პროცესს, არასასურველ სტერილიზაციას, გენიტალიების ნორმალიზების არასასურველ ოპერაციებს – მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე (ან მშობლების თანხმობით), რათა „გამოსწორონ მათი სქესი“. ამას შედეგად მოაქვს განაყოფიერების უნარის შეუქცევადი დაკარგვა და მენტალური ტანჯვა²⁵⁷.

ინტერსექს ბავშვებზე ყურადღებას ამახვილებს ასევე გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი, რომელიც მიუთითებს, რომ „სამედიცინოდ არაუცილებელმა ოპერაციებმა და პროცედურებმა, რომელთაც ინტერსექსი ბავშვები ექვემდებარებიან, შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა“²⁵⁸. კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს პირველადი მდგომარეობის აღდგენისა და ზიანის ანაზღაურების არარსებობის მანკიერ პრაქტიკას²⁵⁹.

გაერო აქტიურად იღვწის ინტერსექსი ადამიანების უფლებების ხელშეწყობისთვის. ამისათვის ადამიანის უფლებათა კამპანიის ფარგლებში „Free and Equal“ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისმა (UN OHCHR) გამოსცა საინფორმაციო დოკუმენტი²⁶⁰, რომელშიც მოახდინა ინტერსექს ადამიანებთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტების კომპილაცია და ასევე ასახა იმ სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკა, რომელთაც „ინტერსექსი“ ჩართეს თავიანთ კანონმდებლობაში, როგორც დისკრიმინაციისაგან დაცული ნიშანი (ავსტრალია, მალტა)²⁶¹.

საქართველოში ინტერსექსი ბავშვების რაოდენობის შესახებ სტატისტიკა არ ინარჩუნება. ასევე არ მოიპოვება ინფორმაცია ინტერსექსი ბავშვის/მოზრდილების მიმართ სამედიცინო პრაქტიკის შესახებ²⁶².

8.6. დასკვნა

როგორც ზემოთ წარმოდგენილმა შეფასებებმა ცხადყო, ლგბტი პირთა ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილად რეალიზებას სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი ცოდნა, სენსიტიურობის ნაკლებობა და დისკრიმინაციული მიდგომა უშლის ხელს. ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სქესის კვლავმინიჭების ოპერაციების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა არსებითად კრიტიკულია. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გადაადგას ეფექტური ნაბიჯები ოპერაციისა და სხვაგვარი სამედიცინო ჩარევების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით.

ინტერსექსი ადამიანების უხილავობა საზოგადოებაში არსებითი პრობლემაა. მათი ცხოვრება ხშირად ტაბუდადებული და სასირცხვილოა, რაც ასევე გამოწვეულია მათზე განხორციელებული სამედიცინო ჩარევის შესახებ ინფორმაციის უქონლობითაც. ინტერსექსი ადამიანები, რომლებიც შედარებით უფროს ასაკში აღმოაჩნენ თავიანთ სქესობრივ მახასიათებლებს, შესაძლოა, ისეთივე ჩარევის მსხვერპლნი გახდნენ, როგორც ბავშვობიდანვე ინტერსექსად იდენტიფიცირებული პირები.²⁶³ შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიზაროს ინტერსექსი ბავშვებისა და მოზარდების საჭიროებები და შესაბამისი მეთოდური გაიდლაინები შეიმუშაოს უსაფუძვლო სამედიცინო ინტერვენციისგან დასაცავად.

255 იქვე, გვ.22

256 Erik Schneider “An insight into respect for the rights of trans and intersex children in Europe”, CoE, para.144

257 A/HRC/22/53, 1 February 2013, პარა. 77; ასევე, A/HRC/19/41, პარა. 57

258 CRC/C/CHE/CO/2-4, პარა.42 (b)

259 იქვე

260 United Nation for LGBT equality, Free & Equal, fact sheet, Intersex. https://www.unfe.org/system/unfe-65-Intersex_Factsheet_ENGLISH.pdf

261 იქვე

262 საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის საპასუხო წერილი, N01/88512, 17.11.15; ინტერსექსთან დაკავშირებული საკითხების სწავლებასთან მიმართებით, EMC-იმ გამოითხოვა ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან, საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ „ინტერსექსუალობის შესახებ საკითხები ჩართულია როგორც დიპლომანდელი, ისე დიპლომისშემდგომი სწავლების პროცესში. სწავლებისთვის გამოიყენება ბავშვთა ენდოკრინოლოგიისა და კლინიკური ფსიქოლოგიის თანამედროვე სახელმძღვანელოები“. წერილში ისიც არის მითითებული, რომ „ინტერსექსუალური“ სხეული ადამიანის იშვიათ, მაგრამ ნორმალურ ბიოლოგიურ ფორმას წარმოადგენს. N02-03-28/90, 09.11.2015

263 Human rights and intersex people, Issue paper published by the Council of Europe Commissioner for Human Rights, April 15, pg. 14

9. სოციალური დაცვის უფლება: უსახლკარობა და სოციალური მონყვლადობა ლგბტი თემში

9.1. პრობლემის აღწერა

სოციალური დაცვის უფლება, დისტრიბუციული მახასიათებლების გამო, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებასა და აღმოფხვრაში, რითაც ახდენს სოციალური გარიყულობის პრევენციას და ხელს უწყობს სოციალურ ინკლუზიას²⁶⁴.

სოციალური დაცვის უფლების აღმჭურველი საკანონმდებლო აქტები საქართველოში ლგბტი პირთა მიმართებით დისკრიმინაციული არ არის, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ზოგადად საქართველოში არსებული სოციალური დაცვის სისტემა არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. EMC-ის მიერ 2014 წელს წარმოებული კვლევა, რომელმაც სახელმწიფოს პოლიტიკა შეაფასა უსახლკარო, სოციალურად დაუცველ პირებთან მიმართებით, ათვალსაინოებს სოციალურად დაუცველი, უსახლკარო ოჯახების მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას მათი ფუნდამენტური უფლებების განგრძობადი დარღვევის ფონზე და კრიტიკულად აანალიზებს სახელმწიფოს მიერ მათი პრობლემების გააზრების ნაკლებობასა და უმოქმედობას, რითაც არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს²⁶⁵.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ოჯახებისათვის სოციალური დახმარებისა და პირთა ადეკვატური საცხოვრისის საკითხებიდან სრულად გამორიცხავს ლგბტი თემის სპეციფიკურ საჭიროებებს. სოციალურ უფლებათა შორის ლგბტი პირებისათვის ყველაზე პრობლემური უსახლკარობის პრაქტიკაა, რომელიც საზოგადოებაში არსებული პოზიტივისა და ტრანსფობიის ყველაზე უხილავ შედეგს წარმოადგენს. სახელმწიფოთა დიდ ნაწილში ოჯახის წევრების მხრიდან მიუღებლობის პრაქტიკა არსებითად უწყობს ხელს უსახლკარობის გავრცელებას. დიდ ბრიტანეთში წარმოებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ ლესბოსელებთან 29%-მა და 25%-მა გეი რესპონდენტმა მიუთითა, რომ ქამინგ აუთის შემდეგ ოჯახების დატოვება მოუწიათ. ოჯახის დატოვების იძულებითი შემთხვევები ბევრად მეტია ტრანსგენდერ რესპონდენტებში, რომელთა ჯგუფში მსგავსი მონაცემი 45%-ს აღწევს²⁶⁶. კანადაში მსგავსმა კვლევამ გამოავლინა, რომ თავშესაფართა სისტემაში განთავსებულ ახალგაზრდა უსახლკაროთა 20% თავს ლგბტი²⁶⁷ თემს მიაკუთვნებს²⁶⁸. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიმართულია უსახლკარობის დაძლევისაკენ, ვერ იქნება წარმატებული, თუ სოციალური მონყვლადობის განმაპირობებელი რისკფაქტორების სრულფასოვანი ანალიზი არ მოიცავს.

9.2. საერთაშორისო სტანდარტი

სოციალური დაცვის უფლება დაცულია ძირითად საერთაშორისო და რეგიონულ ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტებში²⁶⁹, მათ შორის – გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტში, რომლის მიხედვით, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის დაცვის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დახმარების ჩათვლით“²⁷⁰.

უფლება სოციალურ დაცვაზე შეიცავს ფულადი თუ ნატურის სახით არსებულ ბენეფიტებზე ხელმისაწვდომობასა და მათი მიღების უფლებას დისკრიმინაციის გარეშე, რათა დაიცვას მოქალაქეები ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სანარმოო ტრავმის, უმუშევრობის, მოხუცებულობისა და, ასევე, ოჯახის მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერით²⁷¹ გამოწვეული სოციალური მონყვლადობისგან. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მე-19 კომენტარში ხაზგასმულია, რომ სოციალური დაცვის სისტემა უნდა ფარავდეს ყველას, განსაკუთრებით კი ყველაზე მონყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებს²⁷².

აღნიშნულთან დაკავშირებით ვგვრთავს მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ „შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ადამიანების უსახლკაროდ დარჩენის რისკებს, მათ შორის – ახალგაზრდებსა და ბავშვებს, რომლებიც განსაკუთრებით მონყვლადები არიან სოციალური მარგინალიზაციის, მათ შორის, მათივე ოჯახების მხრიდან გარიყულობის გამო.

264 UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 19: The right to social security (Art. 9 of the Covenant), 4 February 2008, E/C.12/GC/19, პარა. 3. იხ: <http://www.refworld.org/docid/47b17b5b39c.html>

265 თამთა მიქელაძე, ნინო სუხიშვილი „არაღიარება, უმოქმედობა და რეპრესია საცხოვრებლის სანაცვლოდ“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2014 წელი, გვ.65

266 Council of Europe, Discrimination on grounds of sexual orientation and gender identity in Europe, 2nd edition, გვ. 101.

267 LGBTQ2 აბრევიატურაში „2“ აღნიშნავს ორსახოვან (two-spirited) – ტერმინი გამოიყენება იმ მკვიდრი ამერიკელების აღსაწერად, რომლებიც არ იდენტიფიცირდებიან, როგორც ბეტერსექსუალი ან ტრანსი.

268 Lesbian, Gay, Bisexual, Transgender, Transsexual, Queer, Questioning and 2-Spirited (LGBTQ2) and Homelessness, იხ: <http://homelesshub.ca/about-homelessness/population-specific/lesbian-gay-bisexual-transgender-transsexual-queer>

269 ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია, მუხლი 22; 25. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი 11; 14 (გ); კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 26.

270 მუხლი 9

271 UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 19: The right to social security (Art. 9 of the Covenant), 4 February 2008, E/C.12/GC/19, პარა. 2. იხ: <http://www.refworld.org/docid/47b17b5b39c.html>

272 იქვე, პარა. 23

ამ მხრივ, დისკრიმინაციის გარეშე, თითოეული ინდივიდის საჭიროების ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით, შესაბამისი სოციალური მომსახურება უნდა იქნას უზრუნველყოფილი²⁷³.

9.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

საქართველოში ბოლო წლებამდე არ არსებობდა რაიმე სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც უსახლკარობისა და მიუსაფარ ადამიანთა საკითხს ცალკე დაარეგულირებდა და კონკრეტულ მექანიზმებს დაუქვემდებარებდა. ერთადერთი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც სოციალური დახმარების საკითხს არეგულირებდა, არის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოციალური ქარტიის 31-ე მუხლზე – საცხოვრებლის უფლება, დათქმა აქვს გაკეთებული.²⁷⁴ შესაბამისად, ის არ იღებს აღნიშნული დებულებით განსაზღვრული ვალდებულების განხორციელების აღიარებას.

მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი – მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების შესახებ“²⁷⁵, რომელიც განისაზღვრა თავშესაფრის მოწყობისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის აუცილებელი საკითხები. თუმცა აღნიშნული რეგლამენტი არ შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს და არც ისეთ საკითხებს ითვალისწინებს, როგორც არის ტრანსგენდერი ან ინტერსექსი ადამიანის განთავსების შემთხვევაში. ამასთანავე, დოკუმენტში მითითებული უსაფრთხოების გარანტიები მინიმალურია და არ არის მიმართული თავშესაფრით მოსარგებლეთა უსაფრთხოების სრულყოფილ დაცვაზე.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოში არ არსებობს უსახლკარო პირთა აღრიცხვის ერთიანი სისტემა და არც უსახლკარობის მიზეზების სიღრმისეული კვლევის ანგარიში მოიქცევა. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით; ანარმობენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას; უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას, თუმცა აღნიშნული კანონით, რეგისტრაციის წარმოების ვალდებულება, მხოლოდ თავშესაფრით მოსარგებლე პირებთან მიმართებით არსებობს.²⁷⁶

ამასთან, პრობლემატური თავად უსახლკარო ადამიანის დეფინიციის სისწორეც. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ უსახლკარო პირს განსაზღვრავს, როგორც „მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო“²⁷⁷. აღნიშნული დეფინიცია არ ფარავს უსახლკარო პირების ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც არ აქვთ სახლი, მაგრამ ცხოვრობენ ნაცნობებთან, სპეციალიზებულ დაწესებულებებში, თვითნებურად დაკავებულ ობიექტებში. ამასთან, 2013 წელს „სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებაში შესული საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, სოციალურად დაუცველ პირთა ბაზაში განაცხადი რეგისტრაციისთვის არ მიიღება, თუ მაძიებელი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობაში. აღნიშნული ჩანაწერი ოჯახებს აიძულებს, არჩევანი გააკეთონ სოციალურ შემწეობასა და ფიზიკურ საცხოვრისს შორის, თუმცა აღნიშნულ არჩევანს სახელმწიფო მათ ნაცვლად აკეთებს, არაღიარების პოლიტიკის ინსტიტუციონალიზებით, რომლითაც უსახლკარო პირებს საცხოვრისის ან სოციალური დახმარების გარეშე ტოვებს.

9.3.1. მიუსაფართა კარავში არსებული მდგომარეობის ანალიზი

საქართველოს მთავრობა ბოლო წლების განმავლობაში ითვალისწინებდა ზამთარში არსებულ არსებითად მძიმე შედეგებს უსახლკარო და მიუსაფარი ადამიანებისათვის, რისთვისაც 2012 წლიდან არსებობს კარავი²⁷⁸, რომელიც ხანმოკლე პერიოდზე გათვლილ საცხოვრისს წარმოადგენდა. კარავი 2013 წლიდან თბილისში მოსკოვის გამზირზე მუდმივად არის განთავსებული²⁷⁹. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, კარავები გათვლილია 240 ადამიანზე და 2014 წლის მდგომარეობით, დაკავებული აქვს 180 ადამიანი²⁸⁰. საინტერესოა, რომ

273 ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2010)/5, პარა. 38

274 European Social Charter (revised), 3.V.1996

275 საქართველოს მთავრობის დადგენილება №131, 2014 წლის 7 თებერვალი „ტექნიკური რეგლამენტი - მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2240289>

276 თამაზ მიქელაძე, ნინო სუხიშვილი „არაღიარება, უმოქმედობა და რეპრესია საცხოვრებლის სანაცვლოდ“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), გვ. 56

277 საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მუხლი 4 (ე)

278 CM/Rec(2010)/5 იმპლემენტაციის მონიტორინგი, WISG, 2012, გვ. 83

279 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის განკარგულება N416 „2013-2014 წლების ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით გასატარებელ გადადებულ ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1946 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

280 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2014 წელი, გვ.772

ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

კარვით ლგბტი თემის 2 წევრმა ისარგებლა²⁸¹, სხვა პირთა შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა შესაძლებელია, მათი რაოდენობა მეტი იყოს.

ლგბტი პირთა კარვებში განთავსების სირთულე ორგანიზაცია „იდენტობის“ პრაქტიკაშიც გამოვლინდა: „2015 წლის ზამთარში არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ დაუკავშირდა ორი ახალგაზრდა გეი მამაკაცი, რომლებიც ზამთარში უსახლკაროდ დარჩენილნი მეტროში ატარებდნენ მთელ ღღეს, რათა არ გაყინულიყვნენ. „იდენტობის“ წევრებმა ისინი მოსკოვის გამზირზე გაშლილ უსახლკაროთა კარვებში გადაიყვანეს. იქ მცხოვრებთა აგრესიამ მათი მიღება ძალიან გაართულა“²⁸², თუმცა მიუხედავად შეურაცხყოფის პრაქტიკისა, ერთ-ერთი მათგანი დღემდე ცხოვრობს კარავში, რადგანაც სხვა არჩევანს სახელმწიფო არ უტოვებს. ხშირად ამგვარი ნეგატიური გამოცდილებების თავიდან ასაცილებლად ლგბტი პირები ცდილობენ, საერთოდ არ ისარგებლონ თავშესაფრის სერვისით, რათა არ დაექვემდებარონ განმეორებით ვიქტიმიზაციას.

მნიშვნელოვანია, რომ კარავი გრძელვადიან პერსპექტივაში არ შეიძლება განიხილებოდეს მიუსაფარი პირების განთავსების ადგილად, განსაკუთრებით კარვებში არსებული მძიმე ინფრასტრუქტურული და ჰიგიენური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ მხრივ პოზიტიურად უნდა შეფასდეს ქ. თბილისის მერიის მიერ 2015 წლის დეკემბერში გახსნილი თავშესაფარი ლილოს დასახლებაში, რომელიც 240 ბენეფიციარზეა გათვლილი²⁸³.

9.4. დასკვნა

როგორც ანალიზმა აჩვენა, სოციალურად დაუცველი, უსახლკარო ოჯახების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა ფრაგმენტული და ზოგ შემთხვევაში სრულიად ინდიფერენტულია. სახელმწიფო არ იყენებს ადეკვატურ ზომებს, რათა უსახლკარობის მიზეზები იკვლიოს და მისი პოლიტიკაც სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებს დააფუძნოს.

სახელმწიფო ვერ ხედავს ლგბტი თემის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და უსახლკარობას შორის არსებულ კორელაციას და ამ კორელაციაში ოჯახური ძალადობის როლს, რის შედეგადაც პრევენციული, პროაქტიული მექანიზმების დაგეგმვიდან სრულიად გამორიცხავს აღნიშნულ ჯგუფს და მათ უკიდურესი გარიყულობისა და სიდუხჭირისთვის სწირავს. შესაბამისად, აუცილებელია, სახელმწიფომ კარგად გაიაზროს უსახლკარობის, როგორც სოციალური პრობლემის მიზეზი ლგბტი თემში და მას ადეკვატური, შედეგზე გათვლილი ზომები დაუპირისპიროს.

10. ლტოლვილები და თავშესაფრის ძიების უფლება

10.1. პრობლემის აღწერა

ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვა განსაკუთრებით აქტუალურია ლგბტი პირთა მიმართებით, რადგან მათი წარმომშობი ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და ტრანსფობიური გარემო, რომელიც მხარდაჭერილი და ინსტიტუციონალიზებულია მთავრობების მიერ, პირებს აიძულებს, დატოვონ თავიანთი მოქალაქეობის ქვეყანა და დაცვის შესაძლებლობები სხვა სახელმწიფოებში ეძიონ.

ბოლო პერიოდში საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლგბტი პირთა განცხადებებს თავშესაფრის ძიების თაობაზე. აღნიშნულს ადასტურებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელშიც ხაზი ესმება სოგი-ს საფუძველზე დევნის გამო თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ სპეციფიკური მიდგომების საჭიროებას, თუმცა, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობისა, მრავალ სახელმწიფოში ლგბტი პირებისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურა ხშირად განმეორებით ვიქტიმიზაციას იწვევს, ექვემდებარებიან რა დისკრიმინაციულ მოპყრობას შემფასებელი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან.

საქართველოში აღნიშნული პრობლემის გამოკვეთა რთულია, რადგანაც სოგი-ს საფუძველზე თავშესაფართა მაძიებლები არ დარეგისტრირებულან.

10.2. საერთაშორისო სტანდარტი

თავშესაფრის მოთხოვნის უფლება აღიარებულია მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, მათ შორის - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომლის მიხედვით, „ყველა ადამიანს აქვს უფლება, დევნის საწინააღმდეგოდ სხვა ქვეყნებში ეძიოს და ისარგებლოს

281 ლიზა ადვიშვილი „საქართველოს გე(რ)ები თავშესაფრის ძიებაში“, ჟურნალი „ლიბერალი“, 27 ოქტომბერი 2015, იხ: <http://liberali.ge/articles/view/18933/saqartvelos-gerebi-tavshesafaris-dziebashi>

282 იქვე

283 იხ: <http://netgazeti.ge/news/85420/>

თავშესაფრით²⁸⁴. ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე, ვენაში 1993 წელს, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თავშესაფრის ძიების უფლებას კერძოდ, „ყველას, ნებისმიერი განსხვავების გარეშე, მინიჭებული აქვს დევნისაგან თავშესაფრის ძიებისა და სარგებლობის უფლება სხვა ქვეყანაში, ისევე, როგორც საკუთარ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების უფლება“²⁸⁵.

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის მიხედვით, „ლტოლვილი არის ადამიანი, რომელსაც აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, აღმსარებლობის, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური კუთვნილების გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით“²⁸⁶.

ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) სახელმძღვანელოს მიხედვით, „გარკვეული სოციალური ჯგუფი არის პირთა ერთობლიობა, რომლებსაც, გარდა იმისა, რომ აქვთ დევნის საფრთხე, აქვთ საერთო მახასიათებელი; ან, რომლებსაც საზოგადოება აღიქვამს ჯგუფად. ეს მახასიათებელი ხშირად არის თანდაყოლილი, უცვლელი, ან სხვაგვარად არის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე პირის იდენტობისთვის, სინდისისთვის ან მის მიერ ადამიანის უფლებების განხორციელებისთვის“²⁸⁷. აღნიშნულ სახელმძღვანელოში უმაღლესმა კომისარმა არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ პირთა დევნა სექსუალური ორიენტაციის გამო, სწორედ „გარკვეულ სოციალურ ჯგუფში“ განიხილება²⁸⁸ და მისი დაცვა სხვა საფუძვლებთან თანაბრად ხორციელდება.

10.2.1. დევნის გონივრული შიში

ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის „დევნის გონივრული შიშის“ არსებობა ერთ-ერთი არსებითი ელემენტია. UNHCR საკუთარ 1992 წლის სახელმძღვანელოში მიუთითებს: „როდესაც დისკრიმინაციული ღონისძიებები, თავის მხრივ, არ არის სერიოზული ხასიათის, მაინც შესაძლოა წარმოშვას დევნის გონივრული შიში კონკრეტული ადამიანისათვის, თუ ის წარმოშობს მოლოდინსა და დაუცველობას მისი მომავალი არსებობისთვის“²⁸⁹.

10.2.2. „სიფრთხილის“ მოთხოვნა

ლგბტი თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებები ხშირად უარყოფით პასუხს იღებს იმ საფუძვლით, რომ შეეძლოთ, თავი აერიდებინათ დევნისათვის, თავიანთი სოგი-ს დამალვის შემთხვევაში, რაც გულისხმობს იმას, რომ რეალობაში მათ არ ექნებოდათ შიშის მიზეზი მანამდე, სანამ გამოიჩინდნენ მათ ხილვადობასთან დაკავშირებულ სიფრთხილეს²⁹⁰. ლტოლვილთა „ტესტირების“ მსგავსი პოლიტიკა გააკრიტიკა როგორც ევროკავშირის სასამართლომ, ისე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარმა N9 სახელმძღვანელოში. UNHCR მიუთითებს, რომ არ შეიძლება, სახელმწიფომ უარი უთხრას განმცხადებელს მხოლოდ იმის გამო, რომ მას შეეძლო თავი აერიდებინა წარმოშობის ქვეყანაში დევნის საფრთხისგან, თუ დამალავდა თავის სექსუალურ ორიენტაციას²⁹¹. საკითხი არ მდგომარეობს იმაში, შეძლებდა თუ არა ინდივიდი თავის ქვეყანაში ფარული პირადი ცხოვრებით არსებობას, რადგან თუნდაც ორიენტაციის დამალვა, ვერასოდეს იქნება გარანტია იმისა, რომ ადამიანი არ დაქვემდებარება დევნას, ამ მისი პირადი ცხოვრება არ გამოაშკარავდება ნებისმიერი ხერხით²⁹². გარდა ამისა, ფარული ცხოვრება, არსებითად ქმნის საფრთხეს ინდივიდის მენტალური ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით, თუ ეს განგრძობად და ხანგრძლივ პერიოდში ხორციელდება²⁹³.

284 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებულია გენერალური ასამბლეის 217A. (III) რეზოლუციით, 1948 წლის 10 დეკემბერს, მუხლი 14

285 Vienna Declaration and Program of Action, adopted by the world conference on Human Rights in Vienna on June 25 1993, para.23

286 გაეროს 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მუხლი 1A2

287 UN High Commissioner for Refugees (UNHCR), Guidelines on International Protection No. 2: "Membership of a Particular Social Group" Within the Context of Article 1A(2) of the 1951 Convention and/or its 1967 Protocol Relating to the Status of Refugees, 7 May 2002, HCR/GIP/02/02, para. 11-12. იხილეთ: <http://www.refworld.org/docid/3d36f23f4.html> [accessed 2 November 2015]

288 იქვე, პარა. 6

289 UN High Commissioner for Refugees, Handbook on Procedures and Criteria for Determining Refugee Status under the 1951 Convention and the 1967 Protocol relating to the Status of Refugees, 1 January 1992, para. 55, <http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b3314.html>

290 International Lesbian, Gay, Bisexual, Trans and Intersex Association (ILGA), *Good Practices: Related to LGBTI Asylum Applicants in Europe*, May 2014, pg. 13. available at: <http://www.refworld.org/docid/5433a8124.html>

291 UN High Commissioner for Refugees (UNHCR), *Guidelines on International Protection No. 9: Claims to Refugee Status based on Sexual Orientation and/or Gender Identity within the context of Article 1A(2) of the 1951 Convention and/or its 1967 Protocol relating to the Status of Refugees*, 23 October 2012, HCR/GIP/12/01, პარა. 31

292 იქვე, პარა. 32

293 იქვე, პარა. 33

ღებტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი

10.2.3. სახელმწიფოს ვალდებულებების შეფასება ლტოლვილებთან მიმართებით

მას შემდეგ, რაც პირი დაადასტურებს თავისი წარმოშობის ქვეყანაში მის მიმართ დევნის საფუძვლიან შიშს, მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, თავშესაფარი მისცეს ან გაგზავნოს მესამე სახელმწიფოში, სადაც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება²⁹⁴.

ევროსაბჭოს რეკომენდაციაში მითითებულია, რომ „თავშესაფრის მაძიებლები დაცულნი უნდა იყვნენ ყველა სახის დისკრიმინაციული პოლიტიკისა და პრაქტიკისაგან; კერძოდ, შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ ფიზიკური ძალადობის რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის - თავისუფლებააღკვეთილი თავშესაფრის მაძიებლების მიმართ სექსუალური ძალადობის, სიტყვიერი აგრესიისა და შევიწროების სხვაგვარი ფორმების თავიდან ასაცილებლად. ამასთანავე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავშესაფრის მაძიებლებისათვის მათივე კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“²⁹⁵.

10.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

კანონი ლტოლვილებისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ, რომელმაც ჩაანაცვლა 1998 წლის კანონი „ლტოლვილთა შესახებ“, მხოლოდ 2011 წელს მიიღეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მასში არსებითად განხორციელდა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტის ჰარმონიზება ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“, რომელმაც მოიცვა ლტოლვილთათვის მინიმალური შემწეობის გაცემისა და მათი ინტეგრაციისათვის საჭირო ღონისძიებათა საკითხები²⁹⁶, თუმცა როგორც სტრატეგია, ასევე სამართლებრივი მარეგულირებელი აქტები არ შეიცავს დებულებებს ღებტი პირთა განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ლტოლვილის სტატუსი შესაძლოა, მიენიჭოს პირს, „რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი inter alia გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო და არ შეუძლია, ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში, ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით“²⁹⁷. ღებტი პირებზე რამე სპეციფიკურ ჩანაწერს კანონი არ შეიცავს, თუმცა როგორც ჟენევის კონვენციაში, ასევე საქართველოს შემთხვევაში ღებტი პირები შესაძლოა იგულისხმებოდნენ „გარკვეული სოციალური ჯგუფის“ ჩანაწერის ქვეშ.

აღნიშნული კანონის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა სამინისტრო წარმოადგენს მთავარ ადმინისტრაციულ მექანიზმს, რომელიც ახდენს თავშესაფრის მაძიებლების განაცხადების რეგისტრაციას და შემდგომ ანკეტირებას. ის ასევე წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა სტატისტიკის წარმოების პირველად წყაროს.

ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურას „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, არეგულირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N100, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების პროცედურას. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით, პირზე, თავშესაფრის მაძიებლად დარეგისტრირების შემდგომ, გაიცემა დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, რომელიც კანონის მე-18 მუხლში მითითებული უფლებებისა და მოვალეობების პრერეკვიზიტია.

თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივი და სოციალური გარანტიები

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონი ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს, ლტოლვილი და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სამართლებრივი გარანტიებით აღჭურვოს, მათ შორის არის გადაადგილების, განათლებისა და სამედიცინო სერვისების მიღების უფლება²⁹⁸.

10.3.1. არსებული პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტატისტიკური ინფორმაციით, 2012 წლიდან დღემდე თავშესაფრის მოთხოვნით სამინისტროს მიმართა 4221-მა პირმა, აქედან, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 131-ს, ხოლო ჰუმანიტარული სტატუსი - 996 პირს. წარმოშობის ქვეყანაში სოც-ს საფუძველზე დევნის გამო სამინისტროსთვის არც ერთ პირს არ მიუმართავს.²⁹⁹

294 CM/Rec (2010)5, para. 43

295 იქვე, პარა. 44

296 იხილეთ: http://www.migration.commission.ge/files/msap_2013-2015.pdf

297 მუხლი 2

298 იქვე, მუხლი 18.

299 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საპასუხო წერილი N04/07/29043, 11/11/15

საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც თავშესაფარი მოთხოვნებს სხვა ქვეყანაში

საქართველოდან სოგი-ს საფუძველზე დევნის გამო სხვა ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნის რაოდენობის შესახებ როგორც სტატისტიკური, ისე ანალიტიკური ინფორმაცია არ მოიპოვება³⁰⁰.

10.4. დასკვნა

თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი აქტები საქართველოში ძირითადად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. თუმცა, რადგანაც EMC-ის ინფორმაციით სოგი-ს საფუძველზე დევნის გამო სხვა ქვეყნის მოქალაქეებს არ მოუმართავთ საქართველოსთვის თავშესაფრის მოთხოვნით, სამართლებრივი რეგულაციების პრაქტიკული იმპლემენტაციის სიღრმისეული შეფასება შეუძლებელია.

300 იქვე; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალური წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც მოთხოვნებს სხვა ქვეყანაში თავშესაფარი საქართველოში სოგი-ს საფუძველზე დევნის გამო, საკმაოდ დიდია. თუმცა ამ ინფორმაციის გადამოწმება ვერ ხერხდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები

1. გენდერის სამართლებრივი აღიარება

1.1. გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი ტრანსგენდერი ადამიანებისთვის

1.1.1. პრობლემის აღწერა

ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი მსოფლიოში გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს. მრავალ ქვეყანაში ტრანსგენდერი ადამიანები ვერ იღებენ მათთვის სასურველი გენდერის შესაბამის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს. შედეგად, ისინი ექვემდებარებიან უფლებათა მრავალმხრივ შემლუღებს, მათ შორის, არსებული მარგინალიზაცია და უკიდურესი მონყვალადობა მათ უმუშევრობის და უსახლკარობის რისკგულად აღქმას.

სახელმწიფოებში არსებული რეგულაციები გენდერის შეცვლის პრევენციის ხშირად გაუმართლებელ და უსამართლო მოთხოვნებს ადგენენ, მათ შორის, განქორწინება, შეუქცევად სტერილიზაცია, სქესის კლავინიჭების იძულებითი ოპერაცია და სხვა სამედიცინო პროცედურები, რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ცალსახა დარღვევას წარმოადგენს³⁰¹.

ორგანიზაცია „ტრანსგენდერ ევროპას“ (TGEU) შეფასებით, სქესის კლავინიჭების ოპერაციებისა და სტერილიზაციის მოთხოვნები ეწინააღმდეგება ადამიანის ხელუღბრივი მთლიანობის უფლებას³⁰². მრავალი ტრანსგენდერი ადამიანი თანხმდება ოპერაციის შედეგად გამონეულ რისკებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დოკუმენტები ადეკვატურად ასახავდეს მათ გენდერულ თვითაღქმას. უფრო მეტიც, აღნიშნული მოთხოვნები სქესის ცვლილებას და გენდერული თვითგამოხატვის შესაძლებლობას გამოორიყხავენ იმ ტრანსგენდერ პირებთან მიმართებით, რომელთაც არ შეუძლიათ ისარგებლონ ქირურგიული ოპერაციით ან კორმონალური მკურნალობით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო.³⁰³

1.1.2. საერთაშორისო სტანდარტი

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2048 (2015) სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ განავითარონ სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები პირად საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სახელისა და სქესის შეცვლის ხელშეწყობის მიზნით³⁰⁴. ამასთანავე, რეზოლუცია ითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ გააუქმონ ნებისმიერი საკანონმდებლო მოთხოვნა სტერილიზაციასა და სავალდებულო სამკურნალო პროცედურებზე, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზის არსებობაზე, როგორც პირის გენდერის სამართლებრივი აღიარების წინაპირობა³⁰⁵.

იძულებითი და სხვა მხრივ არასასურველი სტერილიზაციის დაუშვებლობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს გაეროს ინსტიტუციების გაერთიანებული სპეციალური მიმართავს ეხება, რომელშიც მითითებულია, რომ „ნებისმიერი არასასურველი ან იძულებითი სტერილიზაცია არღვევს ეთიკურ პრინციპებს, მათ შორის ავტონომიის პატივისცემის, ფიზიკური მთლიანობის, სარგებლიანობისა და ზიანის არ მიყენების პრინციპებს.“³⁰⁶

ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხს ასევე ეხება ევროპული სასამართლო, რომელიც ტრანსგენდერ ადამიანთა უფლებებთან მიმართებით პრე და პოსტოპერაციულ ეტაპებს გამოყოფს. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პრეოპერაციულ მდგომარეობაში მყოფ ტრანსგენდერ ადამიანებთან მიმართებით სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე პოსტოპერაციულ მდგომარეობაში მყოფი ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში³⁰⁷.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად, მე-12 მუხლის დარღვევა დაადგინა ევროსასამართლომ საქმეზე *Christine Goodwin v. the United Kingdom*³⁰⁸. მოსარჩელე პოსტოპერაციული ტრანსსქესუალი იყო, რომელიც დისკრიმინაციულ მოპყრობას აწყდებოდა სამუშაო

301 UN Human rights council, A/HRC/29/23, report of the UN high commissioner of human rights, პარა. 69; 70.

302 Transgender Europe (TGEU) Transgender Policy, April 2009. nb: http://www.tgeu.org/sites/default/files/TGEU_policy_transgender_withRecommendations_final.pdf

303 იქვე

304 პარა. 6.2.1. nb: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=21736&lang=en>

305 პარა. 6.2.2.

306 Eliminating forced, coercive and otherwise involuntary sterilization: an interagency statement, OHCHR, UN Women, UNAIDS, UNDP, UNFPA, UNICEF and WHO. nb: http://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/201405_sterilization_en.pdf

307 თუმცა ერთ-ერთ ადრეულ საქმეში *Rees v. the United Kingdom*, ევროსასამართლომ პოსტოპერაციულ ტრანსგენდერი ადამიანისთვის გენდერის არაღიარების პრაქტიკა კონვენციის დარღვევად არ ცნო. ECHR, Judgment of 17 October 1986

308 *Christine Goodwin v. the United Kingdom* [GC], no. 28957/95, ECHR 2002-VI

ადგილზე, საპენსიო ასაკსა და გარკვეულ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით. ამასთან, მიუხედავად სოციალური დაცვის დეპარტამენტისათვის მიმართვისა, მას არ შეუცვალეს დაზღვევის ნომერი, რომელიც მომავალი დამსაქმებლებისათვის მის ოპერაციამდელ პირად მონაცემებზე წვდომას ხდოდა შესაძლებელს. სქესის შეცვლის ოპერაციის შემდეგ დოკუმენტის ნომრის შეცვლად მისი გამო, განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლისა და მასთან კავშირში მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი) დარღვევა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ ასევე საქმეზე *L. v. Lithuania*³⁰⁹, სადაც ევროსამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ ბოლო გადაწყვეტილებაში საქმეზე *Y.Y. v. Turkey*³¹⁰ განიხილეს, რამდენად შეესაბამებოდა თურქეთის სამოქალაქო კოდექსის მე-40 მუხლი ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც სქესის სამართლებრივი შეცვლის წინაპირობად სტერილიზაციასა და რეპროდუქციული ფუნქციის მუდმივ დაკარგვას ანებსდა. სასამართლომ გამოიკვლია, რომ მოსარჩელის ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის სქესის შეცვლისათვის ქირურგიულ ჩარევას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და დაადგინა, რომ ასეთი წინაპირობის დაწესება არღვევდა ევროპული კონვენციით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

1.1.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც გენდერის სამართლებრივი აღიარება სამედიცინო პროცედურებთან არის დაკავშირებული. რეალობაში არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს დეტალურად არეგულირებს და ქმნის ადეკვატურ სამართლებრივ შესაძლებლობებს იმ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ, შეცვალონ სქესის შესახებ ჩანაწერი თავიანთ საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში.

1.1.3.1. სახელის ან/და გვარის ცვლილების პირობები

საქართველოში სახელისა და გვარის ცვლილების საკითხი რეგულირდება „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონითა და „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის N18 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის 47-ე მუხლით განსაზღვრულია სახელის ან/და გვარის შეცვლისათვის წარსადგენი საბუთების წესსა, რომელშიც რამე სპეციფიკური მოთხოვნა არ ფიქსირდება.

პრაქტიკაშიც, ტრანსგენდერ ადამიანებს არ ექმნებათ სირთულეები სახელის ან/და გვარის ცვლილებისას, მათ ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნის გარეშე შეუძლიათ, შეიცვალონ სახელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში³¹¹.

1.1.3.2. სქესის ცვლილების პირობები

საქართველოს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 78-ე მუხლი განსაზღვრავს გარემოებათა ჩამონათვალს, რაც შესაძლოა გახდეს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების საფუძველი. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად მითითებულია „სქესის შეცვლა – თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის შეცვლა“. ამასთან კანონით არ არის დეფინირებული ის საკითხი, თუ ამ მუხლის მიზნებისათვის რა მიიჩნევა „სქესის შეცვლა“. დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, სქესის ლეგალურად შეცვლისათვის აუცილებელია სქესის კვლავინიჭების სრული პროცედურის გაგვა, ქირურგიული ჩათვლით³¹².

EMC-იმ საქართველოს სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართა იმ საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მიღების მოთხოვნით, რომლებშიც არის შესაძლებელი სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა. მიღებული პასუხის თანახმად, სქესის შეცვლასთან დაკავშირებით დოკუმენტების წარდგენის საკითხსა და კონკრეტული სამოქალაქო აქტების ჩამონათვალს, სადაც შესაძლებელია სქესის შეცვლასთან დაკავშირებით ცვლილების შეტანა, სახელმწიფოს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებს³¹³.

გემოაღნიშნული ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში რთულია იმის ანალიზი, თუ პრაქტიკაში, რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება პირად დოკუმენტებში სქესის შეცვლა³¹⁴. ცხადი რეგულაციების არარსებობა ასევე ართულებს მისი შინაარსის კონსტიტუციურობაზე მსჯელობას.

309 L. v. Lithuania, no. 27527/03, ECHR 2007-IV

310 Y.Y. v. Turkey, no. 14793/08, ECHR 2015

311 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)/5 მონიტორინგის ანგარიში, WISG, 2012

312 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 693

313 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საპასუხო წერილი N01/240295, 05.10.2015

314 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სამინისტრომ პირდაპირი პასუხი არ გასცა ორგანიზაციის კერძოდ, თუ რა დოკუმენტები/წნობა უნდა წარმოადგინოს პირმა, რათა შეძლოს სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა. ამასთან EMC-იმ ამავე წერილით გამოითხოვა ინფორმაცია 2012 წლიდან დღემდე სქესის შეცვლის მოთხოვნით სააგენტოში შესულ განცხადებათა რაოდენობის შესახებ, პასუხის თანახმად, პირის განცხადება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირდება არა 78-ე მუხლის ცალკეული პუნქტებით განსაზღვრული გარემოებების მითითებით, არამედ საერთო საფუძველით (შესწორება, ცვლილება, დამატება). შესაბამისად, მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ცალკე საფუძველად - „სქესის შეცვლა“ არ ფიქსირდება და მისი დამუშავებაც არ არის შესაძლებელი. (საპასუხო წერილი N01/240295, 05.10.2015)

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 18 მაისს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესის შემუშავება და დამტკიცება³¹⁵.

ამასთანავე, CEDAW კომიტეტი რეკომენდაციებში შემოთავაზებს გამოთქვამს სახელმწიფოში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების პროცესში არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით და მოუწოდებს სახელმწიფოს, მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნული შეზღუდვების გასაუქმებლად³¹⁶.

1.2. ბავშვის სქესის რეგისტრაცია და გენდერის სამართლებრივი აღიარება ინტერსექსი ადამიანებისთვის

გაეროს საინფორმაციო ცხრილის მიხედვით, მთლიან პოპულაციაში 0.05% და 1.7% იბადება ინტერსექსის სხვადასხვა ვარიაციით³¹⁷. ევროპის მასშტაბით, სქესის მითითება სავალდებულოა დაბადების ოფიციალური რეგისტრაციისთვის, რომელიც ახდენს მის ლიმიტირებას „კაცისა“ და „ქალის“ დიქტომიით. აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნება სქესის, ალქმას პიროვნების იდენტობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად და, შესაბამისად, მათ კლასიფიცირებას ორ ნორმატიულ მოცემულობებს შორის. ქვეყანათა უმრავლესობაში, როდესაც ბავშვის სქესი დარეგისტრირდება, მისი შეცვლა არსებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, ზოგიერთ სახელმწიფოში კი სრულიად შეუძლებელია.

სამართლებრივი თუ სამედიცინო ნორმები ინტერსექსი ბავშვის დაბადებისას მშობლებისთვისაც და ბავშვებისთვისაც რთულ ვითარებას ქმნის. ზოგიერთ სახელმწიფოში ნებადართულია ბავშვის სქესის დარეგისტრირების დროებითი გადადება იმ შემთხვევაში, თუკი სქესი არ არის დაუყოვნებლივ იდენტიფიცირებადი. მაგალითად, ბელგიაში ინტერსექსი ბავშვის დაბადების შემთხვევაში სქესი რეგისტრირდება დაბადების პირველი კვირიდან სამ თვემდე ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგალითად, ინტერსექსი ბავშვის დაბადებისას) საფრანგეთში ეს ვადა სამი წელია, თუმცა, მიუხედავად ამ დროისა, მშობლები მაინც არჩევენ ბავშვს სქესი/გენდერი, რაც შეიძლება, მალე განუსაზღვრონ. გამონაკლისს წარმოადგენენ ფინეთი და პორტუგალია, სადაც ბავშვის სქესის რეგისტრაციისათვის არანაირი ვადა არაა დაწესებული³¹⁸.

ინტერსექსი პირების გენიტალიები შესაძლოა არ იყოს კლასიფიცირებადი „კაცად“ და „ქალად“, შესაბამისად, ასეთი ადამიანები ადვილად იდენტიფიცირდებიან ინტერსექს ადამიანებად, დაბადებისთანავე. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი იდენტიფიცირების შესაძლებლობა მხოლოდ მომნიშვნის ასაკში ან კიდევ უფრო გვიან ხდება შესაძლებელი (მაგ. მენსტრუაციის არქონა ან ისეთი სქესობრივი განვითარება, რომელიც თავდაპირველ სქესს არ შეესაბამება), თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში სქესის/გენდერის გრაფა დაბადების მოწმობაში შეუვსებელი რჩება სქესობრივი განვითარების დარღვევის დიაგნოზის დასმამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ სქესის მიკუთვნების უფლებამოსილება გადაეცემა ექიმებს და შემდეგ აღსრულდება კანონით. უფლებადამცველები შიშობენ, რომ გენდერის გრაფის შევსების თავისუფლებამ შესაძლოა, გამოიწვიოს იმ ბავშვების „ხელოვნური გამოაშკარავება“ და იმ ადამიანების სტიგმატიზაციის გაზრდა, რომელთა სქესიც არ არის განსაზღვრული³¹⁹.

რაც შეეხება ზრდასრული ადამიანებისათვის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა თუ პასპორტებში სქესის/გენდერის გრაფის რეგულირებას, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოთა ნაწილმა აღნიშნულ დოკუმენტებში აირჩია სქესის არა-ბინარული კლასიფიკაციის მოდელი, რომელიც „ქალისა“ და „კაცის“ გარდა ითვალისწინებს „X“ ან „სხვა“ კატეგორიას (ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მალაიზია, ნეპალი)³²⁰.

შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, შეცვალონ მათი კანონმდებლობა და შექმნან მოქნილი პროცედურა ინტერსექსი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში იმ ინფორმაციის აკუმულირებისთვის, რომელიც მათ სქესის/გენდერს შეესაბამება³²¹.

315 იხილეთ: <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-justiciis-ministrs-samoqalaqo-aqtebshi-transgendertatvis-sqesis-chanaweris-cvilibastan-dakavshirebit.page>
316 CEDAW/C/GEO/CO/4-5, concluding observations on the combined fourth and fifth periodic report of Georgia, პარა. 34(ე), 35(ე)
317 United Nation for LGBT Equality, “Free & Equal”, Fact Sheet on intersex people. იხ: https://www.unfe.org/system/unfe-65-Intersex_Factsheet_ENGLISH.pdf
318 Human rights and intersex people, Issue paper published by the Council of Europe Commissioner for Human Rights, April 2015, page 37
319 იქვე, გვ.38
320 იქვე, გვ. 40; თუმცა, არა-ბინარული სამართლებრივი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შემდგომი რეგულაცია არსებითად მნიშვნელოვანია, რადგანაც აღნიშნულ თემაზე მომუშავე ორგანიზაციათა განცხადებით, ნებისმიერი აღიარება „მ/ქ-ის“ დიქტომიის მიღმა საჭიროებს ადეკვატურ დაგეგმვას და მის განხორციელებას ადამიანის უფლებათა ჭრილში, რადგანაც ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების მოთავსება „შესამე სქესის“ კატეგორიაში, ხშირად გენდერული ბინარულობის გამყარების ინსტრუმენტი ხდება, მისი შესუსტების ნაცვლად. იხ: Open Society Foundations (2014), License to be yourself: laws and advocacy for legal gender recognition of trans people, pg.23 (as cited in Human rights and intersex people, Issue paper published by the Council of Europe Commissioner for Human Rights, April 2015, pg. 40).
321 United Nation for LGBT Equality, „Free & Equal”, Fact Sheet on intersex people. იხ: https://www.unfe.org/system/unfe-65-Intersex_Factsheet_ENGLISH.pdf

1.2.1. დაბადების რეგისტრაციის რეგულირება საქართველოში

საქართველოში ბავშვის დაბადებისა და დოკუმენტთა გაცემის წესებს არეგულირებს „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება³²², რომლის მიხედვით, ბავშვის დაბადების რეგისტრაციის საფუძველია ბავშვის/პირის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნდა დაერთოს შესაბამისი საბუთები³²³.

ბრძანების მიხედვით, დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა-ფორმა N103/ს-84 არის სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც დაბადების რეგისტრაციის მიზნებისთვის წარმოადგენს პირის დაბადების დამადასტურებელ დოკუმენტს³²⁴. ცნობას, ელექტრონული შეტყობინების სახით, სამედიცინო დაწესებულება ბავშვის დაბადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სააგენტოს, რომელიც აღნიშნული ელექტრონული შეტყობინების საფუძველზე, ახორციელებს ბავშვის დაბადების რეგისტრაციას³²⁵.

ბრძანებაზე თანდართული ფორმა N103/ს-84 შეიცავს შესავსებად აუცილებელ პუნქტს, სადაც უნდა დაფიქსირდეს დაბადებული ბავშვის სქესი, თუმცა თავად ფორმის შევსების პროცედურული წესი არ არეგულირებს სქესის შესახებ ჩანაწერის შევსების საგამონაკლისო შემთხვევებს, უფრო მეტიც, თავად წესი არაფერს ამბობს სქესის შესახებ პუნქტის შევსებასთან დაკავშირებით. ეს კი აიდენტიფიცირებს სამედიცინო დაწესებულების მხრიდან სქესისა და გენდერის შესახებ ბინარულ მიდგომას, რომელიც არც კი უშვებს ნორმატიულ გენდერთა მიღმა არსებულ სქესთა სხვა ვარიაციების თუნდაც ჰიპოთეტურ არსებობას.

საქართველოს ჯანდაცვის დაწესებულებებში არსებულ პრაქტიკაზე ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა სავარაუდოა, რომ ინტერსექსი ბავშვები და მშობლები ხვდებიან მასტიგმატიზებელ გარემოში, რომელიც გამოწვეულია არა მხოლოდ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული და ძალადობრივი სტერეოტიპებით, არამედ არასრულყოფილი და ხშირად არასწორი ინფორმაციით, რომელსაც ასევე შევსებულმა შეჰყავს ბავშვის მშობლები.

1.3. დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნულმა ანალიზმა გვიჩვენა, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანებისათვის სქესის/გენდერის შესახებ ჩანაწერის სამართლებრივი ცვლილება და ასახვა არსებითად პრობლემურია და ადგენს იმგვარ რეკვიზიტებს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად არღვევს ადამიანის თვითგამორკვევის, სხეულებრივი ინტეგრაციისა და ჯანმრთელობის უფლებებს. ბიუროკრატიულ სისტემათა გაუმართავი მუშაობა და გართულებული პროცედურები ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანებისათვის დამატებითი სტრესის წყაროა. აუცილებელია, სახელმწიფომ დაგეგმოს ადეკვატური ნაბიჯების განხორციელება აღნიშნული სისტემური ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რათა ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანებს მიეცეთ მინიჭებული უფლებებით ადეკვატურად სარგებლობის შესაძლებლობა.

2. გეი/მსმ და ტრანსგენდერ სექსუუმაკთა უფლებრივი მდგომარეობა

2.1. პრობლემის აღწერა

საქართველოში გეი/მსმ და ტრანსგენდერი სექსუუმაკები ყველაზე მონყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. სისგენდერი ქალი სექსუუმაკებისგან განსხვავებით, ტრანსგენდერი ადამიანები მეტად ხილვადები არიან, ამიტომ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა მეტად ინტენსიურ ხასიათს ატარებს. პომოფობიური და ტრანსფობიური გარემო, რომელმაც არსებულ პატრიარქალურ კულტურაში საზოგადოებრივი სისტემის ყველა სივრცეში შეაღწია, არ უტოვებს მათ შესაძლებლობას, თავი სხვა ადამიანების თანაბრად განავითარონ და ისარგებლონ იმ სარგებლითა და შესაძლებლობებით, რასაც მას სახელმწიფო სთავაზობს. შესაბამისად, ამგვარი უთანასწორობა შესაძლებლობებში და სასტარტო მონაცემებს შორის დისბალანსი, რომელიც დასაქმებაზე, ადეკვატურ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის არარსებობაში გამოიხატება და ხშირად სოციალურ სიდუხჭირესა და უსახლკარობაში ტრანსფორმირდება, მათ უბიძგებს, არსებობის შესანარჩუნებლად საკუთარი სხეულის კომერციალიზაციას მიმართონ.

მრავალ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი წესრიგი, პოლიტიკა, დისკრიმინაცია და მასტიგმატიზებელი სოციალური დამოკიდებულებები სექსუუმაკებს ფარულ სივრცეებში გადასაცვლებისკენ უბიძგებს, რის შედეგადაც ისინი აივ ინფექციის პრევენციის, მკურნალობისა

322 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №18 „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“, 2012 წლის 31 იანვარი, თავი II, დაბადების რეგისტრაცია.

323 იქვე, მუხლი 16.

324 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ერთობლივი ბრძანება №01-5/5-№19 „დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობების რეკვიზიტების, ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

325 იქვე, მუხლი 2.3.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები

და მხარდაჭერის პროგრამების მიღმა რჩებიან. მაშინაც კი, თუ ჯანმრთელობის სერვისები ხელმისაწვდომია სექსუალური აქტივობისთვის, მათ აკლიათ სენსიტიურობა და შორს არიან ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებისგან³²⁶.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ძირითადად, ფოკუსირდება პროსტიტუციის დასაცავად და აღმოფხვრავს, რის შედეგადაც სრულიად უგულებელყოფენ კომერციულ სექსზე საზოგადოებაში არსებული მოთხოვნის სიღრმისეულ მიზეზებს. რეალობაში სექსსამუშაოზე მოთხოვნა შესაძლოა განაპირობოს სოციალურ-კულტურულმა ნორმებმა თუ ინდივიდუალურმა გარემოებებმა - სოციალურმა იზოლაციამ და ასევე ზიანის შემცველმა გენდერულმა როლებმა, მათ შორის დომინანტობის სურვილმა, რომლის მანიფესტაცია სექსუალური აქტივობის მიმართ ძალადობასა და ექსპლუატაციაში იჩენს თავს³²⁷. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოთა აივ-შიდსისა და სკგი-ს პრევენციამე მიმართული პროგრამები ფოკუსირდეს არა მხოლოდ სექსუალური აქტივობების, არამედ იმ ფაქტორებზეც, რომელიც იწვევს სექს-სამუშაოს არსებობას კონკრეტულ სოციუმებში.

2.2. საერთაშორისო სტანდარტი

საერთაშორისო კონვენსუსი სექსსამუშაოს იდეოლოგიურ მნიშვნელობასა და მის როგორც სამუშაოდ განხილვაზე არ არსებობს, თუმცა გაეროს ინსტიტუტები თანხმდებიან, რომ სექსსამუშაო, თავისი არსით, ბევრ საზოგადოებაში არსებითად სტიგმატიზებულია, განსაკუთრებით მამაკაცი და ტრანსგენდერი სექსუალური აქტივობები, რომლებიც ინტერსექციურ ჩავრვას განიცდიან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გაერო მიუთითებს, რომ სექსუალური აქტივობის მქონე პირებს, საზოგადოებაში ჩართულობის უფლება უნდა ჰქონდეთ, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური მარგინალიზაციის გარეშე. ჯანდაცვის მომსახურების, სოციალური სერვისების, სამართალდამცავი და სასამართლო სისტემების თანამშრომლებში უნდა გაიზარდოს მგრძობიანობა და ინფორმირებულობა³²⁸.

სახელმწიფოების მიერ მონყვლადი ჯგუფების არალიზების პრაქტიკა, მსმ ურთიერთობების, სექსსამუშაოს კრიმინალიზება უარყოფითად აისახება მათ მიერ სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობაზე. ამ მიზნით, გაეროს ინსტიტუტები - UNDP, UNFPA, UNAIDS რეკომენდაციას უწევენ სახელმწიფოებს, რომ „გააძლიერონ მუშაობა სექსსამუშაოს დეკრიმინალიზაციის მიმართულებით და აღმოფხვრან იმ ნორმათა და რეგულირებათა უსამართლო გამოყენების პრაქტიკა, რომელიც არ ახდენს სექსსამუშაოს კრიმინალიზებას“³²⁹.

არაერთი უნდა ჩაერთოს სექსსამუშაოში დაუცველობის, სიდუხჭირის ან/და იძულების გამო³³⁰. გაერო მხარს უჭერს გენდერულად სენსიტიურ პროგრამებს, რომელიც მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრასა და მარგინალიზებულ ჯგუფების ინტერესებზე ცენტრირებული დასაქმების პოლიტიკის გატარებაზე³³¹. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია, რომ ყველა სრულწლოვან სექსუალურ აქტივს უფლება, თავად გადაწყვიტოს, განაგრძოს თუ შეწყვიტოს სექსუალური აქტივობა³³². პოლიტიკა და პროგრამები უფრო იმაზე უნდა ფოკუსირდეს, რომ სექსუალური აქტივობის მიანოდს განათლება, რათა თავად შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება³³³. ასეთი პროგრამები ასევე უნდა მიიმატოს იმ უთანასწორობასა და ბარიერებზე, რასაც სექსუალური აქტივობები; გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბევრი ახალგაზრდა სექსსამუშაოში სწორედ იმიტომ ერთვება, ფინანსურად უზრუნველყოს ოჯახი და ხანდახან ოჯახის ერთადერთი ფინანსური წყაროც კი ხდება.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი მიუთითებს, რომ: „განვითარების სტრატეგიები უნდა აძლიერებდეს მოქალაქეების განსაკუთრებით მარგინალიზებულ და მონყვლად ჯგუფებს, რათა მოახდინონ მათი მოლოდინის არტიკულირება სახელმწიფოსთან და ვალდებულებებით აღჭურვილი სხვა ინსტიტუციების წინაშე და ადეკვატური ცვლილებები მათი განვითარების გეგმებში“³³⁴.

საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty international-მა შეიმუშავა გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, პატივი სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ სექსუალური აქტივობების უფლებების დაცვა³³⁵.

326 UNAIDS Guidance Note on HIV and Sex Work, March 2009, pg. 5, ob: http://www.unaids.org/sites/default/files/en/media/unaids/contentassets/documents/unaidspublication/2009/JC2306_UNAIDS-guidance-note-HIV-sex-work_en.pdf

327 იქვე

328 იქვე, გვ. 16

329 John Godwin, Sex Work And The Law In Asia And The Pacific, UNDP 2012, გვ. 7, ob: <http://www.undp.org/content/dam/undp/library/hiv/aids/English/HIV-2012-SexWorkAndLaw.pdf>

330 UNAIDS Guidance Note on HIV and Sex Work, March 2009, გვ.21-22, ob: http://www.unaids.org/sites/default/files/en/media/unaids/contentassets/documents/unaidspublication/2009/JC2306_UNAIDS-guidance-note-HIV-sex-work_en.pdf

331 იქვე

332 იქვე, გვ.17

333 IPPF, UNFPA, Young Positives, Global Coalition on Women and AIDS (2007) Change, Choice and Power Young Women, Livelihoods and HIV Prevention. (as cited in UNAIDS Guidance Note on HIV and Sex Work, March 2009, გვ.17)

334 Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, frequently asked questions on a human rights-based approach to development cooperation. New York and Geneva: United Nations, 2006. გვ.26. ob: <http://www.ohchr.org/Documents/Publications/FAQen.pdf>

335 Amnesty international DECISION ON STATE OBLIGATIONS TO RESPECT, PROTECT, AND FULFIL THE HUMAN RIGHTS OF SEX WORKERS, ob: <https://www.amnesty.org/en/policy-on-state-obligations-to-respect-protect-and-fulfil-the-human-rights-of-sex-workers/>

2.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს პროსტიტუციის³³⁶ კრიმინალიზებას, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³ მუხლი პროსტიტუციის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას უქვემდებარებს და მიუთითებს, რომ მისი განხორციელება გამოიწვევს ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას, 15 დღის ვადით. ჯარიმად განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების ნახევარი მინიმალური ოდენობა, რაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით 20 ლარს შეადგენს³³⁷.

დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიცია ხშირად მიმართავს სპეციალურ საპოლიციო ღონისძიებებს, რომლის დროსაც სექსუალურად ადგილის დატოვებას აიძულებს და აღნიშნულის საფუძველად პროსტიტუციისა და სხვა შესაძლო სამართალდარღვევების პრევენციას ასახელებს³³⁸. საპოლიციო ღონისძიების დროს პოლიციის თანამშრომლები ხშირად თვითნებურად იყენებენ რეპრესიულ ღონისძიებებს და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ისეთ ზომებს, როგორცაა ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან/და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, რომელიც როგორც ადმინისტრაციული³³⁹, ისე სისხლის სამართლის ნორმებით რეგულირდება³⁴⁰.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველს არაერთხელ მიმართეს ტრანსგენდერმა სექსუალურად მიუთითებდნენ პოლიციური კონტროლის დროს პოლიციის მხრიდან შესაძლო ზეწოლის ფაქტებსა და ჰომოფობიურ დამოკიდებულებებზე³⁴¹. „ისინი აღნიშნავდნენ, რომ პოლიციის მოთხოვნა, დატოვონ შუკრების ადგილი, მათთვის გაუგებარია, რადგან წესრიგს არ არღვევენ“³⁴². აღნიშნულთან დაკავშირებით, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ დანაშაულის პრევენციის მიზნით, სისტემატურად ხორციელდება ღონისძიებები თბილისის სარისკო უბნებში, მათ შორის ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუცია არ არის კრიმინალიზებული, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა³⁴³. ექსპერტთა განცხადებით, ამგვარი დანაშაული შესაძლოა ტრეფიკინგის ნიშნებს ატარებდეს, ამიტომ ასეთ პირობებში პოლიციის ქმედებები, რომელიც სარისკო უბნებში პატრულირებით გამოიხატება, ზოგჯერ გამართლებულიცაა, თუმცა პრევენციული მექანიზმების გამოყენებისას საჭიროა მკაცრი ლიმიტაცია და ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა³⁴⁴.

მნიშვნელოვანია, რომ EMC-ის მიერ გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, გამოიკვეთა შესაძლო პირების (კლიენტების, გამვლელების) მხრიდან ძალადობის პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი დახმარებისთვის პატრულს მიმართავენ, მათი თქმით, რეაგირება არაეფექტურია. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოვლენილი ძალადობის აღკვეთაში სამართალდამცველების როლს უპირობოდ ნეგატიურად ახასიათებს. რესპონდენტები აცხადებენ, რომ მათ წინააღმდეგ ჩადენილი არც ერთი დანაშაული არ კვალიფიცირდა, როგორც სიძულვილით მოტივირებული. გარდა ამისა, ტრანსგენდერი სექსუალური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათთვის არ ხდება დაზარალებულის სტატუსის მინიჭება რაც მიუთითებს, სამართალდამცველების დისკრიმინაციულ მიდგომაზე გეი/მსმ და ტრანსგენდერი სექსუალური უმრავლესობის მიმართ.

2.3.1. ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, აივ ინფექცია/შიდსის გავრცელება და პრევენცია

აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების თვალსაზრისით, საქართველო დაბალი პრევალენტობის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება - პრევალენტობის საკარაულო მაჩვენებელი ზრდასრულ მოსახლეობაში 0.07%-ის ტოლია³⁴⁵. თუმცა წლების განმავლობაში რისკგუბუნებში ინფიცირებულთა რაოდენობა არსებითად გაზრდილია, რის გამოც საქართველო მიიჩნევა აივ ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკის

336 ტერმინი „პროსტიტუცია“ სექსუალურად უფლებებზე მომუშავე უფლებადამცველების მოსაზრებით, უარყოფით კონოტაციას შეიცავს და არ უნდა გამოიყენებოდეს. წინამდებარე ანგარიშში აღნიშნული ტერმინის გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კონკრეტულ სამართლებრივ აქტის ენას იყენებს ან ახდენს ნორმის ციტირებას.

337 საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“. აღნიშნულ ბრძანებულებაში ცვლილება შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 დეკემბრის N767 ბრძანებულების საფუძველზე, რომლის მიხედვით, მინიმალური ხელფასთან (შრომის ანაზღაურებასთან) დაკავშირებული სანქციების, ჯარიმებისა და სამართალდარღვევებისათვის გათვალისწინებული სხვა გადასახდებულებისათვის შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა (მინიმალური ხელფასი) განისაზღვრა 40 ლარით. აღნიშნული მინიმალური ხელფასის ნახევარი კი შეადგენს 20 ლარს.

338 აღნიშნულს ადასტურებს EMC-ის მიერ წარმოებული ინდივიდუალური ჩარემაზე დაფუძნებული ინტერვიუები გეი და ტრანსგენდერ სექსუალურად მიმართულთა მიმართ.

339 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 173

340 სსკ, მუხლი 353.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, ჯარიმა განისაზღვრება 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით. ხოლო სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შემთხვევაში, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით, ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

341 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 693-694

342 იქვე

343 სსკ, მუხლი 254

344 ინდივიდუალური ჩარემაზე დაფუძნებული ინტერვიუ გიორგი გოცირიძესთან, საია, 25.09.2015

345 World Health Organizations, HIV/AIDS treatment and care in Georgia, Evaluation report 2014, გვ. 2, იხ: <http://prncdc.ge/sites/default/files/HIV-AIDS-treatment-and-care-in-Georgia.pdf>

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები

სახელმწიფოდ.³⁴⁶ გავრცელების მიხედვით, ებიდემია კონცენტრირებულია მონყვლად ჯგუფებში, კერძოდ, მამაკაცებში, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ), ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებსა (ინმ) და სექსუალურ ქალებში³⁴⁷. 2011-2016 წლების აივ ინფექცია/ შიდსის ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის³⁴⁸ შესაბამისად, საქართველოს მთავრობა აფინანსებს აივ პრევენციის პროგრამებს მაღალი რისკის ჯგუფებისათვის, როგორც არის მსმ, კომერციული სექსუალური ინექციური ნარკომომხმარებლები.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, WHO-ს მონიტორინგის შედეგები საქართველოს აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის ეროვნული სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, გამოყოფს პროგრამის სუსტ მხარეებს, რომელიც მეტწილად რისკ-გუფთა იდენტიფიცირებასა და მკურნალობაზე მიმართულია³⁴⁹. იგი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, გამოიკვლიოს ჯანდაცვის სისტემაში მკურნალობისაგან თავის არიდების სტრუქტურული მიზეზები, რისთვისაც მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემაში ინფორმაციისა და დე სტიგ-მატიზებული განათლების წარმოება³⁵⁰.

2.4. დასკვნა

როგორც ტრანსგენდერი და გვი სექსუალური უფლებრივი მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, ისინი ლგბტი თემის ყველაზე მონყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რადგანაც გარეგანი სახელმწიფოს შიდა სისტემის ყველა ელემენტმა, ოჯახმა, სოციალურმა, სამართლებრივმა სისტემამ. სექსსამუშაო კი ხშირად მათთვის იმ ერთადერთ რესურსად რჩება, რითაც შესაძლებელი ხდება ეკონომიკური გადარჩენა და საკუთარი თავის გამოსახტვა³⁵¹. ეს რეალობა კი მათ მუდმივი და განგრძობითი ჩაგვრის პირობებში ამყოფებს.

სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მესამე პირების მხრიდან მათ მიმართ გამოვლენილ ძალადობაზე დროულ, ეფექტიან და ადეკვატურ რეაგირებას, უფრო მეტიც, ისინი ხშირად თავად მიმართავენ რეპრესიულ საპოლიციო პოლიტიკას, რომელიც სექსუალური მიმართ ძალადობასა და დისკრიმინაციაში გამოიხატება. აღნიშნული, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთლიან სამართალდამცავ სისტემას და წარმოაჩენს მას, როგორც დისკრიმინაციის, პომოფობიისა და ტრანსფობიის ხელშემწყობ წყაროს.

3. ლგბტი პირთა მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

3.1. პრობლემის აღწერა

პომოფობიისა და ტრანსფობიის შედეგები ყველაზე მკვეთრად სასჯელალსრულებით სისტემაში არსებულ იერარქიულ განაწილებასა და სუბკულტურებში ვლინდება. აღნიშნულ სისტემაში ძალადობა სტრუქტურულ ხასიათს ატარებს. ყველა აქტორი დამკვიდრებული ნორმებისა და კულტურის შესაბამისად ჩაგრავს მონყვლად თემს და თავის ძალაუფლებას სწორედ ჩაგვრის პრაქტიკის მუდმივ წარმოებაზე აფუძნებს.

პატიმართა სეგრეგაციის პრაქტიკა საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში, რომელსაც მთავრობა ინდივიდუალურ უსაფრთხოების დაცვის ინტერესით ხსნის, წარმოშობს მარგინალიზაციის ახალ კერებს, საიდანაც გამოსვლისა და რესოციალიზაციის შესაძლებლობები ილუზორულია და ხშირად, შეუძლებელიც. სეგრეგაციის პრაქტიკა, რომელიც რეალობაში უსაფრთხოებას უნდა უზრუნველყოფდეს, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში შრდის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის (მათ შორის, სექსობრივი) რისკს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს პატიმართა თვითდესტრუქციული ქცევები, მათ შორის სუიციდი. აღნიშნულს კი ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ ლგბტი თემის მძიმე უფლებრივი მდგომარეობის არაღიარება, რაც სეგრეგირებულ, დისკრიმინირებულ პატიმრებს უფლებათა დაცვის ეფექტიანი საშუალებების გამოყენებისა და უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობის მიღმა ტოვებს.

აღნიშნულ სისტემურ უთანასწორობასთან ბრძოლა ეფექტიანი, კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას მოითხოვს, რომელიც მულტიდისციპლინური ხედვით გამოააშკარავებს ჩაგვრისა და დისკრიმინაციის სისტემურ მიზეზებს და დასახავს სამომავლო ღონისძიებებს.

346 იქვე

347 აივ პოლიტიკის მოკლე მომხილვა, NO. 1|30 ივნისი 2014, იხ: http://www.geoyouth.ge/upload/files/GHPP_Policy_brief_Georgian_July_2014.pdf ;

348 GEORGIA National HIV/AIDS Strategic Plan for 2011-2016, August 2010, იხ: http://ecuo.org/media/filer_public/2013/01/11/2010geohiv-aidsnsp2011-1016october202c2010.pdf

349 World Health Organizations, HIV/AIDS treatment and care in Georgia, Evaluation report 2014, იხ: <http://prncdc.ge/sites/default/files/HIV-AIDS-treatment-and-care-in-Georgia.pdf>

350 იქვე, გვ.11

351 „აი, როცა მე ვიყავი კომერციულ ბიზნესში ჩართული, ეგერ რომ ვთქვით, მე ვიყავი კომფორტულად შინაგანად, ვიზუალურად... კი მენოლა იყო, ძალადობა, სულ დაგლეჯილი [ვიყავი], აი, ამაზე რომ დავჯუტოთ თვალი, ვიყავი კომფორტულად, [...] ესლა სადაც ვმუშაობ, იქ ვარ არაკომფორტულად... მე არ მაყვია ქსლები, არ მაყვია კაბა, მე არ ვარ ჩაკრასკული[...]მასკულიზობა უნდა გამოვიყენო, როცა მე ვაბმე არ მიყვია და ვაბმე არ მინდა, მარა იქიდან გამომდინარე, რომ მე ვიარსებო, ვარჩინო ჩემი ოჯახი და ვიყო მეტ-ნაკლებად კარგად, მე კომფორტის ზონიდან გადავივიარე დისკომფორტის ზონაში“. (ტრანსგენდერი ქალი) ფოკუს-ჯგუფი ტრანსგენდერ ადამიანებთან, 17.07.2015

3.2. საერთაშორისო სტანდარტი

თავისუფლებააღკვეთილ პირთა ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის გარანტიებს, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის დებულებებს არაერთი საერთაშორისო აქტი შეიცავს³⁵², მათ შორის - საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის მიხედვით, „ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ღირსებას“³⁵³. პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით, არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ სასჯელს“. მსგავს ჩანაწერს შეიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიც, რომლის მიხედვით წამების აკრძალვა წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რომლის დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იოგაკარტას პრინციპები ასევე შეიცავს თავისუფლებააღკვეთილ ლგბტ პირთა ღირსების დაცვის პრინციპს და მოუწოდებს სახელმწიფოებს, თავი აარიდონ პატიმართა დამატებით მარგინალიზაციას მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე³⁵⁴.

გაეროს დოკუმენტის მიხედვით, ლგბტი პატიმართა კლასიფიკაცია და განთავსება უნდა ემსახურობდეს ისეთ გარემოში ყოფნას, რომელიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, შესაბამისად, ლგბტ პატიმრები საკნებსა და საცხოვრებელ სადგომში იმ ინდივიდებთან ერთად არ უნდა განთავსდნენ, რომელთაც შესაძლოა მათი უსაფრთხოება რისკის ქვეშ დააყენონ³⁵⁵. შესაბამისად, სახელმწიფოს პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ე.წ. „პროტექციული სერგეგაციის“ შესაძლებლობას, როგორც ადმინისტრაციის მიერ ინდივიდუალურად რისკების შეფასებისას, ისე პატიმრის მოთხოვნის შემთხვევაშიც³⁵⁶.

ამ მხრივ, საინტერესოა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც საერთაშორისო ინსტრუმენტების მსგავსად, პროტექციულ სერგეგაციას ლგბტი პატიმართა დაცვის ლეგიტიმურ საფუძველად მიიჩნევს. მაგალითად, ევროსასამართლომ საქმეზე *Stasi v. France*³⁵⁷ არ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან მიუთითა, რომ ციხის ადმინისტრაციამ ყველა შესაძლო ზომა გამოიყენა, რათა დაეცვათ პატიმარი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ძალადობისაგან. განსხვავებული იყო ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *X v. Turkey*, რომელიც თავისი არსით კრიტიკული მნიშვნელობისაა, რადგან სასამართლომ პირველად დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთად, რომელიც კავშირში იყო პირის სექსუალურ ორიენტაციასთან. საქმის მიხედვით, განმცხადებელი 23 წლის გვი პატიმარია, რომელმაც მოთხოვა საკნის შეცვლა, რადგანაც სექსუალური ორიენტაციის გამო, პეტეროსექსუალი თანამესაკნეების მხრიდან შევიწროებასა და დაშინებას ექვემდებარებოდა. მიუხედავად განმცხადებლის თხოვნისა, განეთავსებინათ იმ საკანში, სადაც ასევე გვი პატიმრები იხდიდნენ სასჯელს, ის განათავსეს ერთადგილიან სამართლო საკანში, არსებითად მძიმე პირობებში. ევროპული სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გარკვეული საფუძველები, რომლებიც საჭიროებდა დაცვის ზომების მიღებას, ის არ იყო საკმარისი, რათა გაემართლებინა განმცხადებლის სრული ექსკლუზია ციხის თემისგან. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგანაც განმცხადებლის სამართლო საკანში განთავსებამ მისი ფიზიკური და მენტალური ტანჯვა გამოიწვია და შელახა მისი ღირსება. რაც შეეხება კონვენციის მე-14 მუხლს, სასამართლომ მითითებით, მოაასხე მხარემ ვერ დაარწმუნა იმაში, რომ განმცხადებლის სრული იზოლაცია მხოლოდ მისი უსაფრთხოების დაცვას ემსახურებოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ სწორედ სექსუალური ორიენტაცია გახდა პატიმრის ექსკლუზიის მთავარი საფუძველი.

3.2.1. ტრანსგენდერი და ინტერსექსი პატიმრების განთავსების საკითხები

გადაწყვეტილება ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანთა საპატიმრო დანესულებებში კლასიფიკაცია/განთავსების შესახებ უნდა მიიღებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევის გათვალისწინებით³⁵⁸. პატიმართა ალოკაცია ბიოლოგიური სქესის მიხედვით, ზრდის მათი ფიზიკური ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხეთა რისკს³⁵⁹ და მათ უკიდურესი მონყველობისთვის სწირავს.

უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ამომწურავი, კატეგორიული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება პატიმართა განთავსების შესახებ, რადგანაც ინტერსექსის სტატუსი, ისევე როგორც ტრანსგენდერობა, მოიცავს ვარიაციასა და ფიზიკურ მახასიათებელთა ფართო

352 გაეროს გენერალური ასამბლეა „პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები“, პუნქტი 6 (1); 9 (2); ასევე, ევროპული ციხის წესები, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2, მუხლი 18, პუნქტი 6-7.

353 მუხლი 10.1.

354 The Yogyakarta principles, N9.

355 United Nations Office On Drugs And Crime (Unodc) Handbook On Prisoners With Special Needs, Criminal Justice Handbook Series, 2009. Pg. 115, nb: https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf

356 იქვე, გვ. 116

357 ECHR Judgment on *Stasi v. France* (application no. 25001/07), nb: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-107134>

358 Transgender Prisoners, Identity, and Detention: Policy Recommendations Human Rights Watch March 1, 2006, გვ.5, nb: http://outcast-films.com/films/cu/transgender_prisoners.pdf

359 United Nations Office On Drugs And Crime (Unodc) Handbook On Prisoners With Special Needs, Criminal Justice Handbook Series, 2009. Pg. 115-116, nb: https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები

სპექტრს, რომელიც ვერ დაეკვემდებარება ერთ კონკრეტულ უნივერსალურ პროცედურულ წესს, შესაბამისად, ალოკაციის გადანაცვლებასა და აუცილებლად უნდა მოხდეს პატიმრის სურვილის გათვალისწინება³⁶⁰.

3.3. ეროვნული სამართლებრივი გარემო

საქართველოში პატიმართა უფლება-მოვალეობებსა და მათდამი მოპყრობის წესებს არეგულირებს პატიმრობის კოდექსი, რომელშიც მითითებულია, რომ „საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით“³⁶¹. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე მათი სამართლებრივი, სოციალური და პირადი უსაფრთხოების დაცვას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას³⁶².

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ნაშეხისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს პატიმართა უსაფრთხოებისა და ნაშეხისაგან დაცვის მიმართულებით (პ. 1.7.). შესაბამისად, მოხდება შემდგომი ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური ზომების მიღება, მონაცემთა და მონაცემების საჭიროებებზე რეაგირება (პ. 1.7.2.), თუმცა აღნიშნული ღონისძიების განმახორციელებელ ერთ-ერთ სუბიექტად არ არის მითითებული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ამასთან, მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, არსებული მდგომარეობით არ განხორციელებულა რაიმე სახის ღონისძიება, რომელიც მონაცემთა და მონაცემების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ იქნებოდა მიმართული. ლგბტი ჯგუფთა ხილვადობისათვის, არსებითად მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმაში ცალკე იყოს გამოყოფილი მათი საჭიროებები და ძალადობის რისკი, რითაც სახელმწიფო ხაზს გაუსვამდა მის მზადყოფნას, ცალკე ყურადღება დაეთმოს სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ იმ ადამიანებს, რომლებიც მუდმივ ძალადობასა და დისკრიმინაციას ექვემდებარებიან.

3.3.1. პატიმართა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი

საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით, რომლის მიხედვით აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის³⁶³ მონაცემის დამუშავება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა³⁶⁴.

პირადი მონაცემების აღრიცხვისა და დამუშავების წესს ასევე განსაზღვრავს სპეციალური კანონქვემდებარე აქტები, კერძოდ, „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N82 ბრძანება, რომელიც არეგულირებს დანესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმის წარმოების პროცედურულ წესს, რომელსაც აწარმოებს შესაბამისი დანესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება³⁶⁵. ბრძანების მიხედვით, მსჯავრდებულნი/ბრალდებულის პირადი საქმე შედგება ორი ნაწილისაგან და მისი გაფორმება ხდება დადგენილი ნიმუშის მიხედვით³⁶⁶, უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანება არ აწესებს რაიმე სახის აკრძალვას პერსონალურ ინფორმაციითა გარკვეული კატეგორიების შენახვა დამუშავებაზე, რაც არსებით ბუნდოვანებას სძენს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს დახურულ სისტემებში.

მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელს მიიღეს ახალი კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“, რომლის ერთ-ერთი მთავარ ამოცანას წარმოადგენს პენიტენციური დანესებულების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა, მონაცემების დამუშავება- ანალიზი და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოება³⁶⁷. კანონის მიხედვით, სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფად განისაზღვრა ანალიტიკური დეპარტამენტი³⁶⁸, რომლის დებულება დამტკიცდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N56 ბრძანების შესაბამისად³⁶⁹.

360 იქვე

361 მუხლი 1.2.

362 მუხლი 13.1.

363 მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან, ასევე ბიომეტრიული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება გეომორფოლოგიური ნიშნებით.

364 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 6.

365 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №82, 2011 წლის 10 მაისი, „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 5; 6.

366 იქვე, მუხლი 12.3.

367 მუხლი 5 (ვ)(ბ), იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2835511>

368 იქვე, მუხლი 2.1.

369 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის ბრძანება №56 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“. იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2885613>

ექსპერტთა განცხადებით, მითითებულ დოკუმენტს პერსონალური მონაცემების წარმოებისა და დაცვის საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანება შემოაქვს, რადგანაც ის ანალიტიკურ დეპარტამენტს აძლევს ძალიან ფართო უფლებამოსილებას, დაამუშაოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია. ამასთან, არ კონკრეტდება რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი³⁷⁰.

3.3.2. დამამცირებელი მოპყრობისა და სეგრეგაციის პრაქტიკების ანალიზი

საპატიმრო დაწესებულებებში სექსუალური ორიენტაციის ნიშნით პატიმართა სეგრეგაციის პრაქტიკას EMC-ის მიერ გამოკითხული ექსპერტები ადასტურებენ³⁷¹. სეგრეგაციის მთავარი საფუძველი პირის ნამდვილი თუ ნავარაუდები სექსუალური ორიენტაციაა, რომელიც მას აიძულებს, განთავსდეს ციხეში არსებული არაფორმალური იერარქიის უკიდურესად დაბალ საფეხურზე. პენიტენციურ სისტემაში ჯერ კიდევ არსებობს იერარქია, რომელიც ციხეში არსებულ ინდივიდებს შორის ძალაუფლების გადანაწილების საფუძველია. აღნიშნულ იერარქიაში ყველაზე დაბალ, უფლებო სეგმენტად გეი, ბისექსუალი და მსმ ადამიანები არიან, რომელთაც დამამცირებელი ტერმინით, „ქათმებად“ მოიხსენიებენ.

აღნიშნულ კატეგორიაში მოხვედრის საფუძველად გარდა პირის ნამდვილი ან ნავარაუდები სექსუალური ორიენტაციისა, ასევე შესაძლოა გახდეს დანაშაულის ტიპი, რომლისთვისაც იხდის სასჯელს. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის XII თავით გათვალისწინებული -სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაული. ასევე, თუ პირის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობის იძულებითი ან სიმბოლური აქტი (ე.წ. „გაფუჭება“)³⁷².

ორგანიზაცია „იდენტობა“ მიერ წარმოებული კვლევის მიხედვით, რომელშიც სულ 28 რესპონდენტი მონაწილეობდა, მათ შორის - 17 პატიმარი და 11 ყოფილი პატიმარი, მითითებულია, რომ ციხეებში არსებობს ე.წ. დაუნერვლი კანონები, რომელთა მიხედვით, ე.წ. „ქათმები“ და „კაი ბიჭები“ არ შეიძლება ერთ საკანში ცხოვრობდნენ, ერთად მიიღონ საკვები, გამოიყენონ ერთი ჭურჭელი, ერთმანეთს ხელი ჩამოართვან³⁷³. კვლევის მიხედვით, ე.წ. „საქათმეში“ მყოფი პატიმრების უმეტესობა პატიმრების დაყოფას უსამართლოდ მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავენ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების მართვა სხვაგვარად შეუძლებელია³⁷⁴.

აღნიშნულ პროცესში ადმინისტრაცია იჩენს უმოქმედობას. ხშირად ისინი პატიმრების მიერ დადგენილ სუბკულტურულ ნორმებს იზიარებენ და გამოხატავენ ისეთივე დამოკიდებულებას³⁷⁵, როგორსაც სხვა პატიმრები. შესაბამისად, ექსპერტები ადმინისტრაციის გაძლიერების საჭიროებას უსჯამენ ხაზს. მათი მოსაზრებით, მხოლოდ ადმინისტრაციას შეუძლია ეტაპობრივად შეცვალოს არსებული მდგომარეობა.

3.4. დასკვნა

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებული ინსტიტუციური კულტურა, რომელიც ამყარებს და აძლიერებს იერარქიულ სუბკულტურებს არსებითად ნეგატიურად აისახება გბტი პატიმრებზე, კერძოდ, შესაძლოა გამოიხატებოდეს თვითდესტრუქციულ ქცევებსა და სუიციდის მცდელობებში, აღნიშნული მნიშვნელოვანი ხდება იმ პირობებში, როდესაც უსაფრთხოების ზომები და პატიმართა მიმართ სუიციდის პრევენციის პროგრამები არაეფექტიანია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საპატიმრო დაწესებულებებში მთავარი გამოწვევა არის არა თავად პროტექციული სეგრეგაცია და პატიმრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მისი განცალკევება მოძალადისგან, არამედ დისკრიმინაციული სეგრეგაცია. შედეგად, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში გბტ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მათი ღირსების შელახვისა და პერმანენტული მარცხინალიზაციის ხარჯზე ხორციელდება, რაც მათ ჰუმანურ და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში სასჯელის მოხდის ყოველგვარ შესაძლებლობას უკარგავს, უფრო მეტიც, პერსონალურ მონაცემთა დაუცველობის პირობებში, სასჯელის მოხდის შემდგომ რესოციალიზაციაც შეუძლებელი ხდება.

მოცემულ პირობებში, აუცილებელია, სახელმწიფომ გაიაზროს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხი და მათი სენსიტიურობის, ცოდნისა და დამოკიდებულებების ტრანსფორმაციის მნიშვნელობა, რაც კარგად დაგეგმილ და სიღრმისეულ მუშაობას საჭიროებს.

370 მუხლი 10, 1,ა

371 ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუ ნინო ბოლქვაძესთან, ორგანიზაცია „იდენტობა“, 24.09/2015; ინტერვიუ ანტონ ქელბაქიანთან, ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, 14.10.2015; ინტერვიუ ნიკა კვარაცხელიასთან „პრევენციის ეროვნული მექანიზმი“, 12.08.2015

372 ანტონ ქელბაქიანი „კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ სისტემაში“.

373 ნინო ბოლქვაძე, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსმ პატიმრების საჭიროებების კვლევა აივ-ის პრევენციისთან მიმართებით, ჟურნალი „17 მაისი“, გვ. 159

374 იქვე, გვ. 167

375 „[მიზეზები შეიძლება იყოს] პირველი - თვითონაც მიანიჭა, რომ ამათთან კონტაქტი არ შეიძლება და მეორე ვარიანტი - იმის შიში აქვს, რომ სხვა პატიმრები ამას რომ დანიშნავენ, ამასთან აღარ გამოვლენ მეურ კონტაქტზე და ამის სერიოზული აღქმა აღარ მოხდება და ემინია, [...] შემდგომში სხვასთან ურთიერთობა არ გაუფუჭდეთ, რომ მეურ მართვამი არ შეშალოთ ხელი“. ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუ ტატო ქელბაქიანთან, ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, 12.08.2015

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან (მათ შორის, ინტრსექსთან) დაკავშირებული საკითხები ცალკე თავად გახდეს ეროვნულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში, სადაც გაიწერება ეფექტიანი და სრულყოფილი ღონისძიებები, ლგბტი პირების მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციისა და უთანასწორო მოპყრობის აღმოსაფხვრელად;
- უზრუნველყოს სიძულვილის ენისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის რეგულირება, მათ შორის, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში და შესაბამისი ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმებისა და პასუხისმგებლობის სისტემის შემოღება.
- შეიმუშავოს და განახორციელოს თანმიმდევრული და ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული სამთავრობო პოლიტიკა;

საქართველოს პარლამენტს

- განხორციელდეს ადეკვატური ცვლილებები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში სახალხო დამცველის, როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმის გაძლიერებისა და სასამართლოს გზით მორალური ზიანის ანაზღაურების ეფექტიანი ინსტრუმენტების დანერგვის გზით. ამ მიზნით კი სახალხო დამცველს შეინიჭოს სასამართლოს გზით დისკრიმინაციის ჩამდენი პირის სანქციების კომპეტენცია, დისკრიმინაციის საქმეებზე გაიზარდოს სასამართლოსადმი მიმართვის ხანდაზმულობის ვადა, რათა შესაძლებელი გახდეს სახალხო დამცველისა და სასამართლოს, როგორც ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების თანადროული გამოყენება, დისკრიმინაციის საქმეებზე განისაზღვროს კერძო პირების ვალდებულება სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე;
- განხორციელდეს ადეკვატური ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში დისკრიმინაციასა და სამუშაო ადგილზე შევიწროების ნათლად რეგულირებისთვის;
- შეიმუშავოს ეთიკის კოდექსი და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები პარლამენტის წევრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას

- გადაიდასა სისტემური და ქმედითი ნაბიჯები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად. მათ შორის, სოგი-ს ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე უზრუნველყოს ეფექტიანი, დამოუკიდებელი და დროული გამოძიების ჩატარება;
- შემუშავდეს სპეციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ასახავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და გამოძიების მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
- უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სათანადო კვალიფიკაცია და ქმედებაში დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირება;
- შეიქმნას სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც სეპარაციულად იმუშავებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე და აღჭურვილი იქნება შესაბამისი ცოდნითა და სენსიტიურობით აღჭურვილი კომპეტენტური კადრით;
- შემუშავდეს/გაიმართოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სრულყოფილი სტატისტიკის წარმოების ბაზა და მეთოდოლოგია;
- უზრუნველყოს სექსმუშაკი პირების უსაფრთხოების დაცვა და აღმოფხვრას არსებული რეპრესიული და დისკრიმინაციული საპოლიციო პრაქტიკები;
- სახელმწიფომ მიიღოს ქმედითი ზომები ლგბტი პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირების, პრევენციისა და აღკვეთის მიზნით;
- მოხდეს ოჯახში ძალადობის საქმეებზე სოგი-ს მოტივის გამოკვება და მისი ადეკვატური ასახვა სტატისტიკურ მონაცემებში;
- მიიღოს ეფექტიანი ზომები ლგბტი პირებისა და აქტივისტების შეკრების თავისუფლების დასაცავად და ამ მიზნით იქონიოს ინტენსიური კომუნიკაცია ლგბტი ორგანიზაციებთან;
- უზრუნველყოს 2012 და 2013 წლის 17 მაისს ლგბტ თემის წევრებისა და აქტივისტების შეკრებების დროს და მასთან კავშირში გამოვლენილი ძალადობის ფაქტების ეფექტიანი და დროული გამოძიება.

მთავარ პროკურატურას

- უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის სრულყოფილი სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება და მისი გასაჯაროება;

- შექმნას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის სპეციალიზირებული სამსახური/დეპარტამენტი;
- უზრუნველყოს პროკურატურის თანამშრომლების სისტემური და თანმიდევრული გადამზადება სოგი-ს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე;
- უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, მათ შორის, 2012 და 2013 წლის 17 მაისს ლგბტ თემის წევრებისა და აქტივისტების შეკრებების დროს და მასთან კავშირში გამოვლენილი ძალადობის ფაქტების ეფექტიანი და დროული გამოძიება;

საქართველოს განათლების სამინისტროს

- შექმნას ერთიანი ანტიბულინგის პოლიტიკა, სტრატეგიის დოკუმენტები და სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია;
- საჯარო სკოლებში ბულინგის, დისკრიმინაციის ფაქტების გამოსავლენად გამოიყენოს ეფექტური და პროაქტიული მონიტორინგის მექანიზმები;
- უზრუნველყოს ჰომოფობიური და ტრანსფობიური ბულინგის მსხვერპლი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის მხარდაჭერ სერვისებზე წვდომა;
- განხორციელდეს პედაგოგთა სისტემური ტრენინგი გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საკითხებზე;
- განხორციელდეს სასწავლო მასალის სისტემური და სრულყოფილი რევიზია, გენდერული სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციული ჩანაწერების იდენტიფიცირების მიზნით;
- დაიხვეწოს პედაგოგთა პასუხისმგებლობის მექანიზმები;
- განხორციელდეს სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასა და სქესობრივ მახასიათებლებზე ინფორმაციის რელევანტურად ასახვა სასწავლო მასალებში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

- განათლების სამინისტროსთან ერთად იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა გადაიხედოს სამედიცინო განათლების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავს დისკრიმინაციულ და ჰომო/ტრანსფობიურ განსაზღვრებებს;
- განხორციელდეს სამედიცინო ტრანზიციის პროცესის რეგულირების უზრუნველყოფა იმგვარად, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს ხელი მიუწვდებოდეთ სრულყოფილ, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე;
- გადაიხედოს ქმედითი ნაბიჯები ტრანსგენდერი ადამიანებისათვის ტრანზიციის პროცესის საზოგადოებრივი ჯანდაცვით დაფარვასთან მიმართებით;
- იუსტიციის სამინისტროსთან ერთად კოორდინირებული მუშაობით, დამკვიდრდეს ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომლის მიხედვით ტრანსგენდერ ადამიანებს აღარ მოუწევთ გენდერის სამართლებრივი აღიარების მიზნით დაექვემდებარონ სამედიცინო/ქირურგიულ ჩარევებს;
- გადაიხედოს ინტერსექსი ადამიანების საკითხებთან დაკავშირებული სწავლების მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები, რათა ჯგუფის ნებისმიერი სახის სტიგმატიზაცია იქნას აღმოფხვრილი;
- გამოიკვლიონ და გააანალიზონ ინტერსექსი ადამიანების მკურნალობის პრაქტიკა სამედიცინო დაწესებულებების მიერ;
- საკანონმდებლო დონეზე მოხდეს სექსუალური ორიენტაციის მიმართებით არსებული „კონვერსიული თერაპიის“ პრაქტიკებზე აკრძალვის დაწესება;
- სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ნაწილში მოხდეს ლგბტი პირთა საჭიროებების გამოკვეთა და დაიგეგმოს ამ საჭიროებების საპასუხო ქმედითი მექანიზმები;
- უზრუნველყოფილ იქნას სოგი-ს საფუძველზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრებით სარგებლობის სწრაფი და ეფექტური მექანიზმები, რომელიც გაითვალისწინებს ლგბტი პირთა საჭიროებებს;
- დაიგეგმოს ქმედითი ნაბიჯები უსახლკარობის მიზეზების კვლევისა და რისკგუფთა იდენტიფიცირებისთვის, რომელიც აუცილებლად მოახდენს ლგბტი ჯგუფის მასში ინკლუზიას;
- სხვა უწყებებთან (მათ შორის, მუნიციპალიტეტებთან) თანამშრომლობის გზით მიღებულ იქნას დროული, ეფექტური და სრულყოფილი მექანიზმები უსახლკარო პირების ადეკვატური საცხოვრისით სარგებლობასთან მიმართებით;
- შეიქმნას თავშესაფრები, რომელიც გაითვალისწინებს თითოეული ჯგუფის საჭიროებებს, განსაკუთრებით ლგბ, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანებისათვის.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

- მოხდეს პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ ადამიანთა სისტემური გადამზადება სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და სქესობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით;
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები საპატიმრო დაწესებულებებში მოთავსებული ადამიანების პერსონალური ინფორმაციის სრულყოფილად დაცვისთვის;
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული იერარქიებისა და კრიმინალური სუბკულტურის აღმოფხვრის მიზნით; ;
- უზრუნველყოფილ იქნას პენიტენციურ დაწესებულებებში ლგბტი პირთა უსაფრთხოების დაცვა და გამორიცხოს მათი გაუმართლებელი სეგრეგაცია.

დაგეგმვითი საკითხები

1. საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციათა ანგარიშები და რეკომენდაციები

1.1. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოს შესახებ

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2016 წელს გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ, რომელიც ასახავს 2015 წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ქვეყანაში.

ანგარიში შეიცავს დამოუკიდებელ თავს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობრივი, დისკრიმინაციული და სხვა დამამცირებელი მოპყრობის პრაქტიკის შესახებ, რომელიც დადებითად აფასებს კანონმდებლობაში შესულ პოზიტიურ ცვლილებებს, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსში სიძულვილის მოტივის – დამამძიმებელ გარემოებად ფორმულირებას, თუმცა ხაზს უსვამს აღნიშნულ ნორმათა იმპლემენტაციის სიმწირეს³⁷⁶, რომელიც უკავშირდება როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური ნების ნაკლებობას, ებრძოლოს მსგავსი სახის დანაშაულს, ასევე პოლიციელთა გადაშაადებისა და ტრენინგების არასაკმარისობას.

ანგარიშიში მიმოხილულია ლგბტი პირთა მიმართ სოციალური არსებული ცრურწმენები, რის გამოც თემის წევრებს უწევთ ორიენტაციის დამალვა, შევიწროების პრაქტიკისა და ძალადობისგან თავის დაცვის მიზნით. აღნიშნულ საკითხს სახელმწიფო ასევე უკავშირებს დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოცდილებების შესახებ პოლიციისადმი მიმართვის დაბალ მაჩვენებელსა და უნდობლობას, რაც, თავის მხრივ, გამომწვეულია პოლიციის მიერ ლგბტი ინდივიდთა პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებისა და პოლიციელთა ჰომოფობიურ რეაქციათა შიშით.³⁷⁷

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ასევე ფოკუსირებულია ტრანსგენდერი ქალის - საბი ბერიანის მკვლელობის საქმეზე თბილისის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბრალდებულის ქმედება „აუცილებელ მოვრეობად“ შეფასდა.³⁷⁸ ანგარიში მიუთითებს აქტივისტების წუხილზე, რომ ლგბტი პირთა მიმართ დანაშაულებზე როგორც სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, ისე ბრალდებულისთვის დაკისრებული მსუბუქი სასჯელი უარყოფითად აისახება თავად ლგბტი თემზე. სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების არარსებობა თუნდაც „ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის ყველაზე აშკარა შემთხვევაზე“ ლგბტი თემს უკარგავს მოტივაციას, მომავალში განაცხადონ/მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს, სახალხო დამცველსა და NGO-ებს მათ მიმართ განხორციელებული დანაშაულების შესახებ³⁷⁹.

1.2. ECRI-ის ანგარიში საქართველოს შესახებ

ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ 2016 წლის პირველ მარტს გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ. კომისია ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოში ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის სისტემურ ხარვეზებზე. ანგარიშიში აღნიშნულია, რომ ძალადობა ლგბტი პირთა მიმართ არსებითად მასშტაბური გახდა და გამოიხატა როგორც საჯარო და კერძო სივრცეებში მომხდარ თავდასხმებში, ასევე შეკრების თავისუფლების შეზღუდვასა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წინააღმდეგ ქმედებებში. კომისია მიუთითებს, რომ საქართველოს საზოგადოებაში არსებული ჰომო/ტრანსფობიური კლიმატიდან გამომდინარე, თემის წევრები, რომელთა მიმართაც აღინიშნა ძალადობა, ხშირად არ მიმართავენ სამართალდამცავ სტრუქტურებს. ამის მიზეზად ასევე გვევლინება: დაზარალებულთა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გაცხადების საშიშროება, მხარდაჭერის ნაკლებობა, რეპრესია და, ხშირ შემთხვევაში, პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება.³⁸⁰

ECRI სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ სახელმწიფოს პასუხს არაადეკვატურად აფასებს. ანგარიში მიუთითებს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილის უფუნქციობაზე და აღნიშნავს, რომ არც ერთი საქმე არ დაკვალიფიცირებულა აღნიშნული მუხლით, აშკარა მოტივის მიუხედავად.³⁸¹ მისი შეფასებით, ჯგუფურ თავდასხმებს ლგბტი პირებზე არ მოსდევს საჭირო რეაგირება სამართალდამცველი ორგანიზაციის მხრიდან, სამართალდამრღვევთა დასასჯელად და შესაძლო ინციდენტთა პრევენციისათვის.³⁸² შესაბამისად, კომისია სახელმწიფოს მოუწოდებს

376 Georgia_Country Reports on Human Rights Practices for 2015 United States Department of State, Bureau of Democracy, Human Rights and Labor, გვ. 45, იხ: <http://www.state.gov/documents/organization/253061.pdf>

377 იქვე

378 იქვე, გვ. 46

379 იქვე

380 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 53, იხ: <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf>

381 იქვე, პარა. 63

382 იქვე, პარა. 73

დამატებითი საკითხები

დებს სიღრმისეული მონიტორინგისკენ, თუ რამდენად ახდენს პოლიცია შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოძიებასა და იდენტიფიცირებას; დამატებითი რეკომენდაციის სახით კი, ურჩევს ამ მოტივების განხილვას სასამართლო პროცესის საწყისი ეტაპიდან.³⁸³

კომისია მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსში სიძულვილის მოტივის, როგორც დამამძიმებელი გარემოების შესახებ საზოგადოების ცნობადობის გაზრდის მიმართულებით აქტივობების ნაკლებობაზე და რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ინფორმირება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სისხლისსამართლებრივად დასჯადობის შესახებ და ნაახალისოს მსხვერპლი, რათა საჩივარი შეიტანოს მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით. კომისია განსაკუთრებით გამოყოფს საგანმანათლებლო სივრცეებს და სახელმწიფოს მოუწოდებს, განახორციელოს ცნობიერების ამაღლების პროგრამები, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის დასაძლევად.³⁸⁴

ECRI ხაზს უსვამს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის გამართული ტრენინგების არასაკმარისობას და რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, რომ გაძლიერდეს და გაღრმავდეს სატრენინგო აქტივობები მოსამართლეთა კორპუსისა და სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე. კომისიის მითითებით, ტრენინგის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მისი გავლენის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში – შეცვლა.³⁸⁵

სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ინსტიტუციური ბრძოლის გასაძლიერებლად ECRI ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შექმნას სპეციალიზებული უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში, რომელიც სპეციფიკურად ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებზე იმუშავებს. აღნიშნული უწყების შექმნის პროცესში კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რელევანტური ექსპერტების ჩართვა სახალხო დამცველის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.³⁸⁶

კომისია კრიტიკულად აფასებს 2013 წლის 17 მაისის (IDAHOT) მოვლენებს და აღნიშნავს, რომ, მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან ძალადობრივი ქმედებების დაგმობის მიუხედავად, მათი განცხადებები არ შეეხებოდა ტოლერანტობისა და პატივისცემის შესახებ მოწოდებას ლგბტ პირთა მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მომხდარ ძალადობაში ფიგურირებდა ლგბტ ორგანიზაციათა და დანაშაულების დისკურსი, რომელიც მათ პროვოკატორებად მოიხსენიებდა.³⁸⁷

მსგავს სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებსა და რიტორიკას კომისია არსებითად პრობლემურ სფეროდ წარმოაჩენს და აღნიშნავს, რომ სიძულვილის ენის მასშტაბი ლგბტ პირების მიმართ ფართოა და მოიცავს როგორც შეურაცხყოფას, ისე პოლიტიკოსების, ჟურნალისტების ან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გამოხატულ სიძულვილის შემცველ კომენტარებს.³⁸⁸

ECRI ხაზს უსვამს ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის დასაძლევად სახელმწიფოს მიერ გატარებულ არასაკმარის ქმედებებს და რეკომენდაციას უწევს, რომ პარლამენტის რეგლამენტმა მოიცავს ჰომო/ტრანსფობიური შეურაცხყოფის აკრძალვის შესახებ ნორმა და აღჭურვოს ის კონკრეტული ზომებით ან/და სანქციებით, რომელიც ამოქმედდება ნორმის დარღვევის შემთხვევაში. ECRI ასევე მიუთითებს, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მტკიცე პოზიცია უნდა დაიკავოს ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის წინააღმდეგ.³⁸⁹

1.3. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)

საქართველოს მთავრობამ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის 31-ე სესიის ფარგლებში წარადგინა დასკვნითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს იმ რეკომენდაციების მიღებაზე პასუხს, რაზეც მანამდე სახელმწიფომ პასუხის გასაცემად დრო ითხოვა.³⁹⁰ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) სამუშაო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული 2016 წლის 23 თებერვლის ანგარიშის³⁹¹ თანახმად, საქართველომ ყველა მნიშვნელოვანი რეკომენდაცია მიიღო. მათ შორის, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენებისა და არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაძლიერების მიმართულებით საქართველომ თანხმობა გასცა შედეგით ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციის³⁹² მიღებაზე, რომელიც დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში ცვლილებების გატარებასა და ამ მიზნით, დისკრიმინაციის ფაქტებზე სახალხო დამცველისთვის დაჯარიმებისა და სხვა სანქციების გამოყენების კომპეტენციის მინიჭების აუცილებლობაზე მიუთითებს (118.2).

383 იქვე, პარა. 62

384 იქვე, პარა. 70

385 იქვე, პარა. 67

386 იქვე, პარა. 68

387 იქვე, პარა. 72

388 იქვე, პარა. 35

389 იქვე, პარა. 46

390 იხ: <https://emc.org.ge/2015/12/04/upr-srhr/>

391 იხ: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/GESession23.aspx>

392 იხ: პარა. 118.2

აღნიშნული რეკომენდაციის გამიარებით, საქართველომ, ერთი მხრივ, აღიარა ანტიდისკრიმინაციული კანონით განსაზღვრული მექანიზმის არაეფექტიანობა და მისი უსტი ალსრულებითი ფუნქციები, ამასთან, სახელმწიფომ ზეპირ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების გაძლიერების შესახებ საკითხი აისახება ადამიანის უფლებათა 2016-2017 წლების სამთავრობო გეგმაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ თანხმობა გასცა ისეთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციების მიღებაზე, რომელიც არსებითად შეუწყობს ხელს ლგბტ პირთა უფლებების დაცვასა და ძალადობისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნას. კერძოდ, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, შეასრულოს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლისა და მათი ეფექტიანი მონიტორინგის, გამოძიების მიზნით სპეციალური სტრატეგიის მიღებასა და შესრულებას; ასევე მოიცავდა სახალხო დამცველისთვის შესაბამისი ძალაუფლებისა და რესურსების გადაცემას, ამ კუთხით მისი საქმიანობის გაძლიერებისთვის (118.32).

ასევე, სახელმწიფო დაეთანხმა ლგბტ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაორმაგებასა და ამ მიზნით, პომსესქუალობის, ბისესქუალობისა და ტრანსსესქუალობის სოციალური სტიგმატიზაციის, სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის, სესქუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის შესახებ ურუგვას მთელი რეკომენდაციის მიღებას (118.9).

სახელმწიფომ დათქმა გააკეთა შვედეთის მიერ გაცემული ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციის მიღებაზე, რომელიც შეეხებოდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და გამოძიებისათვის სპეციალური უწყებების შექმნას სამართალდამცავ ორგანოებში (118.10). სახელმწიფომ აღნიშნულ რეკომენდაციაზე დათქმა დაასაბუთა ქვეყნის მთლიანი მასშტაბის დაფარვის, საქმეთა გადატვირთვისა და ასეთი ტიპის დანაშაულებზე კომპლექსური პასუხის საჭიროებით და აღნიშნა, რომ ერთი ცენტრალიზებული სპეციალიზებული პოლიციის უწყების შექმნა არ იქნება ქმედითი მექანიზმი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანად გამოძიებისთვის. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს სპეციალიზებული პოლიციელების ტრენინგი პოლიციის ყველა რეგიონულ დეპარტამენტში³⁹³.

2. ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების ანალიზი

2.1. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

2016 წლის პირველ ნახევარში იმატა ანტი-ლგბტ დისკურსმა, რომელიც ყველაზე ნათლად საკონსტიტუციო ცვლილებებისა და რეფერენდუმის საკითხის ირგვლივ დისკუსიებში გამოვლინდა. 14 მარტს საქართველოს პარლამენტის ბიურომ დარეგისტრირა კონსტიტუციური კანონის პროექტი, 80 დეპუტატის ხელმოწერით³⁹⁴ – „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის მიზანი „კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის უფრო მკაფიო ფორმულირებაა“, ხოლო 28 მარტს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ წარმოდგენილი საკითხი – „გინდათ თუ არა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაშვებულ იქნას საქართველოში?“³⁹⁵ თუმცა მოგვიანებით, ცესკომ თავისი განკარგულებით სარეფერენდუმო საკითხის დარეგისტრირებაზე უარი განაცხადა, საქართველოს „საარჩევნო კოდექსისა“ და „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო³⁹⁶.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ კონსტიტუციის ნორმის შინაარსი – „ქორწინება, რომელიც არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას“, არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, კონსტიტუციური ნორმა ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიო და ნათელი ფორმულირებით, რაც ნათლად გამოხატავს ნორმის შინაარსს და მოხსნის ამ ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ კითხვებსა და წუხილს საზოგადოების დიდ ნაწილში.³⁹⁷

393 A/HRC/31/15/Add.1, პუნქტი 118.10

394 იხ: <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/biuro/biuros-sxdomebi/parlamentis-biuros-sxdoma14032016.page>

395 იხ: <http://www.cesko.ge/ge/mediisatvis-4-ge/pres-relizebi-13-ge/28-martis-sxdomis-shedegebi28.page>

396 „სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხი უნდა არა მხოლოდ რეფერენდუმის გზით საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ პრინციპზე გადანყვეტილებისმისაღებად ხალხის ამრის გაგებას, არამედ, ამავედროულად, საკითხის მოცემული ფორმულირებით რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, ხალხის მიერ მიღებულ უნდა იქნას გადანყვეტილება, რომ მიღებულ იქნას ამ პრინციპის მატარებელი ახალი კონსტიტუციური კანონიც, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 172-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „რეფერენდუმის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.“ იხილეთ ცესკოს განკარგულება N212/2016: <http://www.cesko.ge/uploads/other/33/33705.pdf>

397 განმარტებით ბარათი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე, იხ: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/119368?>

დამატებითი საკითხები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქორწინების შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის ცვლილების საკითხი საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში რამდენჯერმე დადგა³⁹⁸ და, როგორც წესი, წინასაარჩევნოდ წარმოებული კამპანიის ნაწილი იყო. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლგბტი თემა და ორგანიზაციებს ქორწინების თანასწორობის საკითხი საქართველოს სამართლებრივ და პოლიტიკურ დღის წესრიგში არასდროს დაუყენებიათ.

პარლამენტის ბიუროს 26 აპრილის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყო ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა.³⁹⁹ ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, პარლამენტის 2016 წლის 18 მარტის 4911-III დადგენილებით, საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდა კონსტიტუციური კანონის პროექტი და შეიქმნა საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია, 15 წევრის შემადგენლობით⁴⁰⁰, რომელთაც უზრუნველყვეს განხილვების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში, თუმცა მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ადგილობრივ თემის წევრებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ დისკუსიაში და მკაფიოდ გამოეხატათ თავიანთი აზრი, უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე.

ამასთან, კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვის წამყვანმა კომიტეტმა (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა), მხარი დაუჭირა კონსტიტუციური ცვლილების პროექტს და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისთვის მომზადებულად ცნო⁴⁰¹.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არ მოიცავს ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის პარტნიორული, სხვა პირადი და ქონებრივი უფლებების სამართლებრივად აღჭურვის შესაძლებლობებს; აღნიშნული ინიციატივა, რომელიც კონსტიტუციაში ქორწინების არაშემზღვევლი დეფინიციის გაუქმებასა და დავინროებას ისახავს მიზნად, უნდა შეფასდეს, როგორც კონსტიტუციური სტანდარტებისა და ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების მცდელობა. პოლიტიკური ინტერესებით კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა და მომავალში უფლების აღიარების რესურსის განადგურება გაუმართლებელია. ამკარაა, რომ აღნიშნული ინიციატივა ეფუძნება არა ოჯახებზე ზრუნვას, არამედ მიზანმიმართულია ლგბტი პირების, როგორც სოციალური ჯგუფის, არაღიარებასა და მათი უფლებების შეზღუდვაზე. მაშინ, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოები წინ მიიწევენ ლგბტი პირთა პარტნიორული ურთიერთობების სამართლებრივი აღიარებისა და სოციალური მიმდებლობის განვითარებისკენ⁴⁰², საქართველოს მხრიდან აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილება ემსახურება დამატებით შეზღუდვებს, აკრძალვებსა და დისკრიმინაციას ლგბტი პირთა მიმართ.

ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური ნორმები, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შეეხება, პრინციპული მნიშვნელობისა და ღია უნდა იყოს დებატებისა და ცვლილებებისთვის, მიუხედავად იმისა, ახდენს თუ არა უფლებათა გაფართოება-გამყარებას თუ, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი შინაარსის შეზღუდვას, თუმცა აღნიშნული სიფრთხილის დაცვით უნდა განხორციელდეს და დაექვემდებაროს მკაცრ მითხვევებს, რომლის საფუძველზე ამ ცვლილებებმა არ უნდა შეასუსტოს ამ ნორმების ფუნქციონირება, რომელიც მათ ეკისრებათ ინდივიდთა უფლებებისა და უმცირესობათა ინტერესების დასაცავად, უმრავლესობის ტირანიის საწინააღმდეგოდ.⁴⁰³ კონსტიტუციური ცვლილების შეზღუდულობა უნდა აიხსნას თავად დემოკრატიის დაცვისა და უმრავლესობის გაბატონების დაზღვევის ინტერესით, რომელიც გამოირიცხავს დემოკრატიის გვერდის ავლით გადაწყვეტილებების მიღებას.⁴⁰⁴

მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციური ცვლილების ირგვლივ წარმოებულმა დისკუსიამ და მოახლოებულმა არჩევნებმა ხელი შეუწყო ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გაძლიერებას პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად და ღიად გამოხატავენ ანტი-ლგბტ განწყობას, გაკვრებულს შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ტერმინებით.⁴⁰⁵

398 იხილეთ დეტალურად: <http://Netgazeti.Ge/News/101418/>
399 საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, N. 396/9, იხ: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/118548?>
400 საყოველთაო-სახალხო განხილვის შემაჯამებელი ოქმი, იხ: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/119322?>
401 იხილეთ წამყვანი კომიტეტის დასკვნა:<http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/119318?>
402 დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე კვლევის თავი III, ქვეთავი 4.
403 (Venice Commission)Report on Constitutional Amendment, Adopted by the Venice Commission at Its 81st Plenary Session, პარა. 177 (Venice, 11-12 December 2009)
404 დეტალურად იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ქორწინების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებაზე: <https://emc.org.ge/2016/04/27/emc-39/>
405 საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, თამაზ მეჭიაური: „უბრალოდ, ცინიკურია, როცა ქუთაისიდან იწყება ასეთი აქცია – იმ ქალაქიდან, საიდანაც აღმამეწებულმა ქვეყნის გაერთიანება დაიწყო და აქედან „გაპიდარასტებას“ იწყებენ ზოგიერთები“; „არა, ვერ გავიგე. თუკი ლგბტ-ების ლანძღვა არის დასჯადი, პატრიარქი უფრო ნაკლები უფლების მატარებელია?"; საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ომარ ნიშნიანიძე ქუთაისში „დროშების ქნევას და რაღაცების გამოფენას არ მივსვალმები ჩემს მშობლიურ ქალაქში“. ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ წევრი, მერაბ კაჭახიძე: „რაც შეეხება ბატონს, წვევს რომ ატარებს და ოჯახი ვერ შეუქმნია [...] ვურჩევდი, თუ ასე გულმუხვად ხართ შეყვარებული თქვენს მთორე ნახევარზე, რომელთანაც ვერანაირად ვერ ახდენთ ამის ლეგალიზებას, ნადით იმ ქვეყანაში, უცხოელია ხო?!”

ყურადსაღებია, რომ 2016 წლის პირველ ნახევარში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ლგბტ თემის წევრებზე თავდასხმის რამდენიმე ფაქტის დოკუმენტირება მოახდინეს⁴⁰⁶. გახშირებული ძალადობა შესაძლოა, მათ შორის, ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით 2015 წლის ბოლოდან წარმოებულ ანტიგენდერულ და ანტი-ლგბტ რიტორიკას უკავშირდებოდეს. ხაზგასასმელია, რომ სიძულვილის ენასა და ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებს შორის კავშირი სახელმწიფოსათვის კარგად გააზრებული არ არის. ის არათუ არ ცდილობს, მიიღოს ადეკვატური ზომები კონკრეტული ჯგუფის მიმართ, მტრული დამოკიდებულებების საჯაროდ ტირაჟირების აღსაკვეთად, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ახალისებს კიდევ სიძულვილის დისკურსს.

იმ პირობებში, როდესაც სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში ჰომოფობია ინსტიტუციონალურ ხასიათს ატარებს და ლგბტ პირები განიცდიან დევნას, დისკრიმინაციასა და სისტემურ ძალადობას, ხელისუფლება არსებული პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, საკონსტიტუციო ინიციატივით ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის გაძლიერებას უწყობს ხელს და უგულვებელყოფს არსებულ უფლებრივ ჩარჩოს, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადგენს და სხვადასხვა ჯგუფის მარგინალიზაციას აღრმავებს.

2.2. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

ლგბტ თემი 2016 წლის 17 მაისს - ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართულ დღეს კვლავ ვერ ახერხებს კონსტიტუციით გარანტირებული მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას. აქტივისტების დამოუკიდებელი ჯგუფი IDAHOT დღის აღნიშვნას პარლამენტის ყოფილ შენობასთან გეგმავდა, თუმცა თბილისის მერიასთან კომუნიკაციისას გაირკვა, რომ რუსთაველის გამზირი და სხვა ცენტრალური ტერიტორიები სხვადასხვა ორგანიზაციის (მეტწილად მართლმადიდებლურ ორგანიზაციებს, საქართველოს პატრიარქის მიერ 2014 წელს დაწესებული „ოჯახის სინმინდის დღის“ აღსანიშნავად მსვლელობისთვის) აქვს დაკავებული. აქტივისტთა ჯგუფმა მერიას ამცნო, რომ აქციას თავისუფალ ტერიტორიაზე, პუშკინის სახელობის სკვერში გამართავდნენ, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციისას უსაფრთხოების გარანტიები ვერ მიიღო⁴⁰⁷.

17 მაისის დღის წარმევის მცდელობა საქართველოს საპატრიარქოსა და ულტრამემარჯვენე, კონსერვატორი ჯგუფების მხრიდან ლგბტ პირთა საჯარო სივრცეებიდან განდევნის, ძალაუფლების დემონსტრირების მცდელობა და განვლილი წლების გამოცდილების შეხსენებაა.

სახელმწიფოს უუნარობა, უზრუნველყოს ლგბტ პირთა უსაფრთხოების დაცვა და მშვიდობიანი შეკრების უფლების განხორციელება, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საზოგადოებაში მზარდ ჰომოფობიურ განწყობას, რომელიც შეწყნარებული და ზოგიერთ შემთხვევაში წახალისებულია სახელმწიფოს დემონსტრაციულად არაეფექტიანი პოლიტიკით. ამ მხრივ, ხაზი უნდა გაესვას 2013 წლის 17 მაისის საქმეზე მიმდინარე გამოძიების არაეფექტიანობასა და სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს, რომელმაც ჰომოფობიურ სოციალურ, პოლიტიკურ და კლერიკალურ ჯგუფებს დაუსჯელობის გარემო შეუქმნა და ამ გზით გააძლიერა არსებული ძალადობრივი კერები.

406 იხ: <http://netgazeti.ge/news/111277/>

407 იხ: <http://liberali.ge/news/view/22562/17maisi--ra-igegmeba-homofobiasa-da-transfobiastan-brdzolis-msoffio-dghes>